ძველის გზეთი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
გაზეთი
№4 (259)
1-31 მაისი
2017
ფასი 1 ლარი

გამოდის
თვეში ორჯერ

საქართველოს მწერალთა კავშირს – 100

I რიგი – დოდო ჭუმბურიძე, გურამ გოგიაშვილი, გივი შაჰნაზარი, ჯანსუღ ჩარკვიანი, მაყვალა გონაშვილი, რევაზ მიშველაძე, ემზარ კვიტაიშვილი, რეზო ადამია, ზურაბ ჭუმბურიძე.

II რიგი – გურამ ბათიაშვილი, ირმა კეკელიძე, ბაღათერ არაბული, მანანა ანთაძე, ვანო ჩხიკვაძე, ზაალ ბოტკოველი, ბადრი ქუთათელაძე, მირონ ხერგიანი, თენგიზ ჩხაიძე, ვახტანგ ხარჩილავა, ლევან ბრეგაძე, ნანა ჭოჭუა, ბონდო არველაძე, მზია ჩხეტიანი, ნომადი ბართაია, ია სულაბერიძე, თამაზ ხმალაძე, ბონდო მაცაბერიძე, ოთო ფალიანი, ირაკლი შამათავა, ნაირა მარშანია, აკაკი დაუშვილი, ქეთი შენგელია, გელა სულაძე, მანანა დანგაძე, სოსო სიგუა, თემურ ჩალაბაშვილი, ედუარდ უგულავა, ქეთევან ნათელაძე.

ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

თქვენ ბრძანდებით ქართული სიტყვის მსახურნი და ამდენად, დიდი მისია გაკისრიათ, რათა ხელი შეუწყოთ ქართული აზროვნებისა და ცნობიერების დაცვას.

დღეს, როდესაც საქართველომ თავისი ადგილი მსოფლიო მასშტაბით უნდა მოიპოვოს, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა დონეზე იქნება წარმოდგენილი ქართული მწერლობა, როგორ შეძლებს იგი, ერთის მხრივ, შეინარჩუნოს და ააღორძინოს ეროვნული ფასეულობანი და, მეორეს მხრივ, პასუხი გასცეს დროის მოთხოვნებს.

მიუხედავად სერიოზული პრობლემებისა, მე მჯერა ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღის, მჯერა ჩვენი კულტურის, ჩვენი მწერლობის დიდი მომავლის.

ღმერთმა დაგლოცოთ და ერთგულად გამსახურთოთ უფალს და საძმობლოს.

კავშირი გულთა

საქართველოში თუ ვინმე პიროვნების ღირსებას იცავდა, ეს იყო საქართველოს მწერალთა კავშირი.

თუ ვინმე იბრძოდა კაცთმოძულეთა წინააღმდეგ, ეს იყო საქართველოს მწერალთა კავშირი.

თუ ვინმე ქვეყნად ჭეშმარიტებას აფრქვევდა, ეს იყო საქართველოს მწერალთა კავშირი.

ახლა ისიც ვთქვათ, მწერალთა კავშირი მხოლოდ მწერალთა სახლი არ გახლავთ, ეს იყო, არის და იქნება კავშირი გულთა შორის, ნიჭიერ მწერალთა თავშესაფარს ბევრი განკითხვის დღე ჰქონია, ბევრი უნიჭო ებრძოდა ნიჭიერთა თავშესაფარს, მაგრამ ვერ იმარჯვებდნენ.

მწერალთა კავშირის სრულყოფილება იმდენად ნათელია, რომ ჭეშმარიტი მკითხველი ამაყობს მისი ჭეშმარიტებით. 100 წლის გახდა წუთისოფელში აღიარებული ჩვენი საყვარელი მწერალთა კავშირი და მე ვთხოვ დღევანდელ ხელისუფლებას დაუბრუნოს მწერალთა კავშირს მოძულეთა მიერ წართმეული სასახლე. მე დიდი სიყვარულით მივესალმები 100 წლის მწერალთა კავშირს და ხმამაღლა ვამბობ: მწერალთა ბობოქარი ცხოვრება თუ გადაარჩენს ჩვენს საქართველოს.

დიდი პატივისცემით,

ჯანსუღ ჩარკვიანი

საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე, სახალხო პოეტი,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

მწერლების საღმრთო მოვალეობა

ამ წიგნიდან საუკუნე იმზირება, სავსე ომების, რევოლუციების, თავისუფლებისათვის ბრძოლის ქარტეხილიანი დღეებით, მწერლის სულში გამოვლილი და ლექსებად, მოთხრობებად, რომანებად ქცეული საუკუნე.

„ერის სული მწერლობაში ლაპარაკობს, არავის არ აქვს მეტი უფლება ერის სახელით გამოსვლის, ეს მწერლების საღმრთო მოვალეობაა“ – წერდა 1917 წელს 22 წლის ტიციან ტაბიძე.

მას მერე ასი წელი გავიდა, მწერლების საღმრთო მოვალეობა, ერის წინამძღოლობის მისია წუთითაც არ დავიწყებიათ ქართველ მწერლებს, რომლებიც უკვე საუკუნეა ერთ ორგანიზაციაში, მწერალთა კავშირში გაერთიანდნენ. წუთითაც არ დავიწყებიათ დიდ წინაპართა შეგონებანი, რომ მწერალი „ცისა და მიწის შუაკაცია“ და „სიმართლის მსახური“ , „ღმერთთან მოსაუბრე, „რომ წარუძღვეს წინა ერსა“ , რომ ჭეშმარიტი პოეტი უფალს მადლს ასე უნდა სწირავდეს:

მადლობელი ვარ, დამბადებელო,
ჩემიდან შეჰქმენ ისეთი გუნდა,
როგორიც ამ დღეს საჭირო არის,
სამშობლოს წყლულებს როგორიც უნდა.
ეკლებზე ვწევარ, არაფერს ვამჩნევ,
მაინც ღმერთს ვმადლობ, – ეშმაკს შეჰშურდა.

ვაჟა-ფშაველა

ვერ პატიობდნენ ეშმაკის მოციქულნი მწერლებს ერის წინამძღოლობას და ამიტომაც, თუ ვინმეს საქართველოს სიკვდილი სურდა, მწერალს კლავდა, საქართველოს დამონება, მწერალს ათვინიერებდა, საქართველოს გადაჯიშება – ცდილობდა ცრუ ტელემწერლების აღზევებას და ჭეშმარიტი სიტყვის დიდოსტატების „ჩარეცხვას“ .

ჰო, ბევრჯერ ცა რისხვით შემოტრიალდა ჩვენი ქვეყნის თავზე, კაენის ჩრდილმაც არაერთხელ გადისრიალა, ხანმა უნდობარმა არაერთი მწერალი შეიწირა, მაგრამ მართალი სიტყვა ვერ ჩაკლა, ვერ გაიფერმკრთალა სიტყვა მწერალი.

როგორც ოთარ ჭილაძე ბრძანებდა:

ადამიანი იყო პოეტიც,
ბევრჯერ წაექცა მასაც სხეული
და მხოლოდ სული, დროშად ქცეული,
ვერტიკალურად იდგა ყოველთვის.

დროშად ქცეულ სულზე ქვეყნის ავის მსურველებმა ვერ იქნა და ვერ წაშალეს მწერლის ხელით ამოტვიფრული, უწმინდესი სიტყვები: მამული, ენა, სარწმუნოება“ .

ვეჭვობ, საქართველოში და იქნებ მსოფლიოშიც, ბევრი ისეთი ორგანიზაცია იყოს, რომელსაც ასეთი საამაყო, დიდი და ტკივილიანი ისტორია აქვს, რომელსაც ამდენი რჩეული წევრი ჰყავდა და ჰყავს დღესაც, რომელმაც ასეთი ფასდაუდებელი ლიტერატურული განძი შესძინა დიდ ქართულ მწერლობას.

თუკი რაიმეს გამო ვარ ამაყი, უპირველესად იმიტომ, რომ ქართველი მწერალი მქვია, მეამაყება, რომ რუსთაველის დამბადებელი წიაღიდან ვართ ჩვენ ქართველები, რომ ჩემი მცირედი წვლილი მეც შემაქვს მწერალთა დიდ ოჯახში, რომელსაც ასი წელი შეუსრულდა, რომ საუკუნემ, რომელმაც „უხვად მოიტანა სისხლი და ცრემლები“ , ყველაზე მტკივნეულად მწერალთა გულზე გადაიარა და წუხდა გული, „ვით სამრეკლო ცის უდაბნოში, წუხდა და უკვდავების სიტყვებად იქცეოდა.

ნურავინ შეეცდება ამ დიდი ღვაწლის გაუფასურებას, ნურავინ უწოდებს ამ სახელოვან ორგანიზაციას „კომუნისტურ გადმონაშთს“ . ისინი, ვინც მწერლების სახელის დაკნინებით არიან დაკავებულნი, ადრე ტყვიით, დღეს კი გულგრილობით ვინც კლავს ქართველ მწერალს, მალე თავად გაქრებიან ისტორიის ფურცლებიდან, ქართული მწერლობა კი იყო, არის და იქნება უკვდავების ბინადარი.

მაყვალა გონაშვილი

კვლავ ეროვნულ პარიკადებზე

მწერალთა კავშირის არსებობის 100 წლიდან 60 წელი ამ ეროვნულ ტაძარში გამიტარებია.

დავწერე ეს სტრიქონები და თვითონვე შემეშინდა. რა დრო გასულა.

თექვსმეტი წლის ვიყავი, ლადო მრელაშვილმა რომ მიმიყვანა მწერალთა კავშირში. ჯერ რეზო კვერენჩხილაძეს ჩამოართვა ხელი და ბიბლიოთეკის ღია კარიდან პირდაპირ მწერალთა კავშირის ბაღში აღმოვჩნდით.

ძელსკამზე ორი კაცი იჯდა.

1957 წლის 11 სექტემბერი იყო.

ერთს, სიცხის მიუხედავად, მოშავო „პლეჩებიანი“ პიჯაკი ეცვა, ჟღალი წვერი მუჭში მოექცია, ფეხებთან პორთფელი ედო და თავზე ჭილოფის ქუდი ეხურა. მეორეს, მკაცრი გამომეტყველების ქუთუთოებდაბერილ მოხუცს ევროპულად, პიწკად ეცვა, ხოლო თავზე რატომღაც კრაველის ბოხოხი ეხურა.

– ლადოს გაუმარჯოს! – ხელი გაუწოდა ბოხოხიანმა.

წვეროსანს კი ჩვენი მისვლით დიდი აღფრთოვანება არ დატყობია.

– ჩემი ცოლისძმაა, – მგონი უფრო პაუზის დასარღვევად ჩემზე მოათითა ლადომ.

– რას ლაპარაკობ?! – თითქოს ძალიან გაეხარდაო, ხელი ჩამომართვა წვეროსანმა და მომეჩვენა, რომ წამოიწია კიდეც.

– როგორ, ლადო, შენ ცოლი გყავს? – შეიცხდა კრაველის ბოხოხიანმა.

– აბა, ცოლისძმა საიდან ეყოლება, შენი არ მიკვირს, ძამიკო?!

გადაიხარხარა წვეროსანმა და ძველი, ყავისფერი პორთფელი მუხლებშუა მოიქცია.

ასეთი იყო ჩემი პირველი მისვლა მწერალთა კავშირში და ჩემდა იღბლად პირველ მისვლაზევე ორ გენიოსს შემახვედრა ბედმა – კონსტანტინე გამსახურდიას და გალაკტიონ ტაბიძეს.

მალე უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი და შემიძლია დავიფიცო, იმ დღიდან დღემდე მწერალთა კავშირში, თუ კი ყურს მოვკრავდი, თითქმის ყველა ღონისძიებას ვესწრებოდი.

რას მოისმენდი უკეთესს, სად ნახავდი ასე ერთად შეკრებილ ქართული სიტყვის ოსტატებს, ერის ბრძენ მამებს.

მხოლოდ წიგნებიდან ვიცი, რა რუდუნებით შეიქმნა ამ ასი წლის წინ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი და როგორ დაისახა მან პირველი დღიდანვე მიზნად, ებრძოლა ქართული ეროვნული ცნობიერების გადარჩენისთვის – „არავითარი უნაპირო ინტერნაციონალიზმი და არავითარი პირმოთნეული კოსმოპოლიტიზმი! საქართველოში უნდა იყოს მხოლოდ ქართული ენის, ქართული კულტურის დომინანტი!“ – ხმის ჩახლეჩამდე ჰყვიროდა მწერალთა პირველ ყრილობაზე კონსტანტინე გამსახურდია.

მე მხოლოდ წიგნებიდან ვიცი, კაენის სულის აღზევების დროს როგორ გადაუმტვრიეს ხერხემალი ჯავახიშვილს და ტიციანს, როგორ მიიყვანეს თვითმკვლელობამდე პაოლო, როგორ დაუჭრეს პირველი წიგნი ლადო ასათიანს არტანუჯზე დაწერილი ლექსისათვის „ციხის სიზმარი“ .

მაგრამ მეც ბევრს რასმე შევესწარ და ის „ბევრი რამეა“, ამ უთანასწორო ბრძოლაში რომ მაძლებინებს, შუაღამისას წამომაგდებს და მაგიდასთან დამსვამს, რომ არ მასვენებს და ტვინს მიბურღავს.

მახსოვს, გალაკტიონის გადაფრენა მეოთხე სართულიდან – პირველი ელდა ჩვენთვის და პროტესტის ყველაზე დიდი ყუმბარა უკვდავი პოეტის მიერ ხელისუფლების წინააღმდეგ ნასროლი.

მახსოვს, როგორ გადაიქცა 90-იან წლებში მწერალთა სასახლე ეროვნული მოძრაობის მთავარ შტაბად.

მახსოვს, 1978 წლის 10-14 აპრილს მწერალთა კავშირში ქართული ენის დასაცავად გამართული მიტინგები და თავგანწირული ერთსულოვნება.

მახსოვს, 1989 წლის 10 აპრილის დაზაფრული სხდომა, ნოდარ წულეისკირმა ცეცხლი რომ წაუკიდა კომუნისტური პარტიის მანდატს და ყველას თვალწინ საჯაროდ დაწვა.

მახსოვს, ზვიად გამსახურდიას დაჭერის მეორე დღეს კოლხურ კოშკში მივედი და ჩემი ჭკუით ვანუგეშე ქ-ნი მანანა – ნუ გეშინია-მეთქი.

მე რისი მეშინია, რეზო, იმათ ეშინოდეთ, ვინც ზვიადი მწერალთა კავშირიდან ასე ერთსულოვნად გარიცხაო, მიპასუხა.

მახსოვს, რევაზ ჯაფარიძის გამოსვლა მწერალთა V ყრილობაზე, როცა „აწონილი სიტყვის“ ავტორმა, ყველასათვის მოულოდნელად, გრიგოლ რობაქიძის რეაბილიტაცია მოითხოვა.

მახსოვს, ციმბირის გულაგებიდან ახალდაბრუნებული ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ ბეჭდვის დაწყება „ცისკარში“ , რის გამოც „ცისკარი“ პროკლამაციასავით ხელიდან-ხელში გადადიოდა.

მახსოვს, ზაურ ბოლქვაძის „ნიანგის“ ახალი ნომერი ნაცხრააპრილევს და ჟურნალის ყდაზე დახატული რუსი ჯარისკაცი ორლესული ნიჩბით ხელში.

მახსოვს, ლამის ჯვარს რომ აცვეს გურამ ფანჯიკიძე სამოციანი წლების აშკარა რევოლუციური რომანისათვის „თვალი პატიოსანი“ .

მახსოვს, სერგი ჭილაიას კაბინეტში გაცხარებული ქართული პროზის პატრიარქი – „ლანდებთან ლაციცი“ შემიჩერეს. მომეცი სასწრაფოდ ინაურის ტელეფონი. აღარ გათავდა ჩემი დევნა?“

მახსოვს, შოთა ნიშნიანიძის წინააღმდეგ აგორებული ინტრიგის ტალღა აქლემისა და ლექსის ქურდის პოეტური ალეგორიისათვის და იმ დროს დაწერილი მისი საბარიკადო ლექსი „ზიგ ჰაილ! ზიგ ჰაილ!“

მახსოვს, როგორ გამოვაპარეთ სტამბიდან ლევან სანიკიძემ და მე „უქარქაშო ხმლების“ უკვდავი ავტორის წიგნი-ბრალდება „ვაი რუსისაგან“ და მეორე დღესვე როგორ იზრუნა ხელისუფლებამ იმაზე, რომ წიგნის მთელი ტირაჟი სადღაც გამქრალიყო ისე, რომ ბიბლიოთეკებშიც ვერ იპოვით – ლევანის ოჯახს შემორჩა, მე და ალბათ ლევანის ორიოდე მეგობარს.

რომელი ერთი გავიხსენო.

პირველ გაბედულ, ეროვნულ სიტყვას მწერალი ამბობდა ყოველთვის, მწერალთა კავშირის ტრიბუნიდან ნათქვამი მართალი სიტყვა მეორე დღესვე მთელ საქართველოს მოეფინებოდა ხოლმე და პირველ დარტყმასაც პირველად მწერალი იღებდა.

მარტო იმის ხაზგასმა რად ღირს, რომ XIX საუკუნის საქართველოს სულიერი მამა და უგვირგვინო მეფე სწორედ მწერალი გახლდათ და საქართველოს პირველი პრეზიდენტიც მწერალი იყო.

მწერალთა კავშირი დღესაც პირნათლად ასრულებს თავის ეროვნულ ფუნქციას – იგი ჯანმრთელი, ზომიერი ოპოზიციონერია და ამიტომაც ებრძვიან მას გააფთრებით; ხან ლიკვიდაციით ემუქრებიან და ხან შენობას ართმევენ.

დათვალეთ, აწონეთ საქართველოს გაღვიძებაში მწერლის მიერ შეტანილი წვლილი და მერე უწოდეთ, პატარა, მომხვეჭელო კაცუნებო, მწერალთა კავშირის „გადმონაშთი“ .

ზემოთ ვთქვი, 37 წელი არ მახსოვს-მეთქი, მაგრამ ახლა არანაკლებ მძიმე დროა ქართული მწერლობისთვის.

ილიას ლოზუნგი - „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“ , დღის წესრიგიდან წუთითაც არ მოხსნილა.

ჩვენ ახლაც ბარიკადებზე ვდგავართ და ეროვნული სანგრებიდან ვუტევთ ჩვენი ნაციონალური სახის წასაშლელად გამოგზავნილ მანქურთებს.

რევაზ მიშველაძე

ვაჟა მიროტაძე – 60

60 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი და ჟურნალისტი ვაჟა ბიჭიკოს ძე მიროტაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ვაჟა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან და გილოცავენ დაბადების 60 წლისთავს.

თქვენი პირველი ლექსები 1972 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ და მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური და პროზაული კრებულები, ისეთები, როგორიცაა „მოწყენილი ოდა და ერდო“, „ცრემლში გაცრილ მიწას ვტირი“, „მიწა მიწაა“. „მარტოობის სიმფონია“, „მესამე ზარის დარეკვამდე“ მშობელი ქვეყნისა და ხალხის უსაზღვრო სიყვარულითაა მირონცხებული და ამიტომაც ქართველი მკითხველის დამსახურებული მოწონებით სარგებლობს.

ნაცადი ჟურნალისტი ბრძანდებით და წლების განმავლობაში მუშაობდით ჭიათურის საქალაქო გაზეთის მთავარი რედაქტორის მოადგილედ.

2003 წელს ლადო ასათიანის სახელობის პრემია მოგენიჭათ, რაც თქვენი ნიჭიერების აღიარება გახლდათ.

ბატონო ვაჟა!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს კოლეგას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ორი კოტე

ვაჟა მიროტაძე

კოტე კოხრეიძისათვის რომ გეკითხათ, შენ უფრო ადრე მოხვედი ამ სადალაქოში თუ მეორე კოტეო, ყელს გამოიბდღვნიდა, შაფაქიძე რას მიქვია, კაცს კი არადა, ყვავსაც კარგად არ ეხსომება ჩემი აქ მოსვლაო,- იტყოდა ხოლმე სიამაყით...

ახლა მეორე კოტეს წაეკიდებოდა, სახეზე ალმური: რა კოხრეიძე, რის კოხრეიძე, მე და პიმენა უფრო ძველები ვართო...

პიმენ დვალი კაიხნის გარდაცვლილია და, რა თქმა უნდა, მოწმედ ვერ გამოადგებოდა შაფაქიძეს, ამიტომ ვერ გაერკვიათ ამ შემთხვევაში კოხრეიძე იყო მართალი თუ შაფაქიძე.

სიმართლეს მეც ვერ გეტყვით, რადგან თბილისში რომ ჩამოვედი და უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, სადალაქოში უკვე ორივე კოტე მუშაობდა.

საპარიკმახეროს ორთაჭალაში, სამსართულიანი კომუნალური სახლის პირველ სართულზე ერთი მოზრდილი ოთახი ეჭირა, დანარჩენში ფოსტა-ტელეგრაფი, ბიბლიოთეკა, პირველადი მოთხოვნილების სასურსათო-სამეურნეო მაღაზია და ფეხსაცმელების შემკეთებელის სახელოსნო იყო.

სადალაქოში კარებზე გაკრული აბრის ქვეშ ვილაცას წითელი საღებავით მიეწერა: ორი კოტე.

დალაქებს თავიდან ერთი-ორჯერ მაინც წაეშალათ ეს წარწერა, აქაოდა კანტორიდან ვინმე ინტრიგანი არ მოგვადგეს და არ დაგვსაჯონო, მაგრამ წარწერა შავმუშამბგადაკრულ კარზე ისევ ჩნდებოდა და ორივე კოტე თანდათან შეეგუენ ამ ამბავს. შეეგუენ კი არადა, გულში კიდეც უხაროდათ, რომ ხალხის სიყვარული დაიმსახურეს.

დასჯის რა მოგახსენოთ, მაგრამ „ზემოდან“ რამდენიმეჯერ შენიშვნაც მიიღეს ამის გამო, თუმცა მერე და მერე, როცა მათთან შეივლიდნენ, წარწერას თვალს არიდებდნენ, თითქოს ვერ ამჩნევდნენ, ვერ დაენახათ. სამაგიეროდ კლიენტურა იყო მადლიერი. ასეთი ბევრი ჰყავდათ სეხნია დალაქებს. დღე არ გავიდოდა ამ პატარა, დაბალჭერიან სადალაქოში, რომელიც პელეს, მაცოლას, იაშინის, მესხის და მეტრეველის სურათებით იყო აჭრელებული, ზურგის კედლიდან კი იშვიათი მომხიბვლელობით „ნეიზვესტნაია“ იმზირებოდა, ვინმე ბობოლა პარტიული ან სამეურნეო მუშაკი არ შემობრძანებულიყო გასაკრეჭად.

ახლავე, ბატონოო, მყისვე დაფაცურდებოდა კოხრეიძე...

ასეთ დროს შაფაქიძე კეთილი შურით გადახედავდა კოლეგას. კოხრეიძეს რას გამოაპარებდი, ყველაფერს ხვდებოდა, თუმცა არ იმჩნევდა და ყოველი თვის ბოლოს, როცა ყველაფერს მოიანგარიშებდნენ: ეს სახელმწიფო გეგმაო, ეს შავი ანგარიშებიო, ცერათითდასველებული კიდევ ერთხელ გადაითვლიდა მთელი თვის ნაღვაწ თანხას და ზუსტად, თანაბრად გაუყოფდა შაფაქიძეს.

კოტე შაფაქიძემ კარგად იცოდა, რომ შემოსავლიდან ლომის წილი კოხრეიძეს ეკუთვნოდა, რადგან თითქმის ყველა კლიენტი კარგად უხდიდა კოხრეიძეს, მაგრამ ოჰ, არა, არაო, ერთი-ორჯერ იუარებდა, მერე მადლობელი, მადლობელიო და შეთავაზებულ თანხას საბოლოოდ მაინც აიღებდა.

მადლობა მერე იყოს, ოჯახი დროზე შეჰქმენიო, მერამდენედ დაარიგებდა ერთი კოტე მეორე კოტეს. თვითონ კოხრეიძეს სამი შვილი ჰყავდა, ორი გოგო და ერთი ნანატრი,ნაბოლარა ვაჟი, მათზე ამოდიოდა მზე და მთვარე, სულს ლევდა ოჯახისთვის, შრომაც უხაროდა და ცხოვრებაც.

კოტე შაფაქიძეს მშობლები ადრე გარდაცვლოდა და დედისერთას ახლა ცხოვრების კალო მარტო უნდა ელენა, ორმოც წელს გადაცილებული ოჯახს არ ეკიდებოდა, თუმცა რასაც შოულობდა კაპიკ-კაპიკ შეჰქონდა შემნახველ სალაროში.

თავიდან თითქოს არაფერი, მერე ისე შეეჩვივნენ ერთმანეთს, რაღა ისინი და რაღა ალალი ძმები, ერთმანეთს არაფერს უმალავდნენ.

შაფაქიძე კოტე ხშირად სტუმრობდა კოხრეიძე კოტეს და სამეურნეო საქმეებში ეხმარებოდა, (კოხრეიძეს კაი მოზრდილი ბაღჩა და ბაღ-ვენახი ედგა ორთაჭალაში).

კოხრეიძეს უყვარდა ფიზიკური შრომა, შაფაქიძეს არც იმდენად, მაგრამ მეგობრის ოჯახში ბოლომდე იხარჯებოდა, რთველი უყვარდა განსაკუთრებით, რთველობას დალაქი უჩვეულოდ აღტაცებული დაგემოვნებით კრეფდა ჩამკვრახულ-ჩაშაქრებულ მტევნებს, რაღაცნაირი დანებებით გაჰყურებდა გალმა, მტკრის ფერდობებზე სიყვითლეშეპარულ დიდრონ ხეებს და უცნაურად სევდამორეული საწნახელში ნელი, მონიტონური მოძრაობით ჭყლეტდა შემოდგომის მზით სავსე ბუდეშურ მტევნებს.

ჩუხჩუხა ბადაგით ქვევრებს რომ აავსებდნენ (კოხრეიძეს ერთი ოცფუთიანი ქვევრიც ედგა სხვა პატარა ქვევრებთან ერთად) საჩურჩხელე-სათათარე ტკბილს შეინახავდნენ, ქართულ გულაბს, ჩაყვითლებულ ხიდისთაურ ატამს, უტკბეს ხომანდულს, აჩალულ სიმინდს, ორშიმო გოგრებსა და ყოველგვარ ნაამაგარს რომ დააბინავებდნენ, მოყვარე- მოკეთეებს დაუძახებდა წლის მოსავლის დასალოცად მასპინძელი.

თამადა ასეთ დროს კოტე იყო, შაფაქიძე.

ხომ შუაღამემდე ლხინობდნენ, რაღა თქმა უნდა, დილას თავისტკივლაყოლებულები, მაგრამ სამსახურში მაინც არ დაიგვიანებდნენ, აუგს არავის ათქმევინებდნენ.

ჯერ კოხრეიძე მიადგებოდა სადალაქოს, დიდ, იტალიურ ფანჯარას გამოაღებდა, ქოთნის ყვავილებს გულმოდგინედ მორწყავდა, თუნუქის ღუმელზე სათლს შემოდგამდა, ოთახში გაბმული ჭრელზოლებიანი თოკიდან წინადღეს გარეცხილ-გაქათქათებულ საფენებს ჩამოხსნიდა, გააუთოებდა, კლიენტს მოხერხებულად ჩაუფენდა, ხაზის რადიოს აუწევდა და მუშაობას იწყებდა.

დაგვიანება არც შაფაქიძეს სჩვეოდა. უყვარდა ცაგამთენია ჩიტების ჟღურტული, მსუბუქ ქარბორიოში სარული, ფეხით გადმოსჭრიდა ხოლმე პარალელურ ქუჩას და ათიოდე წუთში სადალაქოში იყო...

- როგორ ხარ? ეკითხებოდა კოხრეიძე...

- კარგად, კარგად...

- მგონი ზედმეტი მოგვივიდა წუხელ...

ასეთ დროს შაფაქიძეს ელიმებოდა, ელიმებოდა და არაფერს ამბობდა.

მერე მუშაობდნენ, მუშობდნენ, სალაპარაკოდაც ვერ იცლიდნენ. როცა ხალხი შეხალვათდებოდა ან სულაც მიილეოდა, მაშინ თუ გაახსენდებოდათ, რომ სადილობა კაი ხნის ჩავლილი იყო.

ამ დროს ერთ-ერთი მიდიოდა ძია იორამასთან (იორამა ჭოხონელიძე რაჭველი კაცი, მათ გვერდით სასურსათო-სამეურნეო მაღაზიის სურსათის სექციაში მუშაობდა გამყიდველად) იღებდა ნახევარ კილოგრამ ძეხვს, „კილკას“ ტომატის სოუსით, კომბოსტოს, ნივრის, კიტრის, წიწაკის მწნილეულს, პურს, ცოტა ყველს, შედარებით იაფფასიან არაყს, საგულდაგულოდ გადაწმენდნენ კუთხის მაგიდას, გადააფარებდნენ ზედ ალაგ-ალაგ ჩრჩილისაგან შეჭმულ გაცრეცილ გადასაფარებელს, გადმოალაგებდნენ თეფშებს, ჭიქებს და, ღმერთო, შეგვეწიეო, - პირჯვრისწერით გატეხდნენ ლუკმას.

სადილს ტრადიციულად იორამა უძღვებოდა. ენაწყლიანი კაცი იყო, ძველი ბულალტერი, ომში და ათას დარჯაკში გამოვლილს, ცხოვრებისაგან უღმერთოდ ნაჟეჟ-ნაგვემ კაცს ცალი ფეხი ქერჩში დაეტოვებინა, ფეხი კი არა და ახლაც უკვირს საერთოდ როგორ გადაურჩა იმ მეხთატეხას.

მოდით, ნაჩუქარი სიცოცხლის სადღეგრძელო დავლიოთო, - იტყოდა ძია იორამა და თვალებზე ცრემლი მოადგებოდა ...

კლიენტი აღარ აწუხებდათ და ძია იორამაც კოტეებთან პურობას გააგრძელებდა, მარტო მე და ერთი ჯეელი ვუცდიდით დალაქებს.

ჩაუფინეო, - ჭიქას ბოლომდე მივსებდა კოხრეიძე...

შეგერგებაო, - კვერს უკრავდა შაფაქიძე...

ვუარობდი, ლექციებზე ვიყავი წასასვლელი, საღამოს დასწრებულზე ვსწავლობდი.

იორამას გული საგულეში ჰქონდა. ერთ თვეზე მეტია პრაქტიკაზე გოგონა გამოუგზავნეს. ის დალოცვილი ისე მალე და კარგად გაერკვა ყველაფერში, იორამა არსად არ ჩქარობს, დარწმუნებულია, რომ მისი შემცვლელი საქმეს არ გააფუჭებს.

კოტე! - მიუბრუნდება იორამა ძია შაფაქიძეს:

შეირთე, შვილო, ნათელა (იმ პრაქტიკანტზე ეუბნებოდა) ანგელოზია და ანგელოზი...

კოტეს ელიმებოდა და ამით მთავრდებოდა ყველაფერი.

ჯეელი კი ბოლომდე ცლიდა იმ ჭიქას, იმ ჭიქას და მომდევნოსაც.

პოეტი ხარ, ნუ დალევ, ისე გვითხარი რამეო, - ყელს მიწევდა შაფაქიძე.

მიდი უთხარიო, - მხარს აუბამდნენ იორამა ძია და კოხრეიძეც.

ბონდოია, ბიჭო, მარწყვი დამწიფებულა,

შენს საფლავზე, ბონდო, წუხელ განვიმებულა...

ჩვენი საამაყო ძმა ხარო, - აღტაცებას ვერ მალავდნენ თვალცრემლიანი დალაქები და გულში უმცროსი ძმასავით მიხუტებდნენ.

ის ჯეელი გაოცებული მიყურებდა, შურიანადაც...

მე ვიჯექი შეზარხოშებული კოტე შაფაქიძის სადალაქო სკამზე, ჩემს გვერდით ის ჯეელი მოკალათებულიყო და ელექტრომანქანის ღუღუნში სულს ორი კოტეს სევდიანი სიმღერა მიფორიაქებდა, რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდებაო...

ასეთ დროს რაღაცნაირი ჩუმი სევდით ვითვრებოდ-ვითენთებოდი და მიყვარდა, ძალიან მიყვარდა ძია იორამა და ორივე კოტე.

კვირა არ გავა, დალაქებს არ მივაკითხო.

- მოვიდა ჩვენი ბულბულიო, - ერთხმად მომაძახებდნენ და მერე დაწვრილებით გამომკითხავდნენ, რას ვჭამ, რას ვსვამ, ხომ არაფერი მიჭირს, ხანდახან კი ვითომ შემთხვევით, ფულს სიძველისგან გახუნებულ-გაქუცულ პალტოს ჯიბეში ტაქტიანად ჩამიცურებდნენ.

***

თბილისიდან რუსეთში სამუშაოდ ისე წავედი, მეგობრებს ვერ დავემშვიდობე.

უცხოეთში ხშირად მახსენდებოდა ორივე კოტე და ძია იორამა, მით უმეტეს თუ საპარიკმახეროში მოვხვდებოდი.

წლების მერე დავბრუნდი საქართველოში.

ძირეულად შეცვლილი დამხვდა თბილისი, უცხო, მოწყენილი ხალხით და უსიხარულო სახეებით.

სიყვარულის დეფიციტი იგრძნობა დედაქალაქში.

სადალაქოში წასვლა გადავწყვიტე.

მაშინ ორმოცს გადაცილებულები იყვნენ. ნეტავ ახლაც თუ მუშაობენ, როგორ გამოიყურებიან, როგორ ცხოვრობენ, შერჩათ კი ის სიმხნევე და სიხალისე?

ამ ფიქრში ვარ და სადალაქოს კარიც შევაღე.

დალაქს თავი არ აუწევია, კლიენტს ემსახურება, მგონი მისალმებაც ვერ გაიგონა.

შევხედე, კოტე უნდა იყოს კოხრეიძე, ძალიან შეცვლილი სჩანს, დაღლილი, გამხდარი, წვერმოშვებული, მარტო შუბლზე გარდიგარდმო დამჩნეული ნაიარევით თუ მიხვდები, რომ სწორედ ეგ კაცია შენი ძველი მეგობარი.

მეორე სკამი თალხი სამოსითაა შეოსილი...

ჩავახველე...

მაინც არ იხედება.

მივედი და ცუდის მოლოდინში მხრებზე კანკალით დავადე ხელი.

გაჩერდა, შემკრთალმა შემომხედა.

თქვენ, კოტე ხართ, კოხრეიძე? - ხმა ამიკანკალდა.

კი მე ვარ, - მითხრა დაბნეულმა და ხელი გამომიწოდა, ვერ გიცანითო, მოაყოლა შეცბუნებულმა.

მეორე კოტე?

მეორე კოტე, ეე, ეგერ მარჯვნივ... კედელზე დაკიდებული შავჩარჩოიანი სურათისკენ გამახედა და თვალებიდან კურცხალი მოსწყდა.

მუხლმოკეცილი კოტე შაფაქიძის დაობლებულ სკამზე დავეშვი.

მერე კარგახანს ვიჯექი იმ სკამზე და სამოცწელსგადაცილებული, ჭაღარამორეული კოხრეიძე მიყვებოდა თუ როგორ დაიღუპა ამ ერთი თვის წინ უშვილძიროდ გადაგებული შაფაქიძე ავარიაში, ისე, რომ კოხრეიძეს ცოცხალისთვისაც ვერ მიესწრო საავადმყოფოში.

უბედურ შაფაქიძეს წლების მანძილზე ნაშოვნი და ნაჩალიჩევი თანხა ანდერძით კოხრეიძისთვის დაეტოვებინა.

ავი წინათგრძნობა ჰქონოდა: ამიტომაც ანდერძს, შესაბამის საბუთებს და მეგობრისადმი მიწერილ ბარათს თან ატარებდა:

მე ვერ ვივარგე, შენზე ახლობელი ვინ მყავს, დედას გაფიცებ, ეს ფული ჩემს სახელზე შენს ოჯახს მოახმარეო...

ამ წერილს რომ მიკითხავდა ბავშვივით ზლუქუნებდა კოტე კოხრეიძე, - დროული კაცი.

ძია იორამა?

კვირას დავკრძალეთ, კოტესთან ახლოსაა მისი საფლავი...

გული მომეწურა, კლიენტი გაკვირვებით გვიყურებს მე და კოხრეიძეს, გაკვირვებით და თანაგრძნობით.

დრო გადის. არ ვიცი რა ვქნა, მოულოდნელი ელდით ზარდაცემულმა.

იმოქმედე! დარეკა გულმა.

ბევრი არ მიფიქრია, ძია იორამასეულ მაღაზიაში შესვლა გადავწყვიტე: ავიღებ პურს, ყველს, ძეხვს, მწნილს, არაყს და ისე როგორც ჩემს უფროს მეგობრებს უყვარდათ, სადალაქოში, ისევ კოტე კოხრეიძეს მივაკითხავ, მერე ცალად დარჩენილი კოტე მიმეგზურებს და ქალაქის განაპირა, მოკრძალებულ სასაფლაოზე კოტე შაფაქიძისა და ძია იორამას ობოლ საფლავებს მოვეფერები, მოვეფერები და ძალიან, ძალიან დავთვრები, რომ როგორმე მეგობრების არყოფნა სიმთვრალითა და ამ მოთხრობის წერით გამოვიგლოვო.

დარდი, როგორც შემოქმედება

ნიკა წერეთელი

***

რაღაცისთვის ვიბრძოდი... ვცდილობდი, რაღაც ღირებული შემეძინა... რა სფეროში აღარ ჩავყავი ინტერესის ცხვირი... ცხოვრების რამდენიმე ეტაპზე შევიცვალე აზრი, მიზანი და საზრუნავი... უმეტეს სფეროში მივაღწიე საწადელს და იმდროინდელი „ჭია“ გავიხარე კიდეც... იყო წინსვლაც. უკუსვლაც. მოკლედ ყველაფერი, რაც ცხოვრებას სხვადასხვა ეტაპზე შეეფერება... არ ვარ უკმაყოფილო ჩემი ბედითა და იღბალით, მაგრამ გაუჯერებლობის გრძნობით ტანჯული ისევ ვაგრძელებ საკუთარი თავის ძიებას... რისთვის ეს ყველაფერი? რა გვხდის ცხოველებს ადამიანად? ბედნიერების შეგრძნება მარტო ჩვენ გაგვაჩნია? ანდა რა არის ბედნიერება? არის საერთოდ? კარგი უნივერსიტეტის დიპლომი, მსოფლიო ჩემპიონობის ტიტული, შესაფერისი სამსახური და მიწიერი საზრდოს ულევი მარაგი... ესაა ბედნიერება? ასე მარტივია? ასე ადვილად ვხვდებით ბედნიერები? არა! მე სულ სხვას ვგრძნობ და განვიცდი... ეს ცხოვრების აუცილებელი კრიტერიუმებია, რომელიც ჩვენი ქვეცნობიერის მიღწევებია და არა ჩვენი. როგორ შეიძლება რაიმე წარმატებით იმ ბედნიერების მოპოვება, რაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა „წარმატებულმა“ ადამიანებმა წაგვართვეს... და ჩვენ ხომ ყველას რაღაცას ვართმევთ... ჩვენ ხომ ერთმანეთის წართმევით ვცდილობთ იმ „ბედნიერების“ მოპოვებას... სხვის უბედურებაზე აგებულ ცხოვრებას არამგონია ბედნიერება ერქვას. ახლა ხომ დროებით გვიყვარს, ახლა ხომ დროებით ვუმჟღავნებთ ერთმანეთს ყალბ სითბოს, ახლა ხომ სისხლით ნათესაობაც დროებითია... თურმე 23 წელი გახდა საჭირო მივხვედროდი... ბედნიერება ეს ის ცნებაა, რაც ნახულ სამყაროში არ არსებობს... არ ვწერ ამას იმისთვის, რომ ვინმეს რაიმე გავაგებინო, ვინმეს ჩემი სიმართლე დავანახო, ანდა თავი უბედურად ვაგრძნობინო... უბრალოდ ვწერ იმისთვის, რომ ჩემი ბედნიერება ყველას გაგაგებინოთ.. ბედნიერი ვარ, რომ ბევრი რამ აღარ მჯერა. აქ ყველაფერი დროებითი და საკუთარ მიზნებზე დაფუძნებული ქმედებებია... წარმატებები ჩვენ, ყველას ამ უსასრულო მარათონში... სოციალური ქსელი უბრალოდ უმარტივესი გზაა დახარჯვის... ასოებთან ხომ ყველანი თამამები ვართ?! უფლის რწმენა და მიწიერ ცხოვრებაში სიკვდილის ხსოვნა თუ გვაქცევს ადამიანად... სპორტი... ჩვენი ქვეყნისთვის ეს ცნება ხომ მხოლოდ მარტივი ცხოვრების სტილის არჩევას ნიშნავს?! აქ ხომ წიგნიერება პირველ საფეხურზეა აყვანილი და დიპლომომანია უმთავრესი ელემენტია ელეგანტური სასიძოს მისაღებად?! მესმის მე ჩემი ტკბილი ერის... კუნთის სიძლიერე გონების განვითარების უკუპროპორციულია... ალბათ გამორჩა რომელიმე დიად ფიზიკოსს ეს საკითხი, თორემ რომელიმე ფიზიკური ანდა ქიმიური პროცესით დაამტკიცებდა ამ უკანასკნელს... ოხ, ეს სპორტი... რა უაზრო შეგრძნებებითაა აღსავსე... რაღა დროს შიშველი ხელებით ბრძოლაა, მაშინ როდესაც კალმისტრის ეპოქაში უნდა ვცდილობდეთ ფრთების გაშლას... რომელიღაცა ცნობადს უთქვამს, ყველაზე საშიში ქვეყნისთვის ის შვილიაო, რომელსაც ცოდნა და განათლება უსაზღვრო დოზით მივეცით და სიყვარულის შთაგონება კი სულ გამოგვრჩაო... წესით სახელიც უნდა მახსოვდეს, მაგრამ მეც ხომ უვიცი სპორტსმენი ვარ... სიყვარული და რწმენა რომ გამქრალია, ამას ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური საკითხები ყოველდღე ნათლად აჩვენებს... დღეს განათლება საკუთარი თავის საზოგადოებაში რეალიზების მიზნადაა ქცეული და ამიტომაცაა, რომ პოლიტიკა ყველაზე ნათლად ასახავს ჩვენი ერის ადამიანობის დონეს... ადამიანებს, როგორც წესი, მიწაში ვდებთ და მერე მომავალ თაობას მათზე ისტორიის სწავლით სკოლის ასაკში ვუშრობთ სისხლს... საბოლოოდ კი ისინი სწავლობენ არა იმას, თუ როგორები უნდა იყვნენ, არამედ იმას თუ როგორები არ უნდა გახდნენ იმისთვის, რომ დროზე ადრე არ დაასრულონ სიცოცხლე... აი, ისევ, ოხ, ეს სპორტი.. რა ხდება სპორტში? ძველი საბერძნეთიდან მოყოლებული ფიზიკური ჭიდილი, როგორც სანახაობრივი, ასევე იმპერიების შექმნის ერთ–ერთი მთავარი ელემენტი იყო... სპორტი ის ერთადერთი სფეროა, სადაც ბინძურმა ეპოქამ თავის ბინძური ხელები ვერ ჩარია... ამ ცნებამ ეპოქებს გაუძლო და დღემდე ძველებური სახით მოაღწია... თუმცა, რას გელაპარაკებით ახლა? ნიცშეს და დოსტოევსკის წაკითხვა ხომ ნებისმიერ სპორტსმენობაზე უფრო ღირებულია... ვერ მიხვდებით, მოკვდავნო, რას გრძნობს ადამიანი მსოფლიოს კვარცხლბეკზე მდგარი საკუთარი ქვეყნის ჰიმნის ჰარმონიით ტკბობისას... შენს გვერდზე მდგარი ევროპისა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნის წარმომადგენლები შურით გიყურებენ დაბლითა საფეხურიდან და სპორტული სპეტაკი ზიზღით მომავალ წელს იმ იმედით ელოდებიან, რომ სპორტული და მკაცრი გზით შენს ადგილს ისინი დაიკავებენ... ჩვენ, უვიცი სპორტსმენები, ვადიდებთ ქვეყანას ჩვენი დაბებერებული ხელებით და სანაცვლოდ არც თანამდებობას და არც ხალხის მოჩვენებით სიყვარულს არ ვითხოვთ... მისწავლია მეც, მეგობრებო, ჩამიბარებია ნანატრ უნივერსიტეტშიც და ჩემი გაუნათლებლობით არასდროს შემირცხვენია ჩემი ოჯახი და საგვარეულო, მაგრამ ის, რაც ჩემპიონობის დროს მიგრძვნია სხვა წარმართ საკითხებზე შედარებადაც კი არ ღირს... ბოლო–ბოლო, მეგობრებო, საფლავის ქვაზე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობას ტვიფრავენ და არა ბაკალავრის და მაგისტრის დიპლომებს... პატივი ვცეთ ჩვენს დიად სპორტსმენებს, რომლებიც მიყოლებით გუნდურ ჩათვლაში რამდენიმე სახეობაში მსოფლიო ჩეპმიონები ხდებიან იმის ფონზე, რომ საქართველო განათლების დონით ას განათლებულ სახელმწიფოთა შორისაც კი ვერ შედის... ე. ი. თქვენ განათლებულნო, ათეულ ნიშნულს მიაღწევინეთ ქვეყანას და იმ სპორტებში მოპოვებულ ოქროს მედლებს მერე გაუტოლდით... ეს ჩემი უმისამართო წერილი არ ეხება მათ, ვინც არ თვლის საჭიროდ მსგავსი საკითხის წინა პლანზე წამოწევას... მე პატრიოტები მიყვარს... ის პატრიოტები, რომელთაც განათლება და კუნთი ერთ არსად აქვთ ქცეული და მათ მიერ შეკრული მუშტი ყველაზე ძლიერი დარტყმის მქონეა მსოფლიოში... ქვეყნის სიყვარული თუ გააერთიანებს განათლებას და ჩემპიონობას და მხოლოდ მაშინ თუ მიეცემა აზრი სწავლასაც და განათლებასაც... მიყვარს ეს ჩემი უბედური და დაჩაგრული ქვეყანა და რა ვქნა, ღმერთმანი?!

***

ქართველობა–ცხოვრებისეული ტიტული თუ თანდაყოლილი წყევლა?! ისტორიაზე საუბარიც რომ დასაცინი გახდა... ამ ცვილის ტრიბუნებისკენ ლტოლვამ ხომ საბოლოოდ დაგვრია ხელი... ეს ერთმანეთის ჯინაზე ბედნიერებისკენ ლტოლვა რაღა უბედურებაა?! როგორ მეზარება ყველაფერი... ერთადერთი ტრიუმფისკენ სწრაფვის მომენტია ყველაზე ტკბილი... ბოლო რომ ისეთი გგონია, როგორიც წარმოგიდგენია და ამ წარმოდგენაში ყველა გზაზე შემხვედრ ხელისშემშლელ გარემოებას ისე თმობ და თელავ, რომ საკუთარი სიძლიერის შეგრძნებას კიდევ ერთხელ უსვამ ხაზს... ბოლოს კი გამარჯვებას და დამარცხებას ერთ გროშად აფასებ და ყოველთვის დაკარგულში ეძებ განცხრომას... ბოლოს, ცოტა განტვირთვისთვის, დაპატიჟებულ წვეულებაზე წახვალ და სუფრის თამადა ვინმე ჯემალი, ორი ხელით ჩამოასხამს ლიტრიანი დოქიდან კახურ ღვინოს და სიჩუმისკენ მოწოდებით, გორგასლის ხმლის სადღეგრძელოზე მის მარჯვენას საკუთარი 50 კილოიანი სხეულის მარჯვენით შესვამს და საღამოთი instagramze იმდენ ლაიქს მოაგროვებს, რომ ყველა გოგოებზე მონადირე მის თანამემამულეს შეშურდება... მერე... მერე დაქოქავ მანქანას და გულის გადასაყოლებლად შორი გზით წახვალ სახლისკენ... გზაში ვიღაცის სიგნალი შეგაწუხებს და ვინმე იარაღიანი სამართალდამცველი საკუთარი უფლებების დაცვის მცდელობაში აღმოჩნდება შენს წინ... ამჯერად კი ნაჭამი და ფერხორციანი ახალგაზრდა ძია კაცი, ხმამაღალი ხმით პრავის მომცემს მოიკითხავს დასისხლიანებული ცხვირის ფონზე „თუ ახლობელი იყავის“ ძახილით კუდამოძუებული გზას გაუყვება და დადარდიანებული, ოჯახში დახვედრილ ცოლს ახლობლებსაც და მშობლებსაც კიდევ ერთხელ მოუკითხავს... ამ დავიდარაბის შემდეგ დაბრუნდები სახლში და იმ ტელევიზორის დამტვრევაც მოგინდება, საიდანაც მხოლოდ იმის გარჩევის ხმა ისმის, ვის უფრო მეტად მიუძღვის წვლილი ქვეყნის დანგრევასა და გაუბედურებაში... ბოლოს ჩაჯდები სავარძელში და დაფიქრდები, რა გაბრკოლებს და გაკავებს, ჯერ კიდევ ამ ქვეყნის მოქალაქე და ამ ქაოსის მონაწილე რომ ხარ... მოინდომებ წასვლას, ჩაალაგებ ბარგსაც, დაივიწყებ ყველაფერს, იფიქრებ მხოლოდ ოცნებების მხარეზე, აიღებ ვიზასაც, მოიგებ კონსულის გულსაც, იყიდი ბილეთებსაც, შემოხაზავ კალენდარზე გაფრენის თარიღსაც და მიაღწევ საწადელსაც... წახვალ იმ ნანატრ კუთხეშიც, იშოვნი იმ უშოვნელს, გაილამაზებ ცხოვრებას, გადააგდებ ანდროიდს, გადმოწერ იოსს და ბოლოს მაინც მიხვდები, რომ არ მოიქეცი სწორად... მხოლოდ მაშინ თუ მიხვდები, რა ყოფილა ნამდვილი სიყვარული და მონატრება... აი, ის თამადაც რომ მოგენატრება, აი, იმ ე. წ. „ვაჟნიაკის“ ჩახუტებისთვის რომ ყველაფერს გაიღებდა, იმ ბინძურ ქუჩებში, რომ ნაგვის სუნი ყველანაირ დონალტის სურნელს გირჩევნია... ეკლესიის ზარები რომ დააკლდება შენს სულს და ერთი ქართული საგალობელი რომ ყველაზე მიუღწეველი გახდება შენთვის... მხოლოდ მაშინ მიხვდები, რომ შენ ქართველი ხარ... შენ განსხვავებულად გრძნობ... შენ განსაკუთრებულად აღიქვამ ყველაფერს და რაც მთავარია საკუთარი ცუდი და ამაზრზენი გიყვარს და გირჩევნია მთელს დალაგებულ გალაქტიკას... არა, მეგობრებო... ქართველობა ეს ტიტულია... ის ტიტული, რომელიც გაურკვეველი ლოტოტრონის წყალობით მხოლოდ ჩვენ გვერგო... მთავრობებიც, პრობლემებიც და ყველა სხვა დანარჩენი დამახინჯებული ქმედებები წამრავალია, მაგრამ ქართველობა უკვდავია... ქართველობა ძნელი, მაგრამ აუცილებელი ცნებაა... რა მორიელის თვე, რა ტკბილი ნოემბერი, ხალხო?! ილია გვაჩუქა ამ თვეს უფალმა და ჩვვენ ამის დავიწყება უფრო მარტივად მიგვაჩნია, ვიდრე რაღაც წარმავალი საკითხების აქტუალურ თემად გცევა... ილია მთელი საქართველოა, ილია ჩვენ სწორი გადაწყვეტილებაა, ილია ის საძირკველია, რაზეც ჩვენი თაობა უნდა იდგეს... თუ კიდევ ვარსებობთ, თუ კიდევ სული გვიდგას და ზნედაცემულმა და ღირებულებადაკარგულმა ეპოქამ ბოლომდე ვერ მოგვიღო ბოლო, ილიასი და მისნაირი ხალხის დამსახურებაა... ილია სიამაყეა, ილია მიზეზია ამ ქვეყანაში ცხოვრების და მოღვაწეობის, ილია ჩვენი ვალდებულებაა... ამაზე ფიქრში დღევანდელობა მახსენდება და ცოტა დაბნეული ბოლოს მაინც ვპოულობ პასუხს... ჩვენ თუ ვართ ერი, რომელმაც ილია შვა ამ ქვეყანაზე, ასევე ვართ ერი, რომელმაც მისი მკვლელებიც დაბადა და ისტორიის გვერდზე სირცხვილის ფურცელიც გადაფურცლა... ნუ ვიქნებით ილიას მკვლელების შთამომავლები, ილიას შვილობა თუ გვაქცევს ერად და იმ გზაზე დაგვაყენებს, რასაც ეს უკანასკნელი შეეწირა... წმინდა ილია მართალო, დალოცე შენი ერი და უშველებელი გვიშველე...

ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲜᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲖᲔ

ᲮᲝᲥᲝᲠᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ

ᲕᲐᲮᲢᲐᲜ�გ ᲭᲐᲜᲙᲝᲢᲐᲫᲔ

ქ. გორის საპატიო მოქალაქე,
მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ღირსების მედლისა
და აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი

ექვსიოდე წლის წინ წავიკითხე რევაზ მიშველაძის საკმაოდ სქელტანიანი წიგნი „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“. ეს წიგნი გახლავთ ერის გამოსაფხიზლებელი დედოზარის შემოკვრა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა ერმა ვერ გამოიღვიძა, ვერ განსაზღვრა სწორი ორიენტირები, ვერ ირწმუნა საკუთარი ძალების და კვლავ იმყოფება ხელოვნურად მიძინებული პაციენტის როლში.

ახალი რომანის („ციყვი ბორბალში„) გამოცემით რევაზ მიშველაძე ცდილობს უფრო ძლიერი მაკურნებელი მალამოთი მიესალბუნოს დაუძლურებულ ერს, გამოაღვიძოს იგი და აღუდგინოს ღირსების გრძნობა.

წიგნის პროლოგის ფინალში ბატონი რევაზი (წიგნის მკითხველთა კატასტროფული სიმცირით შეწუხებული) მიმართავს მკითხველს – „იქნებ დაატანოს თავს ძალა და თავიდან ბოლომდე წაიკითხოსო“.

ჰოდა, ყოველგვარი ძალადატანების გარეშე წავიკითხე რამდენჯერმე.

მალამო–პანაცეა არ არსებობს. პირდაპირი დანიშნულების მალამო–მკურნალი, კი. ჰოდა, ვინც ერთხელ მაინც (გულდასმით) წაიკითხავს რევაზ მიშველაძის ახალ რომანს „ციყვი ბორბალში“ ადვილად მიხვდება და ირწმუნებს, რომ ეს რომანი გახლავთ სწორედ მალამო–მკურნალი თავგზააბნეული და უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ერისათვის, რომელსაც გაუნადგურეს პროგრესულად მოაზროვნეთა მთელი არმია და მათ „ჩარეცხილები“ უწოდეს.

ამ წიგნის პირდაპირი დანიშნულება გახლავთ ერის გამოთავისუფლება ჯადოსნური ბორბლის შიდა სამყაროდან, რომელშიც მოაქციეს ციყვი (ანუ საზოგადოება). ციყვი (საზოგადოება) ამაოდ ცდილობს სწრაფი ნაბიჯებით დააღწიოს თავი ჯოჯოხეთს, მაგრამ ამაოდ. დრო გადის და ციყვი (საზოგადოება) ეჩვევა (ეგუება) შექმნილ ვითარებას.

რევაზ მიშველაძის ახალი რომანი მოუწოდებს საზოგადოებას ირწმუნოს, რომ „ეს ცხოვრება ცირკი სულაც არ არის“ და რომ საჭიროა ჯადოსნური ბორბლის შიგნიდან გამომტვრევა და ახალი „ბორბალის“ მშენებლობა. არადა ქვეყანაში სრული ქაოსია. ცხოვრების ყველა სფერო თავდაყირაა დაყენებული. არაკომპეტენტურობამ და მასშტაბურმა უვიცობამ წალეკა ქვეყანა. ზეიმობს: უსამართლობა, დაუსჯელობა, მომხვეჭელობა, ძალადობა და ნეპოტიზში.

რევაზ მიშველაძის ახალი რომანი უთუოდ დიდ როლს ითამაშებს ეროვნული სულიერების განმტკიცებაში და ბანგით გათიშული და მიძინებული ერის გამოფხიზლებაში საჭირო იქნება ფართო საზოგადოებრივი განხილვები, რაშიც ერთ–ერთი მთავარი როლი უნდა შეასრულონ ე. წ. რეგიონალურმა მწერლის სახლებმა.

მართლაც რომ საოცარი რომანის ავტორი მთელი პირდაპირობით და არგუმენტირებული რეალური ფაქტების სააშკარაოზე გამოტანით გამოხატავს თავის არამარტო პროფესიონალურ, არამედ ადამიანურ სულისკვეთებას ერის (მთლიანად) და ცალკეული ადამიანების ტრაგიკულ მდგომარეობასთან მიმართებაში.

ბუნებრივად ისმის კითხვა – როგორ უძლებს საზოგადოება ამდენ სიბილწეს, სიცრუეს და რაც მთავარია – უპერსპექტივობას.

ყურადღებიანი მკითხველი სტრიქონებს შორისაც ამოიკითხავს ბევრ საგანგაშო ამბავს.

წიგნის ავტორი, თანამედროვების კლასიკოსი–პროზაიკოსი, საოცარი ტექნიკითა და პასაჟების დიდოსტატური გამოყენებით, ფართოდ მიმოიხილავს ბოლო 60–70 წლის პერიოდს და ჰარმონიული გადასვლებით გვიხატავს იმ უმძიმეს რეალობას, რა პირობებშიც უწევს ქართველ კაცს ცხოვრება (თუ ამას ცხოვრება ჰქვია).

რომანი „ციყვი ბორბალში“ მოგვიწოდებს არ შევეგუოთ, არ შევეჩვიოთ საშინელების ბორბალში უაზრო ტრიალს, რომ ეს არ მოგვიტანს სიკეთეს.

მსურს ვისარგებლო რეზო ემილიანე ადამიას წერილიდან („მწერლის გაზეთი“. 2016. 12. IX). ამონარიდით „...ახალი რომანის კითხვისას მომავლის იმედი გეძლევა და წელში იმართები. ბატონი რეზო, როგორც მწერალი–ქადაგი, გვმოძღვრავს ისევე როგორც პლანეტის დიდი მწერლები, ნებისმიერი ნობელიანტები და ღვთივკურთხეული, შეუდარებელი სხვა ოსტატები, რომელთა ნააზრევი უსასრულო და უხილავ აზრთსაცავში ჩაედინება. იდუმალებიდან ამოსული რევაზ მიშველაძის შემოქმედება, საკვირველ იდუმალებასვე წარმოშობს; ეს რომანი საუკუნეებს გაუძლებს“...

დაბოლოს – ბევრს კარგავს ის, ვისაც ჯერ კიდევ არ წაუკითხავს (თუნდაც ერთხელ) ქართული პროზის რაინდის რევაზ მიშველაძის, უკვე ბესტსელერად ქცეული, ახალი რომანი „ციყვი ბორბალში“, რომელიც სრულიად სამართლიანადაა წარდგენილი ნობელის პრემიაზე.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ – 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, ქალბატონი თამარ გრიგოლის ასული ჯავახიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო თამარ!

ჩვენო საყვარელო კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები მოწიწებითა და სიყვარულით მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ღირსეულ წევრს და გილოცავენ დაბადების 80 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს. ეს წლები სათნოების, სიკეთის, კეთილშობილების, სიწმინდისა და ერთგულების ემბაზში განბანილი წლებია და ყველას შეახსენებს, რომ თქვენი სახით საქართველოს არამარტო ერთი მშვენიერი პოეტი ჰყავს, არამედ დიდ ქართველ ბანოვანთა ბრწყინვალე შთამომავალიც..

თქვენი პოეტური ნათლობა 1957 წელს შედგა, ზუსტად 60 წლის წინ, როდესაც ჩვენი დედა-უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა ალმანახ „პირველ სხივში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები.

თქვენი პოეტური კრებულები „ლექსები“ და „სანამ გვახსოვს“, უპირველეს ყოვლისა, დიდი ადამიანური სევდით გამოირჩევა. ეს არც არის გასაკვირი. თქვენ ხომ მაცხოვარივით ჯვარცმული ქვეყნის შვილი ხართ, მარადიული ტანჯვისა და გვემისთვის განწირული ქვეყნის შვილი, რომლის მახსოვრობის უღრანებში ის შემზარავი სურათები შემორჩენილა, დღესაც რომ გვაფორიაქებს და მოსვენებას გვიკარგავს.

დიახ, თქვენი მშვენიერი ლექსები ბუნებრიობით და უშუალობით, დიდი გემოვნებით და ნატიფი პოეტური კულტურით გამოირჩევა. მართლაც რომ დახვეწილი, კოლორიტული, ფიქრიანი შემოქმედი ხართ; თანაბრად ფლობთ როგორც ტრადიციულ, კლასიკურ ფორმებს, ასევე თავისუფალ ლექსსაც და ორივე შემთხვევაში, უპირველესად, ქართველ პოეტად რჩებით...

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა ინგლისურ, რუსულ, პოლონურ ენებზე. გამოქვეყნდა უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში.

წლების განმავლობაში მუშაობდით თბილისის კინოგაქირავების სარეკლამო ბიუროში მთარგმნელად, კინოკორპორაცია „ქართული ფილმის“ აღსადგენი და სადუბლიაჟო ფილმების შემოქმედებითი გაერთიანების რედაქტორად და მუდამ ქართული ხელოვნების, ქართული კულტურის წინსვლასა და განვითარებას ემსახურებოდით.

მონიჭებული გაქვთ ანა კალანდაძის სახელობის პრემია. გვიხარია, რომ სულ ახლახან ქართული პოეზიის ბერმუხის გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიით დაჯილდოვდით.

როგორ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს, რომ ჭაბუა ამირეჯიბის, ქართული მწერლობის კლასიკოსის, ტრიუმფალური წარმატებები წარმოუდგენელი იქნებოდა, თქვენი სახით უერთგულესი მეუღლე და თანამებრძოლი რომ არ ჰყოლოდა.

ქალბატონო თამარ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს დიდებულ პოეტსა და ქალბატონს, დღეგრძელობასა და მზეგრძელობას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲚᲝᲠᲘᲐ – 70

პოეტი, ექიმი და კარგი კაცი!

მოსკოვში მცხოვრებ ცნობილ პოეტსა და ექიმს ვლადიმერ ლორიას 70 წელი შეუსრულდა. იგი არის სახელგანთქმული ექიმი და შესანიშნავი პოეტი, არაერთი პოეტური კრებულისა და ლექსის ავტორი. წერს რუსულად (გარემოებათა გამო მთელი ცხოვრება რუსეთში აქვს გატარებული). მიუხედავად ამისა, იგი სულითა და გულით ქართველი ადამიანი და ამასთან კაცური კაცი, შემოქმედი, მოღვაწე, რუსეთის დამსახურებული ექიმი, ყველას დამხმარე, მკურნალი და მეგობარია. რამდენიმე ათეული წელი მუშაობდა ლიტფონდის ცნობილ პოლიკლინიკაში ექიმ-თერაპევტად, იყო არაერთი გამოჩენილი მწერლის მკურნალი და მეგობარი. ძალიან უყვარს საქართველო. მისი ლექსების უმრავლესობა და მთლიანად ლექსთა ციკლებიც კი ამ ქვეყანას ეძღვნება.

მოსკოვში გამომავალმა პრესტიჟულმა ლიტერატურულმა ჟურნალმა „პოეზია“ მთელი გვერდები უძღვნა მის ქართულ წარმომავლობას, მის წინაპრებს. ასეა, „კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა, იქ ილოცე!...“

ვლადიმერ ლორია ხშირად მონაწილეობს მოსკოვში გამართულ საქართველოსადმი მიძღვნილ ლიტერატურულ ღონისძიებებში. მისი არაერთი ლექსია ქართულად თარგმნილი. უკანასკნელ წლებში საქართველოში დაიბეჭდა მისი ლექსების მაყვალა გონაშვილისეული თარგმანები, რომლებმაც მკითხველთა ყურადღება დაიმსახურეს. სერგეი მიხალკოვის სახელობის საერთაშორისო ლიტერატურული პრემიის ლაურეატი მაყვალა გონაშვილი დღესაც აგრძელებს ვ. ლორიას ყურადღებამისაქცევი ლექსების თარგმნას და ჩვეული პროფესიონალიზმით ეკიდება ამ საქმეს.

აქვე სიტყვამ მოიტანა და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად მაყვალა გონაშვილის ლექსების თარგმანებიც დიდი მოწონებით სარგებლობს რუსეთში, იბეჭდება იქაურ ჟურნალ-გაზეთებსა და ალმანახებში. გამოდის ცალკე წიგნებად. მის ლექსებს თარგმნიან გამოჩენილი რუსი პოეტები, მთარგმნელები და დიდი წარმატებითაც.

მაყვალა გონაშვილის ლექსების შესაბამისი ბწკარედული თარგმანები გვთხოვეს (სტრასბურგში, მწერალთა და გამომცემელთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე, კონგრესმენთა სასახლეში ჩემი გამოსვლის შემდეგ, სადაც, სხვასთან ერთად, იმხანად ახალგამოსული მისი რუსულენოვანი პოეტური კრებულიც წარვადგინე) ფრანგულ და ფინურენოვანმა პოეტებმა და მთარგმნელებმა და ჩვენც სპეციალისტების დახმარებით მალე მათ პარიზსა და ჰელსინკში გადავაგზავნით.

გამოდის, რომ ქართული პოეზია იფართოვებს თავის საზღვრებს და მალე, ალბათ, ჩვენი მოკრძალებული მცდელობით, ბევრ უცხოურ გამოცემაში შემოვიღებთ და დავამკვიდრებთ მუდმივმოქმედ რუბრიკებს - „ქართული პოეზია - საზღვრებს გარეშე!“ - რუსთაველის ქვეყანა ამას იმსახურებს!...

ᲑᲔᲭᲐᲜ ᲜᲐᲛᲘᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

***P.S.** რედაქცია სულითა და გულით ულოცავს ბატონ ვლადიმერ ლორიას საიუბილეო თარიღს და გთავაზობთ მაყვალა გონაშვილის მიერ თარგმნილ ვლადიმერ ლორიას ლექსს:*

***

იოსებ გრიშაშვილს,
ერვანდ კარაპეტიანს

მტკვრის ზედაპირზე
ამოხტა ლოქო
და სმენას მოსწვდა დუდუკის
კვნესა,
წამოდი, ძმაო ერვანდ, ხარფუხში,
პოეტის სახლი მოგველის დღესაც.
ფიროსმანივით ფიქრარეული
ჩახედავს თასს და გაირინდება,
თითქოს ცარიელ ჭიქის
ფსკერს შერჩა
ყოფის არსი და ჭეშმარიტება,
თითქოს ოლხენდა,
თითქოს ღრეობდა
და სულით იყო მაინც ეული,
მოლასლასებდა დუქანში ჟამი
ლოთი კაცივით ფეხარეული.
ლექსს დააწერდა ყაზბეგის
კოლოფს,
მერე თვალებით მსმენელს
ეძებდა,
დუქნის კუთხეში იჯდა
მესტვირე,
გუდა-სტვირს ბნელში ააკვნესებდა.
დღეს ის დუქანი ნეტავ,
სად არის?
რად დაივიწყა ის დრო თბილისმა,
შერჩა პოეტის ლექსებს და
ჰანგებს
ძველი ქალაქის ჯადო-თილისმა.
სახლებს რტოებით ეხება ქარი,
მწიფე ბროწეულს დასცვივდა
ლალი,
ისევ მაღელვებს პოეტის ლექსი
და წარსულისკენ კვლავ მრჩება
თვალი.

გოდერძი გოდერძიშვილი

(განდეგილი ბერი გიორგი)

გემი

ცის კაბადონზე მიაპობ ტალღებს,
გამონაღწევი შტორებს და გრიგალს,
წმიდა მისიის შენს თავზე ამღებს,
აურაცხელი სიმდიდრე მიგაქვს.
ვიცი, საღამოს მოჰყვება დილა,
წარსულს შეერთვის წუთები თმენის,
დარია თუმცა, იყავი ფრთხილად,
ნაპირზე დაფნის გვირგვინი გელის,
დაგლოცავ უფლის კარნახით მავალს,
საოცარია განგების ძალა,
გადაგარჩინა განსაცდელს მრავალს,
კვლავ უძლეველი იქნები ხვალაც.
ნუ გაიხსენებ წყლით სავსე ტრიუმს,
უმწეოდ აწვდილს, მთრთოლვარე ანძას,
ყური მიუგდე მომავალ ტრიუმფს,
სულში სიმართლის ჭეშმარიტ ხანძარს.
უმტკიცესია შენი ბუნება,
შენი გზა–კვალის კომპასი, მკაცრი,
ის მხოლოდ ზენიტს ემსახურება,
უარმყოფელი მტვრისა და ნაცრის,
შენ, ჩემო იდო, თეთრო ხომალდო,
უფლის კურთხევა გფარავდეს მარად,
შენ სვე–ბედი ცამ მე მომანდო,
ლოცვად და სანთლად,
ხანჯლად და ფარად.
მიესალმები როდესაც ნაპირს,
ასწვდება ზეცას შენი ბუბუნი,
გადაეშვება ბორტიდან ტრაპი,
შტორმებს და გრიგალს
შთანთქავს
უკუნი.

პოეტი თუ ხარ

პოეტი თუ ხარ,
ვიზიარებ შენს მწუხარებას,
რკინის საწოლზე
ქვა რომ გიდევს
ბალიშის ნაცვლად,
რომ დაგატყვევა
ქრისტეს რჯულმა და სახარებამ,
გულს რომ გიწვალებს
ასი ფიქრი, ათასი განცდა.
დაგიმძიმდება რკინის სული,
ხვნეშით ატარებ,
შენი წამება
სალოცავად ავა ღმერთამდე,
ადამიანის გაექცევი, –
სულით პატარებს,
ღამის ზღაპარიც
რომ დაითვლის ათასერთამდე.
თუ ხარ პოეტი –
ფოლადივით დარეკე ზარი,
გაუძელ ტანჯვას,
მოკვდი ასჯერ, –
მხოლოდ იცოდე:
ერთი ნაბიჯი,
გადადგმული –
ფლიდი და მცდარი,
შენ მოღალატეს,
არაპოეტს,
ლაჩარს გიწოდებს.
შეგაძლებინოს ღმერთმა
მძიმე ტვირთის ტარება,
ეკლიან გზაზე
ზეციური ფიფქი გათოვდეს,
პოეტი თუ ხარ, –
ვიზიარებ შენს მწუხარებას,
ბალიშის ნაცვლად,
ქვა რომ გიდევს,
რკინის საწოლზე.

მე მჯერა

მე მჯერა, რომ შენ არსებობ სადღაც,
ჩემს დედულეთში ან უფრო იქით,
თავზე ნათელი გვირგვინი გადგას,
სივრცეში ხედავ ჩემს ფიქრებს ფიქრით.

მარტოობაში ვპოვე სავანე,
და გავითხარე სამარე ცოცხლად,
შენ დააფეთებ მტვრიან ტრამალებს,
და მომავალში ნამდვილად მოხვალ.

უშენოდ მიჭირს ქაჯეთთან ომი,
(ვიბრძვი კი, თუმცა, მთელი ბუნებით),
ვესაუბრები ვარსკვლავებს ცთომილთ
და გამარჯვებას ვემსახურები.

საიდან მოხვალ ის მე არ ვიცი,
მოჰყვები ქარს თუ ორთვალა ურმებს,
ვიცი, რომ დიდხანს, მშვიდად დაგიცდი,
რადგან ლექსს დედაც სჭირდება თურმე.

მე მჯერა, რომ შენ არსებობ სადღაც,
ჩემს დედულეთში ან უფრო იქით,
თავზე ნათელი გვირგვინი გადგას,
სივრცეში ხედავ ჩემს ფიქრებს ფიქრით.

მეორედ მოსვლა

თითო ქვა ყველამ გესროლა, ალბათ,
იყვნენ ისინიც, – ვინაც ტიროდა,
როცა ანაზდად – წაგიღო წყალმა,
გადმოგცქეროდნენ სანაპიროდან...
მეორედ მოსვლის იმედით, ტანჯვით,
მიუყვებოდი უვალ ბილიკებს,
უსაზღვრო იყავ – სიკეთის ხარჯვით,
პასუხად – მწარედ გაგაქილიკეს.
დედა ღვთისმშობლის ცრემლების მიღმა,
მოსვლა – პირველი გინათებს წარსულს,
გახედავ კრძალვით – გარდასულ სიზმარს,
ხეს კეთილისას, სრულყოფილს, ზრდასრულს.
მოხველ მშვიდობით, მკაცრი ღიმილით,
გზად თან მომყოლი, მცირედი ტვირთით,
გადაივიწყე სულის კივილი
ნარ–ეკლიანი, დიდი გზის იქით.
საფანტებივით მოფრქვეულ ჭორებს,
ჭეშმარიტების სხივით ანათებ,
აღარ დაუფენ მარგალიტს – ღორებს,
აღარც მიუპყრობ ყვრიმალს ჯალათებს.
ღმერთია შენთან აწ და მარადის,
ყოველი წამით – მისია ნება,
ის საიდუმლო რასაც ვფარავდით,
მეორედ მოსვლის კანონით ხდება.

ვერ დავიჯერებ

ვერ დავიჯერებ,
რომ ამ პლანეტას
და გალაქტიკებს
პატრონი არ ჰყავს;
ვერ დავიჯერებ,
გვამთან ერთად
კვდებოდეს სულიც,
არ ჰქონდეს ძალა
და მიზანი
ძველთაძველ საყდარს,
მხოლოდ ჭამა–სმა არსებობდეს,
ქალი და ფული.
ბოროტთა ბოსი
რომ მოუგებს
გადამწყვეტ ჭიდილს,
სიკეთის გზათა მსახურების
წმიდა ლიდერებს,
რომ გაიმარჯვებს,
ვინც სამშობლოს
ორ გროშად ჰყიდის,
რომ უაზროა
ეს სიცოცხლე,
ვერ დავიჯერებ...

ნუ გამახსენებ

ნუ გამახსენებ
მოჩვენებას,
ღამის ფერიას,
გარდასულ სიზმარს,
აცრემლებულ
ტირიფს დაშვებულს,
ბაღის ხეები
მის დანახვას
დღესაც ელიან,
ბრწყინვალე ხილვას,
ღვთიურ ნათელს,
გაკაშკაშებულს;
სულის ფოლადი
დიდ სიმძიმეს
ვეღარ გაუძლებს,
ძველი ხილვები -
ფიქრს დღევანდელს
სევდით ავსებენ,
რამე მსუბუქზე
გამაცინე,
გამესაუბრე,
თავდახრილ
ტირიფს,
ატირებულს,
ნუ გამახსენებ.

ნომადი ბართაია

დავით აღმაშენებლის ეთთი დამსახურების შესახებ ქართველი ეთის წინაშე

ეს მოხდა 632 წელს

ვიდრე უშუალოდ საკითხს შევეხებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ზოგადად წარმოვაჩინოთ XII საუკუნის მახლობელ აღმოსავლეთსა და საქართველოში მომხდარი პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული პროცესები.

ორმოცი წლის იყო მუჰამადი ხილვები რომ დაეწყო და - სამოცდაორის - რეალობად რომ აქცია ისინი. სულ რაღაც ოცდაორი წელიწადში მან შეძლო არაბეთის ნახევარკუნძლზე მიმოფანტული მრავალღმერთიანი არაბული ტომები ერთი ღმერთის გარშემო შემოეკრიბა და ისლამის დროშის ქვეშ დაერაზმა.

დიახ, ის-ის იყო მუჰამადმა დარაზმა არაბები ისლამის დროშის ქვეშ, არაბეთის ნახევარკუნძულიდან გასასვლელად და დაპყრობითი ომების საწარმოებლად, მაგრამ სწორედ მაშინ მოუწია მას გასვლა ამ სოფლიდან.

ეს მოხდა 632 წელს.

632 წელი გახდა მახლობელი აღმოსავლეთის, მათ შორის ირანელი ხალხებისთვის ახალი ერის დასწყისი.

იმავე წელსვე დაარსდა ხალიფატი. ხელისუფლეს საათავეში მოვიდნენ ომაიანები. დაიწყო მოჰამადის იდეის განხორციელება და არაბები ელვისებურად დაეპატრონენ მთელ მახლობელ აღმოსავლეთს. მათ ერთდროულად შეუტიეს ერთმანეთთან ბრძოლებში დასუსტებულ ირანსა და ბიზანტიას და უკვე მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისისთვის გამარჯვება მოიპოვეს ირანზე, ხოლო ბიზანტიას ჩამოაცილეს აღმოსავლეთის პროვინციები - სირია და ეგვიპტე. ამავე დროს ამიერკავკასიაში გააგზავნეს მარბიელი ლაშქრები.

მოხდა წარმოუდგენელი რამ, მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა იმპერიამ, ოთხსაუკუნოვანმა სასანურმა ირანმა, უცებ დაკარგა ცამეტსაუკუნოვანი ზოროასტრული რელიგია, მშობლიური ანბანი და სალიტერატურო ენა, სანაცვლოდ მიიღო ისლამი, არაბული ანბანი და სალიტერატურო ენად - არაბული. (ამ დროს ქართველებმა, იმავე დამპყრობთა ხელში ყველაფერი შეინარჩუნა).

ჩაბარდა წარსულის ირანის სახელმწიფოებრიობა, რომელიც, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მეათე საუკუნეში, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, სამანდების მიერ დამოუკიდებლობის ნაწილობრივ აღდგენას, ირანს, ცხრა საუკუნე, სეფიანი შაჰების მოსვლამდე, სახელმწიფოებრიობა დაკარგული ჰქონდათ.

არაბები, შედარებით ირანელებთან, პოლიტიკურად და კულტურად განვითარების დაბალ საფეხურზე იყვნენ, ამიტომ ისინი, ამ მიმართულებით, წარმატებით იყენებდნენ ირანულ რესურსებს. ირანელებიც ყოველმხრივ აქტიურად ჩაებნენ არაბთა იმპერიის სამსახურში, პოლიტიკური კუთხით იქნებოდა ეს თუ კულტურული. განსაკუთრებით კი კულტურის სფეროში გამოიჩინეს თავი ირანელებმა.

არაბული ენის პირველი გრამატიკის ავტორი ირანელი იბნ ალ-მუყაფაა და ასე შემდეგ.

არაბებმა დაიწყეს თარგმნა ცივილური სამყაროს მონაპოვრებისა, აღმოსავლურიდან თუ ჰუმანიტარული ძეგლები შემოედინებოდა თარგმანის გზით, დასავლურად ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი მოიკვლევდა გზას.

ასე ჩაისახა და დაიწყო განვითარება კულტურამ, რომელიც არაბულ-მუსლიმური კულტურის სახელით დარჩა ისტორიაში.

მხოლოდ ერთი შეხედვით

ერთი შეხედვით, ირანელები გაარაბდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. გარეგნულად მოუსხამთ თურმე ირანელებს არაბული მანტია. აღმოჩნდა, რომ ირანელებში არ ჩამქრალა ეროვნული სული, რომელსაც გასაქანი მიეცა 750 წლიდან, ირანული ორიენტაციის მქონე აბასელთა დინასტიის მოსვლის შემდეგ.

სახალიფოს პირველი საუკუნე, ანუ ომაელთა ბატონობის ხანა, მძიმე იყო ირანელთათვის, რადგან ომაელები ზემოდან უყურებდნენ დაპყრობილ ხალხებს. აბასიდების დროს კი ისლამი გახდა საერთაშორისო რელიგია და წაიშალა ეთნიკური ზღვარი არაბებსა და არა არაბებს შორის, რაც კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწვა გლეხობას, იმ მიზეზით, რომ „თუ ომაელების დროს მათ მარტო არაბები „ჭამდნენ“, ახლა ირანელი და ადგილობრივი ფეოდალებიც მიემატნენ და გლეხი აუტანელ მდგომარეობაში აღმოჩნდა“ (ვ. გაბაშვილი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, ვ. გაბაშვილის რედაქციით, გვ. 106, თბილისი, 1957).

ყოველივე ამას მოჰყვა გლეხთა აჯანყებანი, რომელთა დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ სახალიფოს პოლიტიკურ ასპარეზზე დანინაურებული ირანელი და შუა აზიელი ფეოდალები

აბასიდების ხალიფებიც თანდათან ნომინალურ მმართველებად იქცნენ და იმპერია IX საუკუნიდან საამიროებად იწყებს დაშალას.

დაიწყო ანტიარაბული სახალხო ინტელექტუალური მოძრაობა. ირანელთათვის მამოძრავებელი ძალა აღმოჩნდა შემდეგი: „ჩვენ ჯემშიდის ჩამომავლები ვართ, არაბს კი თავისი პაპის სახელიც არ ახსოვს“ (გაბაშვილი 1957: 107).

ასე დადგა დღის წესრიგში ირანის სახელმწიფოებრიობის აღდგენის სკითხი. მალე ეროვნულმა დინასტიებმა წამოჰყვეს თავი, თაჰერიდების, საფარიდებისა და სამანიდების სახით და საბოლოოდ, როგორც ჯეიმს დარმსტეტერი წერს: „სამანიდებთან ერთად ტახტზე სპარსული ენაც ავიდა“ (ჯ. დარმსტეტერი, სპარსული პოეზიის სათავეებთან, თარგმანი ფრანგულიდან ბაჩანა ბრეგვაძისა, გვ. 9, თბილისი, 1985).

ასი წელი გასტანეს სამანიდებმა. ამ დროს ახალ სპარსულ ენაზე შეიქმნა დიდი ლიტერატურა, რომელზედაც ფართოდ გაიშალა და დგას დღემდე დიდი სპარსული მწერლობა.

არსებობის საუკუნის თავზე, ბუიდებთან მრავალწლიან ბრძოლაში დასუსტებული სამანიდები მათსავე კარზე მონობიდან სულთნობამდე აღზევებულმა სამხედრო პირმა, თურქმა მაჰმუდ ღაზნელმა დაამხო.

თურქები ანტიირანული განწყობისანი იყვნენ. მაჰმუდ ღაზნელმა სცადა სპარსულის ნაცვლად ისევ არაბული ენის დაბრუნება ირანში, მაგრამ სპარსულ ენაზე ანყობილი სახელმწიფო სტრუქტურების გადაყვანა სხვა ენაზე არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ამავე დროს, ღაზნელები სამანიდების კარზე იყვნენ აღზრდილები, მათ სმენას სპარსელზე არანაკლებ ატკბობდა ტკბილხმოვანი სპარსული ყასიდები, რამაც ერთგვარად ხელი შეუწყო სპარსულის დარჩენას თავის ფუნქციებში.

მაჰმუდ ღაზნელმა ინდოეთი დალაშქრა, სადაც შეიტანა ისლამი და სპარსული ენა, რითაც სპარსულ ენას მეტი ასპარეზი მიეცა. თუმცა ნამდვილი ასპარსეზი მას, როგორც ვნახავთ, თურქ-სელჯუკთა ბატონობის ხელში მიეცა.

ორრქიანი გვირგვინი

ნახევარ საუკუნემდე გაძლეს ღაზნელებმა, რომლებიც მერე თურქ-სელჩუკებმა შეცვალეს. სელჩუკთა დინაასტიის დამაარსებელმა თოღრულ-ბეგმა 1055 წელს აიღო სახალიფოს დედაქალაქი ბაღდადი. მას თავზე ორრქიანი გვირგვინი, ნიშნად აღმოსავლეთისა და დასავლეთის მფლობელისა, თვით ხალიფამ დაადგა.

თურქ-სელჩუკებმაც დაპყრობილ ირანში, სპარსული ენა დატოვეს თავის ფუნქციებში.

ახალი დამპყრობლები ირანის დაპყრობით არ შემოფარგლულან. ისინი მოედვნენ მთელ მახლობელ აღმოსავლეთს მოედვნენ, შექმნეს იმპერია და სპარსულ ენას, ძალაუნებურად, არნახული ასპარეზი მიეცა.

ამგვარად, მოხდა ისე, რომ პოლიტიკურად დაპყრობილმა ირანმა კულტურულად დაიპყრო არა მარტო დამპყრობელი თურქ-სელჩუკები, არამედ მთელ მის იმპერიაში შემავალი ხალხები.

ასე რომ, მახლობელ აღმოსავლეთში არაბებს პოლიტიკურად ჩაენაცვლნენ თურქ-სელჩუკები, არაბულ სალიტერატურო ენას - სპარსული, ხოლო არაბულ-მუსლიმურ კულტურას - ახალ თვისობრივ რანგში გადასული სპარსულ-მუსლიმური კულტურა - გაგრძელება არაბულ-მუსლიმური კულტურისა.

ბუნებრივია, თურქ-სელჩუკთა იმპერიაში შემავალ ყველა ხალხს ჰქონდა თავისი კულტურა, ასევე ბუნებრივია, რომ მათგან გამოსულ ყველა შენაკადს შეჰქონდა რაღაც თავისი საერთო სპარსულ-მუსლიმურ კულტურის ოკეანეში. სწორედ ამიტომ „გარეგნულად ირანულ ფორმაში გამოხვეული კულტურაში (შუა აზიიდან ეგვიპტემდე) გამჭვირვალედ მოჩანს თურქ-სელჩუკთა მიერ დაპყრობილი ხალხების თავისთავადი, ადგილობრივ ნიადაგზე განვითარებული კულტურა, ხელოვნება, მწერლობა“ (ვ. გაბაშვილი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, ვ. გაბაშვილის რედაქციით, გვ. 137, თბილისი, 1957).

აი, რატომ არის სპარსულ-მუსლიმური კულტურა, კერძოდ, მისი ერთ-ერთი დიდი შემადგენელი ნაწილი - ლიტერატურა - მსოფლიოში სახელგანთქმული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი გაგრძელდა ირანში მონღოლთა და თემურელთა ბატონობის ხანაშიც, რამაც განაპირობა ის, რომ დღეს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში მიმოფანტულა სპარსულენოვან მხატვრული სიტყვის ისეთ დიდოსტატთა საფლავები, როგორიც არის ნიზამი განჯელისა (XII) - აზერბაიჯანში, ჯელალ ედ-დინ რუმისა (XIII) - თურქეთში, ხოსრო დეჰლევისა - ინდოეთში (XIII-XIX), აბდ ორ-რაჰმან ჯამისა (XV) - ავღანეთში და სხვა.

ამ დროს ტერმინი „სპარსი“ ქართველთათვის გახდა სინონიმი ზოგადად მაჰმადიანისა და კულტუროსანი ხალხისა.

აქვე შვნიშნავთ, რომ მონღოლთა ხანიდან სპარსს, უარყოფითი შინაარსით, ჩაენაცვლა თათარი, რამაც შებღალა ის იმიჯი, რომელიც გააჩნდა მას ქართველთა წარმოდგენაში თურქ-სელჩუკთა ბატონობისას.

ეს მცირე ექსკურსი იმიტომ gavakeTeT, რომ დაახლოებით ზოგადად წარმოგვეჩინა თუ რა სახის კულტურასა და ლიტერატურასთან ჰქონდა შეხება ქართულ მწერლობას XII საუკუნეში.

საქართველოში ამ დროს

საქართველოშიც ამ დროს მოხდა ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა. დავით მეოთხემ, რომელსაც ხალხმა მერე უწოდა აღმაშენებელი, მეათე საუკუნიდან - ბაგრატ მესამედან დაწყებული საქართველოს გამთლიანების პროცესი ბოლომდე მიიყვანა და შექმნა ისეთი დამოუკიდებელი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც თავდაცვითი ომებიდან თავდასხმით ომებზე გადაიყვანა.

რა თქმა უნდა, თურქ-სელჩუკები გულცივად არ დაუწყებდნენ ცქერას საქართველოს და 1080 წლიდან ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იწყება მათი თარეშიც. „თურქების შემოსევა არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელებისა თუ არაბების ბატონობისგან. თურქები მომთაბარე-მეჯოგენი იყვნენ. ისინი გადმოსახლებით მოდიოდნენ და დაპყრობილ ქვეყნებში თავისი მეურნეობისათვის საჭირო მიწებს იჭერდნენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ როგორ შეუთავსებელი, როგორ ერთმანეთის გამომრიცხველი იყო ორი მეურნეობა - თურქულ-მომთაბარული და ქართულ-ფეოდალური“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, მნათობი, 6, გვ. 123, თბილისი, 1954).

ოთხი ათეული წელი გასტანა საქართველოში თურქთა თარეშმა, რასაც ბოლო მოუღო დავითმა და რომელიც 1121 წელს დავითის მიერ თბილისის არაბთა ოთხსაუკუნოვანი ბატონობისგან განთავისუფლებით დაგვირგვინდა.

იმ მრავალ ქმედებათაგან

იმ მრავალ გარდამტეხ ქმედებათაგან, რომელიც განახორციელა დავითმა, ამ შემთხვევაში გამოვყოფდით ორს: ქვეყნის შიგნით ტოლერანტიზმის დამკვიდრებასა და ქვეყნის გარეთ - შირვანთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას.

ტოლერანტობაზე ნათლად მეტყველებს არაბ ისტორიკოსთა ცნობები. აი, ზოგი მათგანი:

ალ-ფარიკი: დავით IV-ემ „მიაგო მუსლიმებს უდიდესი პატივი, მეცნიერებს, ღვთისმეტყველებსა და სუფიებს ისეთი ღირსება და პატივი ჰქონდათ, რაც არ ჰქონდათ [თვით] მუსლიმებთანაც კი“;

ალ-ჯაუზი: დავით IV და მისი ვაჟი დემეტრე I საჯაროდ გამოხატავდნენ თავიანთ პატივისცემას ისლამისადმი. ისინი პარასკეობით დადიოდნენ მეჩეთში, ისმენდნენ ხუტბასა და ყურანის კითხვას, ასაჩუქრებდნენ ხატიბსა და მუაზზინებს“;

ალ-ფარაჯი: „მე ვნახე ალიმები, მქადაგებლები, დიდებულები, სუფიები, მლოცველები, რომელთაც მეფე (დემეტრე I) პატივით იღებდა და ასაჩუქრებდა. ის კეთილად ექცეოდა [მათ], რისი მსგავსიც არ არსებობს. მე ვნახე [იქ] ისეთი პატივისვემა მუსლიმებისა, რაც ბაღდადშიც კი არ ექნებოდათ“;

სხვა ცნობით, დავითმა „ააშენა ქარვასლები სტუმართათვის და სახლები მქადაგებელთათვის, სუფიებისა და პოეტებისთვის დააწესა მათთვის სტუმართმოყვარეობა“ (გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 242, თბილისი, 1995).

შირვანთან მჭიდრო ურთიერთობაზე კი ის მიუთითებს, რომ დავითმა იგი პოლიტიკურად ვასალურ ქვეყანად გაიხადა, ხოლო დინასტიური ქორწინებით - დაინათესავა - თავისი ქალიშვილი თამარი შირვანშაჰ მანუჩარ მეორეზე დაქორწინა.

პოლიტიკურთან ერთად, გაიდო კულტურული ხიდი ორ ცივილურ სამყაროს - ქრისტიანულსა და ისლამურს შორის.

მნიშვნელოვანი ცვლილება

არაბთა ხალიფატის დაშლის პროცესი დღვანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებსაც მოედო.

შირვანზეც ისე თარეშობდნენ თურქ-სელჩუკები, როგორც საქართველზე, რომლებთა წინააღმდეგ ბრძოლაში დავითმა მოკავშირედ გაიხადა შირვანშაჰები. სწორედ შირვანის დაპყრობის შემდეგ აიღო თოღრულ-ბეგმა ბაღდადი და დაიდგა იმპერიის გვირგვინი თავზე.

თურქ-სელჩუკთა მიერ ჩრდილოეთ ირანის, დღევანდელი აზერბაიჯანის, დაპყრობას, პოლიტიკურ-კულტურულთან ერთად, მოჰყვა ეთნიკური ცვლილებები. მოხდა ადგილობრივი ირანული ტომის მოსახლეობის გათურქება, რასაც მოჰყვა საშუალო სპარსული ენის თურქულით ჩანაცვლება.

სახალიფოს დაშლამდე, ამ ტერიტორიის მოსახლეობის სახელმწიფო და კულტურის ენა იყო არაბული, რომელსაც თურქ-სელჩუკთა ბატონობისას, მას ჩაენაცვლა სპარსული.

ადგილმონაცვლეობა ლიტერატურულ ცენტრთა

სამანიდებს ტახტი შუა აზიის ქალაქ ბუხარაში ედოთ. სპარსული ლიტერატურის ცენტრიც იქ იყო, რომელიც ხელისუფლებაში ღაზნელთა გამოჩენასთან ერთად, ღაზნაში გადავიდა, ხოლო თურქ-სელჩუკთა მოსვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, იმპერიის სატახტო ქალაქი ისპაჰანი იყო, მისი გადანაცვლება აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთ ირანში, კერძოდ, შირვანში მოხდა. შეიქმნა სპარსული ლიტერატურის შირვანის სკოლა, სადაც განვითარების ახალ საფეხურზე ადის სპარსული ლექსი, რომელიც შემდეგ ტონის მიმცემი ხდება შემდეგ სპარსული პოეზიისადმი.

სპარსულ მწერლობაში ცნობილია სამი სტილი, სამი მშვენება სპარსული ლიტერატურისა: ხორასნული (XIს.) - იგივე სამანიდური, ერაყული (XII-XVსს.) - იგივე აზერბაიჯანული და ინდური (XVI-XVIIIსს.) - იგივე ისფაჰანური. ანუ იმის თქმა გვინდა, რომ ერთ-ერთი თვისობრივად განსხვავებული სტილი, რომელიც მოიცავს სპარსული კლასიკური პერიოდის ლიტერატურის უდიდეს პერიოდს (XII-XVIსს.) შირვანის ლიტერატურული სკოლიდან იღებს სათავეს.

ერთიანი სივრცე

ასევე მოხდა საქართველოშიც, პოლიტიკური ცენტრის ადგილმონაცვლეობას დასავლეთიდან აღმოსავლეთში მოჰყვა ლიტერატურული ცენტრის მონაცვლეობაც, რის გამოც ორი კულტურის ცენტრი - შირვანისა და საქართველოსი, რომელიც მდებარეობდა თბილისში, გეოგრაფიულად დაუახლოვდა ერთმანეთს.

იმასაც თუ გავითვალსწინებთ, რომ შირვანი ამ დროს საქართველოს ვასალური ქვეყანა იყო, რომელიც 1124 წლიდან შემოიერთა დავითმა, იმისი თქმაც შეიძლება, რომ სპარსული ლიტერატურული ცენტრი ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეშიც კი მოექცა, რამაც ხელი შეუწყო ქართულ-ქრისტიანულ და სპარსულ-მუსლიმურ კულტურათა ურთიერთ დაახლოებას.

როგორც წყალი მიშვებული წისქვილის ღარზე

მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებს მოჰყვა ლიტერატურულ ცენტრთა ურთიერთობანი და როგორც წყალი მიშვებული წისქვილის ღარზე, ისე დაიწყო შემოდინება სპარსულმა ლიტერატურამ ქართულ მწერლობაში.

სამწუხაროდ, მათგან მხოლოდ „ვისრამიანის“ უბადლო თარგმანმა მოაღწია ჩვენამდე, დანარჩენთა არსებობის შესახებ ქართულ მწერლობაში (ფირდოუსის შაჰნამე, ნიზამისა და ონსორის პოემები, ქილილა და დამანა...) ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახეს მხოლოდ ცნობები.

ასე მაგალითად: ქართლის ცხოვრებაში მემტიანე ერთ ფრაზაში გიორგის „შაჰნამეს“ ოთხ გმირს ადარებს, ესენია: ქაიხოსრო, სპანდიარი, თაჰამთა (როსტომს) და სიაოში: „მამამან ძითურთ ძე ტკბილ, შემგუარი მამისა“ (ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 3, თბილისი, 1942), რაც იმას მოწმობს, თუ რაოდენ ნაცნობი და ახლობელი ყოფილან ჯერ კიდევ XII საუკუნეში„შაჰნამეს“ გმირები ქართველთათვის.

თითო მაგალითი „ვეფხისტყაოსნიდან“ და „ვისრამიანიდან„:

„ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავს უგრძესისა“ (შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოანი, სტრ. 196/3, თბილისი, 1966).

„ნეტარძი, თუმცა ცხენსა ზედა მჯდომი მაშურალი ვნახო, რომელ პირი ჩემკენ ექმნას და ზურგი მარავისკენ! ნეტარ ვერ ვნახავ ჩემთუის მოსრულსა ჭაბუკად როსტომის საბატონოსა“ (ფახრ ედ-დინ გორგანელი, ვისრამიანი, ალ. გვახარიასა და მ. თოდუას რედაქციით, გვ. 113, თბილისი, 1962).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ვისრამიანში“, სპარსულიდან ნათარგმნი ძეგლშიც კი, როცა დედანში არ არის ნახსენები „შაჰნამეს“ პერსონაჟი როსტომი, თარგმანში მოხსენებულია, რაც იმის მაუწყებელია, თუ როგორი მახლობელი იყო მაშინ ეს სახელი ქართველი კაცისთვის.

ასევე იმდენად მახლობელია ნიზამი განჯელისთვის ქართული სამყარო, რომ „ხოსროვ-შირინიანში“ პროტოტიპებად თამარისა და რუსუდანის სახეები იკვეთება (კ. ფაღავა, ნიზამი, გვ. 109, თბილისი, 2014).

ამ დროის ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე მიუთითებს ის ცნობაც, რომ დემეტრე მეფის დაკრძალვაზე თბილისში ჩამოსულან ორი დიდი შირვანელი პოეტი ხაყანი და ფალაქი.

ეს ის ხაყანი შირვანელია, რომელიც ერთ-ერთ თავის ყასიდაში წერს: ბაგრატიონთა კარი ჩემთვის ყოველთვის ღიააო.

ეს ის ხაყანი შირვანელია, რომელის შემოქმედება, ნიზამის პოეზიასთან ერთად მიბაძვის საგნად იქცა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მხატვრული სიტყვის ოსტატთვის.

მას მერე რაც დავითმა ეკლესია დაუმორჩილა სახელმწიფოს და სამეფო კარი საერო კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების ცენტრი გახდა, ასეთი ცნობები მოულოდნელი არც არის.

ამ დროის საკარო ლირიკაც, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ფრაგმენტების სახით არის მოღწეული ჩვენამდე, თავისი პოეტური ორგანიზებულობით, ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა დახვეწილი და მაღალი დონის წყობილსიტყვაობა გვქონია XII საუკუნეში.

მაშინ, როცა შირვანის ლიტერატურულმა სკოლამ დიდი გავლენა მოახდინა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ლიტერატურაზე, რა თქმა უნდა, იგი გარკვეულ ტონის მისცემი იქნებოდა ქართული მხატვრული აზროვნებისთვისაც.

ჩვენი აზრით, შექმნილმა ვითარებამ დიდად შეუწყო ხელი ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებას, რომელსაც, ამდროისათვის, მოყოლებული გრიგოლ ხანძთელიდან, საკმაოდ ჰქონდა მომზადებული ლიტერატურული ნიადაგი.

რაც შეეხება ნიადაგის მომზადებას, უფრო შორსაც წავალთ, როგორც ცნობილი ირანისტი ალექსანდრე გვახარია წერს: „დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოში სავსებით იყო შემზადებული ნიადაგი კლასიკური სპარსული კულტურის ასათვისებლად, რადგან კარგად იყო ცნობილი მისი ძველსპარსული დ ფალაური (საშუალო სპარსული) საფუძვლები“ (ა. გვახარია, ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან, II, გვ. 131, თბილისი, 2001).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დოდო ჭუმბურიძის ახალი კრებული

თამილა გოგოლაძე

რა ბედნიერება მოაქვს პოეზიას? რა შეუცნობე-შეცნობილი ჯადო ძალა იმალება გარითმული ლექსის უმშვენიერეს სტრიქონებში? იქნებ ეს ჩვენ სულში დაბუდებული, სიტყვადაუდებელი, უნაზესი ფიქრია, თესლიდან მწვანე ბალახად ამოწვერილი საოცრად მომხიბლავი პოეტი ქალის, მეცნიერის, ქალბატონ დოდო ჭუმბურიძის მორიგ ულამაზეს კრებულში („სინათლე ბალახის თესლიდან“) რომ ამოლივლივდა. ეპითეტი აქ უძლურია იმ განცდის აღსაწერგადმოსაცემად, რასაც ეს კრებული იწვევს მკითხველში.

დ. ჭუმბურიძის ლექსების ნაწილი თარგმნილი და გამოცემული სხვადასხვა უცხოურ ენაზე. ლადო ასათიანის პრემიის ღირსეული ლაურეატია.

პოეტი ქალები არსებითად განსხვავებულ ფენომენს ქმნიან. მათ განცდის სიწრფელე, ფიქრის ოცნებისმიერ მარმაშის საბურველში გახვევა, თუ ხშირად ძლიერი, ქალურად ძლიერი ნოტით აჟერება ახასიათებთ. თანამედროვე პოეზიის თაროზე ჭუმბურიძის უმშვენიერესი, ინტელექტუალური და ამავდროულად უაღრესად ქალური, კრებულის გამოჩენა კიდევ ერთი სინათლეა ერის შემეცნებაში ჩაბუდებული გონისა...

რატომაა მშვენიერი ეს კრებული? იქნებ იმიტომ, რომ მას მარადიული, ნორჩი, ახლადმოაწვერილი ბალახის სურნელი ახლავს, თავისი განუმეორებლობა და სილაღე.

ქალბატონი დოდო ისტორიკოსია, მეცნიერი, მსოფლიო ცივილიზაციის კერების მონახულების წყურვილით აღვსილი, ისტორიულ ანალებშიც თავისი ენერგიული, მართალი სიტყვით კვლევისა და მეცნიერულ შრომებად გადმომცემი. მეცნიერი, მაგრამ პოეტიც, უნაზესი ქართული პოეზიის ქურუმქალი.

„ეს გზა, დაფარული გვიმრით,
დროში მიდის, არქაულში,
ასე წავა, ასე ივლის,
ხან დუმილში, ხან ხმაურში.
გარინდულა ცა და მიწა
ნისლით სავსე ტომარაში,
გადადიან ერთმანეთში, –
მომავალი მომავალში...“

რატომაა ასე მშვენიერი თითოეული სტრიქონი მისი ლექსებისა, იქნებ იმიტომ, რომ მას არ შეხებია ის აღმავალი ტალღა დეიდელიზაციის, დეესთეტიზაციისა, რაც ასე ჭარბობს არც თუ ხშირად თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ამის აცილება ძალზე ძნელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს შეძლო პოეტმა ქალმა:

ზოგი რას იტყვის, ზოგი რას,
ერთად
არ არის, რაც გვსურს, ან
ვინაც გვსურდა,
მარადიული რა არის ნეტავ,
რომ ვიპოვოთ და მივიკრათ
სულთან“.

(„გამიტყდა სარკე“)

სულთან პოეტ ქალს მთელი სამყარო აქვს მიკრულ-მითვისებული: უპირველესად, მამული მისი წარსულით, აწმყოთი და ტკივილ-სიხარულით, ქართველი ადამიანი თავისი უცნაური გამორჩეულობითა და ქართველობით. სიყვარული და იმედგაცრუების სევდა თუ მარადქალური სურვილები, და, რაც ყველაზე მთავარია, სინათლე გამოსჭვივის ჯერ თვით ლექსის სათაურიდან, სინათლე ლაღი, გულწრფელი, სხვისი გამათბობელი ამქვეყნიურ არსებობაში: („ფარდაგი, რომლითაც მიწა დაფარა ღმერთმა“, „დიოსკურია“, „შევეჩვიე დარდებს, ჩუმად მოსულთ, უზღვევთ“, „ცხოვრება ჩემი არის ქალის გამოცდილება“, „ელვამ გაჰკრა და აცისკრდა ხომლი“, „მოხრილი ქედები შორეთს გაქცეულან“, „ვეღარ მოვერიე კლავიშების გროვას“ და სხვ.).

ბევრია ლექსი უსათაურო, მაგრამ მრავლის მთქმელი დასაწყისით, მშვენიერ სამყაროში პირველქმნილი დედამიწა ნათდება და მაცოცხლებელი მდინარეებით იკვალთება, ჩიტები ჭიკჭიკებენ და ერთ ბუდეს შეხიზნული კაცობრიობა თრთის მომავლის წინაშე, პოეტის სულს კი

„მარწყვიანი მდელო სურნელებას
მაფენს,
საწვიმარი ნისლის გადაცურდა
შორეთს,
ვერ ვანელებ დარდის უსასრულო
მორევს.
ფეხაკრეფით მოსულ შეღამების
მცველი –
ვარსკვლავი ჩანს ერთი
ტყე-ღრეების მიწყივ
და თუმცა პოეტი ქალი
თავისებურად ჩივის:
„ვერ მოვახერხე ჩამალვა ვერსად,
ვერ მოვიპარე ჩიტის ხმა ტყეში,
ვერ დავამარცხე შური ლიტონი
გზა ვარსკვლავამდე ვერ დავიტოვე“.

თუმცა არა აქვს ქალბატონ დოდოს ამის თქმის საბაბი: მისი ლექსი იმ ჩიტის კვნესის გამოძახილიცაა, იმ შურის დამმარცხებელისა და პოეზიის ზეაღსვლისა, რამდენადაც სიყვარულითაა გამსჭვალული მისი პოეზია, ადამიანებისადმი ლაღი, ბუნებრივი სიყვარულით, მასთან დრო თითქოს ჩერდება, იძინებს მცირე ხანს და მერე მორაკრაკებს თავისი ქარტეხილებით. მისი სული მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ, იქ, სადაც უცხო სამყაროა და უცხო ნაპირი, მაგრამ თავისი შენაპირით, ამიტომ

„გაზაფხული ცისფერ წყლებს
რომ აატირებს,
გამოვათლევინებ მეტივეებს
ტივებს
და ერიჰა, სულო, საითაც
გსურდეს, გასწი“

(„გაზაფხული“)

მისი სული მარად ახალგაზრდაა და მშვენიერი, თუმც უწყის, რომ „ჩვენც მალე, მალე წინაპრებად გადავიქცევით („წინაპრები“), რომლებსაც იგი თაყვანისცემით იხსენიებს, გრძნობს მათთან კავშირს, რადგან ადამიანი წარსულის ნაწილია მარად, რადგან სინათლე, მის ლექსებს, რომ ახლავს, ესეც ბალახის ფესვიდან მოდის, დედის ლოცვიდან:

„იმ ლოცვას ვუსმენდი როცა,
მინდვრის ყვავილების ლაშქარში,
ტკბილფესვას სურნელის თანმდევს,
სინათლე მწვდებოდა კაშკაშა –
ბალახის ფესვიდან თმამდე“.

(„სინათლე ბალახის ფესვიდან“)

და სინათლედ იღვრება კვალად მისი პოეზია, უმშვენიერესი პოეზია.

ლექსების კრებულს უძღვის ცნობილი ლიტერატურათმცოდნის, ამ წიგნის რედაქტორის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის წინათქმა: „თანამედროვე ქართული პოეზიის მნიშვნელოვანი შენაკადი“, რომელშიც სიღრმისეულად მიმოხილულია პოეტი ქალის შესანიშნავი შემოქმედება.

მოკლე ცხოვრება საგზრაჟლივი ღიღაბა

მურმან თავდიშვილი



პატრიოტობა უძვირფასესი გრძნობაა. პატრიოტის (ერია თუ ბერია) რელიგია მამულის სიყვარულია. ამ თვალსაზრისით, დიდი ილიას კვალზე შემდგარი მრავალი ქართველი მოღვაწეობდა 1921 წლის შემდგომ დედაქალაქსა და პროვინციებში. მათი სახელები მკაფიო ასოებითაა ჩაწერილი საქართველოს ისტორიაში. ერთი ასეთი გახლდათ დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, რომლის მისიონერული საქმიანობა გამოწვლივითი განხილვის საგნად უქცევია პროფესორ ალექსანდრე მღებრიშვილს. მონოგრაფიულ გამოკვლევას ასე ეწოდება: „მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე და ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ცხინვალში„ (გამომცემლობა „უნივერსალი„, თბილისი, 2017).

პროფესორი ალექსანდრე მღებრიშვილი მშვენიერი მოქართულე გახლავთ, რომელიც წლების მანძილზე იკვლევს ცხინვალის რეგიონის კულტურულ–შემოქმედებით ცხოვრებას, იმ პირთა საქმიანობას, რომლებიც ამ მხარეში ენერგიულად და თავდადებით მოღვაწეობდნენ. ახალ წიგნში ყურადღება კონცენტრირებულია ოთხი ძირითადი მიმართულებით: ა) ხურთომოძღვრული ძეგლები და ანტირელიგიური კამპანია ცხინვალში; ბ) ცხინვალის რელიგიური ცხოვრება და ქართულ–ოსური ურთიერთობანი; გ) ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ცხინვალში; დ) იროდიონ ოქროპირიძის მისიონერული ღვაწლი ცხინვალსა და საინგილოში.

ეგ საინტერესო და აქტუალური საკითხები საკმაოდ დაწვრილებით არის გამოძიებული და გამოტანილია საყურადღებო დასკვნები, ხოლო ტექსტს ყურადღებით გასცნობიან რედაქტორი ს. სიგუა და რეცენზენტები თ. გოგოლაძე, ზ. ოქროპირიძე.

I თავში საკითხის ისტორიის გარკვევის მიზნით დასახელებულია ცნობილი ავტორები პლ. იოსელიანი, ს. ბეზსონოვი, ს. ჯიქია, ი. მეგრელიძე, დ. ქორიძე, ო. ჯაფარიძე, ბ. კუფტინი, მ. ცოტნიაშვილი, ს. მაკალათია, გ. სოსიაშვილი და სხვები, მოყვანილია მათი მოსაზრებები და მითითებები კულტურულ ძეგლთა და ღირებულ საგანმანათლებლო კერათა შესახებ; ნაჩვენებია ამ მხრივ არსებული რეალური სურათი; ჩამოთვლილია ძირითადი ძეგლები და მოცემულია მათი ლოკალიზაცია. მკვლევარს საჭიროებისამებრ მოუხმია მკვლევრების რ. თოფჩიშვილის, პ. ნადეჟდინის, გ. თოგოშვილის, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის ცნობილი აქტების მასალები; მკაფიოდ არის წამოსახული ამ თავში ქართულ–ოსთა საყოფაცხოვრებო და კულტურულ–ლიტერატურული ურთიერთობანი, აქაურ ოსთა რაოდენობა, ხასიათი, ცხოვრების წესი, რელიგიური მიდრეკილებანი და იდეური სულისკვეთება (15–30); მკვლევარი ფართოდ მსჯელობს აქაურ სკოლებზე, აჩვენებს ოსურ სკოლათა ხვედრით წილს საგანმანათლებლო პროცესში (31–32); განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ღრმად და ფართოდ არის გამორკვეული მებრძოლ უღმერთოთა კავშირების აღმოცენების, გაძლიერებისა და დამანგრეველი მოქმედების ამბები.

სწორედ იმ დროს ჩავიდა რეგიონში სამოღვაწეოდ იროდიონ ოქროპირიძე, როცა იქ აქტიურად მოქმედებდნენ უღმერთოთა კავშირები. აქვე ნაჩვენებია ამ საეკლესიო მოღვაწის აუცილებელი ბიოგრაფიული შტრიხები. 1904 წლიდან ცხინვალის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი საგულდაგულო ჩანაწერებსაც აკეთებდა, რომელსაც საგანგებოდ იყენებს და იხილავს პროფესორი ალ. მღებრიშვილი; შთამბეჭდავად არის მოთხრობილი ამ დოკუმენტში ქართველთა ერთი ჯგუფის დატყვევებაზე ოსების მიერ და შემდეგ მათს გათავისუფლებაზე (53–68); დეკანოზი აქტიურად ყოფილა ჩართული საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისათვის გაშლილ ბრძოლაში. ამ მხრივაც საინტერესოა მისი ჩანაწერები, რომელიც განთავსებულია წიგნში (71–86). ტექსტს თან ახლავს კომენტარები, აუცილებელი შენიშვნები, განმარტებანი. საგულისხმოა, რომ მკვლევარს მოუპოვებია და წიგნი უფრო საინტერესო გაუხდია ფოტომასალით, საოჯახო არქივებიდან ამოღებული სურათების ბეჭდვის ხარისხი ძალიან კარგია, ასევე დაწვრილებით არის მოთხრობილი ცხინვალში წერა–კითხვის საზოგადოების საქმიანობაზე, დასახელებულია გამგეობის წევრები, თარიღები, სარევიზიო კომისია, ადამიანთა ყოველგვარი საქმიანობა აღნუსხულია, ნაჩვენებია ყოველწლიური შემადგენლობა და საქმეები; საკითხავადაც, ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების მომარჯვებითაც, თანდართული სიებითა და დანართების რაოდენობითაც ერთობ საინტერესო გამოსულა IV თავი – ოქროპირიძის მისიონერობა საინგილოში (2891 წლიდან). ფართოდ არის მომარჯვებული მისიონერი მღვდლის ჩანაწერები. ბარემ აქვე შევნიშნოთ: იროდიონ ოქროპირიძე წერს გამართული, ლაღი ქართულით, აქვს სტილის გრძნობა, რაც ბევრ თანამედროვე მწერალს შეშურდებოდა (129–175). აქვე ისიცა ვთქვათ, რომ მას ჰქონია შესანიშნავი ხელრთვა, ასოები ისე გამოჰყავს, თითქოსდა მამულს ელაციცებოდეს. ხელნაწერი დასტურყოფს, რომ ბარათის ავტორი მტკიცე ნებისყოფის პატრონია.

საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა დეკანოზის ამქვეყნიური ცხოვრების გზა, მაგრამ ხანგრძლივია მისი დიდება.

წიგნს ერთვის ვრცელი რეზიუმე რუსულ ენაზე, ახლავს გამოყენებული ლიტერატურის ვრცელი სია.

გამომცემლობა „უნივერსალს„, როგორც ყოველთვის, ახლაც უმარჯვია და ეს ნაშრომიც მტკიცედ შეკრული და გემოვნებით გაფორმებული წარმოუდგენია მკითხველი საზოგადოებისათვის.

წიგნის ბოლო გარეკანზე დაბეჭდილია ავტორის ბატონ ალექსანდრე მღებრიშვილის ფოტოსურათი. არ იქნებოდა ურიგო, აქვე ჩამოწერილი ყოფილიყო ის მთავარი ნაშრომები ავტორისა, რომლებიც მას დღემდე გამოუქვეყნებია და მათი თარიღები. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მწამს: რაკი მკითხველი ამ საინტერესო ნარკვევებს წაიკითხავს, მას უსათუოდ გაუჩნდება ინტერესი მკვლევარის სხვა ნაშრომების მიმართაც.

ზურაბ მამულაშვილი – 75



75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი ზურაბ ილიას ძე მამულაშვილი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ზურაბ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს.

1966 წელს გაზეთ „სამგორში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „შენ მომავალი გეძახის“, რომელიც დიდ შოთა რუსთაველს ეძღვნებოდა. მას შემდეგ თქვენი ლირიკული და საბავშვო პოეტური ლექსები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები „მეორე დაბადება“, „ქალი, ქალი და კიდევ ქალი“, „ხსოვნა გულისა“, „გმადლობ, უფალო“, „ამ წუთისოფლის გზაზედა“ სიმართლითა და უშუალობით გამოირჩევა. ამ კრებულებში შესული ლექსებიდან სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი და ხალისი გამოსჭვივის. მათი ავტორი ხომ თუნდაც იმითაა ბედნიერი, რომ იმ ქვეყნის შვილია, საქართველო რომ ჰქვია სახელად, იმ ქვეყნისა, ღვთიშობლის მადლით რომაა ცხებული, ბედნიერია, რომ ცოტნე დადიანის, ქეთევან დედოფლის, ბერი თევდორეს შთამომავალია...

თქვენი არაერთი ლექსი ითარგმნა უცხო ენებზე.

თქვენს კალამს ეკუთვნის საბავშვო ლექსების წიგნი „აჭია და ბაჭია“.

წლების განმავლობაში მუშაობდით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ლინოტიპისტად, გაზეთ „თბილისის“ კორესპონდენტად, გაზეთ „იმერეთის ნიავის“ პასუხისმგებელ მდივნად; ხელმძღვანელობდით მაქსიმ გორკის სახელობის კულტურის სახლის ლიტერატურულ წრეს...

წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ მოგანიჭათ ქართული ელიტის პოეტისა და წლის საუკეთესო პოეტის წოდება, წმინდა ილია მართლის ორდენი, გაზეთ „ივერიის“ პრემია. დაჯილდოებული ხართ აგრეთვე გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიით.

ძვირფასო ზურაბ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ზურაბ მამულაშვილი

ამ წუთისოფლის გზაზედა

ამ წუთისოფლის გზაზედა
დარდით და ბოღმით რა ივლის,
სიხარული თუ გეწვია
ისიც ერთ წამში გაივლის.
სანამ ფიქრი და ოცნება
ტანს იმედებში აიყრის,
მანამდე ჩვენი სიცოცხლე
ნაკადულივით ჩაივლის.

ბერი გაბრიელის საფლავზე წასაწერი ეპიტაფია

რა ძალით, რა რწმენით,
რა ცრემლით, აქ არის
იბერთა დამცველი,
რა ქალით, რა კაცით,
რა ბავშვით,
ქაქანით, ხან მთაში
ხან ბარში.
მზე სწვავდა, თოვდა
თუ აწვიმდა,
ხსოვნაში ის დარჩა
არწივად.
ილოცა, იღვაწა
იმგვარად, რომ ერმა
შერაცხა წმინდანად.

ტყვია, რომელიც აცდა სამიზნეს

ლამაზ ქალივით ჩაიარა
ნასროლმა ტყვიამ,
ტყვია, რომელიც აცდა სამიზნეს,
იქნებ ამიხსნათ, ამას რა ჰქვია?...
გავჩუმდეთ? – იქნებ უფრო განვრისხდეთ.
გვესროლეს, რადგან
აღარ უნდოდათ
თავისუფლების გვეგრძნო სიამე,
ჩვენს გადარჩენას აღარ ელოდნენ
რა დღეებიც ჩვენ გამოვიარეთ.
ერთი რამე კი ვერ გაიხსენეს,
ამ საქმეში ვართ გამოცდილები,
რომ დღეს მსოფლიო ისტორიიდან
სულმთლად არა ვართ ამოშლილები.
მჯერა, სულ მალე დაიბნევიან,
მტრები თავიანთ ჭკუამცირედით,
ჩვენს მამულში კი დაიზრდებიან
კვლავ ქართველებად ჩვენი შვილები.
ლამაზ ქალივით ჩაიარა
ნასროლმა ტყვიამ,
ტყვია, რომელიც აცდა სამიზნეს,
იქნება რაღაც გამართლება აქვს
და ყველაფერი კარგად აგვიხდეს.

მხოლოდ ერთს გთხოვდით

არც სახლი მინდა, არც კარი,
არც ფული, ოქრო, ფარჩები,
სულ უთვისტომოდ კი არა
მიუსაფარი დავრჩები.
ამ ქვეყნად ვივლი ეულად
სამართალგანუკითხავი,
მხოლოდ ერთს გთხოვდით, რაიმე –
ქართული ლექსი მითხარით.
ბნელოდეს, წვიმდეს, გრიგალი
ქროდეს ოთხივე კუთხიდან,
ვერ შემაშინებს მთის ქარი,
თავისი ურვა–მწუხრითა.
პირიქით, გავიბადრები,
გულს გავხსნი, როგორც ცისკარი,
მხოლოდ ერთს გთხოვდით, რაიმე –
ქართული ლექსი მითხარით.
სატანა ფაფარაშლილი
მართმევდეს სულს და გონებას,
ირგვლივ არ იყოს საშველი,
ვისმენდე წყევლა–გოდებას.
ოთხივე კუთხით მიმზერდეს
ბოროტი, ავი მტრის თვალი,
გავუძლებ, მხოლოდ ქართული,
ქართული ლექსი მითხარით.

ერს ისტორია თუ არ ექნება

აღარ ხერხდება დროის შეგრძნება,
ვინ საით მიდის ვეღარ გავიგე,
ვინც კი დაკარგა თურმე შეგნება,
წავა და ხვალზეგ ლარად აიღებს.

ქალი–ქალთან და კაცი–კაცთანო,
ამ ქვეყანაზე რას არ გაიგებ,
ოღონდ ეგ არა და ჩემს სიცოცხლეს
დაუფიქრებლად დღესვე გავიღებ.

სად გაგონილა უდედმამოდ
რომ გაზრდილიყოს ძე და ასული,
ასეთი ერი დასაგმობია,
გარყვნილია და წრეგადასული.

ჩვენი დროების უღმერთოები,
კვლავ დახოხავენ, როგორც კუები,
მათ გამოჩენას ან გვერდით დგომას,
მე უკვე აღარ შევეგუები.

არც ტყვია მაკრთობს და არც წარსული
და არც ვკანკალებ ვინმეს მუქარით,
თუ ცოტა ხანში ჩემი მამული,
მართლა ვერ ვნახო თავისუფალი.

ამ სიბერეში ავიღებ მუხის,
დიდ კეტს და წინა ხაზზე დავდგები,
ყველა გარეწარს და ყველა უღირსს,
ვფიცავ კაცობას ძალით გავდევნი.

რომ ჩემს კოლხურ სისხლს არ შეერიოს,
უცხო ტომელის ერთი ბაცილაც,
ასე რომ იყო, იმიტომ არის
უფალმა დღემდე გადაგვარჩინა.

ოქროში სცვლიან ჩვენს დიად წარსულს,
აღარ ხერხდება დროის შეგრძნება,
რა თავში ვიხლით, დიდებას ან ფულს,
ერს ისტორია თუ არ ექნება.

თავისუფლება თუ „სულ სხვა“

დომენტი სოზაშვილი

რამდენი გვითმენია უამსიტყვოდ იმ გამოგონილ დროში. სიტყვის თავისუფლება რომ არა გვქონდა, თურმე სულ ეს კი გვქონია სათქმელი - რევოლუცია, განთავისუფლება გვინდა, ამისთვის მეტი მოგვიწყვია – თქვით ახლა თავისუფლებმა – რა მაგარია სექსი! აი, როგორც ის გოგო გვიყვება ახლა პრესტიჟულ საქვეყნო „აღსარებაზე“, – უბრალო, პარადოქსულად მოპასუხე, მშვენიერი „მოქნეული“.

ვინ არის–მეთქი, რომ შევეკითხე ტელევიზორს მიჩერებულ ტელევიზორით მყოფებს, მითხრეს სახელით და გვარით; მხრების აჩეჩვა, მიმიკით რომ ვაჩვენე – რა ვიცი–მეთქი – ისო, რაღაც ახალი სიმღერა რომ შეასრულა ძალიან მოკლე კაბიანმაო... მაინც რა ვიცი, გავიგე, აღარ გინდათ–მეთქი, ევროპის პირველმერცხალთაგანი ჩანს, იქაურობა რომ უნდათ აქ, ჩვენთან. თავისი სამყარო იქედან გადმომღები, შემქნელი; სკოლის დროს ერთხელ, რა ნაღდი იყოო პიკნიკის შემდეგ მთელი ღამის სექსი მსუბუქი ავტომობილის სახურავზე... დიახ, ავტომობილის სახურავს, ალბათ, რაღაც უცებ გამონახული საფენი რომ ახურავს, იმაზე... ასეთ თრობა–ტკბობაში!... რა სჯობს მშობლებს გარიდებულ სამყაროს!...

ამდენი ხნის პირშეგუბებულებს როგორი შვება გასჩენიათ, ამ სიტყვის ლეგიტიმაციით უხერხული კითხვების ისეთი სახერხული პასუხები ხერხდება პიკანტურობა ხომ ყველაზე მოსახელთებელია! მაინც, ბიჭების გამაგიჟედ ყოფნა ხომ ყველაზე მეტია. გვხიბლავს თავისი გახსნილობით – არ მახსოვსო, სექსის რამდენი პარტნიორი მეყოლებოდაო; უფრო იციო... თუ მეტი არაო(!) (ეჭვობს). გათხოვებითაც ამისთვის გავთხოვდი 15 წლის ასაკში (ვითომ სიყვარულითო) მღერის თუ მოცეკვავეა ეს „მგონის ცნობილი“ – შეუვალად ჰყვება ისევ ქალთან სექსზე. ორგაზმის იმიტაციაზე... რა აზრი აქვს ახალ პარტნიორთან ყოფნას, თუ ყველაფერი ამოიწურაო... ან ჩემთვის, ან იმისთვისო (პარიტეტს იცავს). ტრადიციებით იზღუდება თურმე; უფალი უნდა, მაგრამ ეს „ფორმა“ არ აკმაყოფილებს; შეიძლება შეიცვალოს რელიგია უფრო სათავისო–იდუმალით; მაგ. ტიბეტურით, იქეთ თუ მოხვდებოდა... ათიდან რომელ ცნებას დაიცავდიო, უეჭველად და „არა კაც კვლაო“ – პასუხობს. „არა იმრუშო“ – ამისთვის ხმას არ იღებს. ვფიქრობ, სოდომისა და გომორის ცოდვისთვის გოგირდის ცეცხლით რომ მოაშთეს. ისეთი არ უნდა.

კაი გაძლება მოგვცა ახლა – ყველამ ერთად აიშვა. ყველამ გაინთავისუფლა თავი. თურმე რა დღეში ყოფილან! ვინ იცოდა. იბრძვის ყველა და ახლა, როცა ასე გვიჭირს ათასნაირად საქართველოში – „ყველა ქართლის მტერი იყო“. მიბაძვა უნდოდათ ესე, რუსი, სლავი ქალების გამოფენა არ იყო? მე შენ გეტყვი, საბჭოთა მენტალიტეტი უშლიდათ, თუ რუსეთის ქალიშვილობის ინსტიტუტი. ამ ევროპულობით წაიღეს ნამეტანი!... ეს LGBT–ეებიც ჩვენთანა ყოფილან ასეთი ტანჯული–დისკრიმინებული! – ვინ რას ეუბნებათ, იყონ როგორც გაუთხოვარი ქალებიო, – ამბობენ მათზე დაფიქრებული ქალები აქ. – რა ქვეყანას ჰყრიან – უფლება, უფლებაო!...

მრუშობა, „სიძვის დიაცი“ ყოფილა ჩვენთან და ეს ერქვათ ამათ. ევროპის პირველ მერცხალთ უნდათ ისეთ საზოგადოებად ვიქცეთ. ისეთ თავისუფლად, რომ როგორც ახლა სიტყვა „სექსია“ თავისუფალ ხმარებაში, ისე თვით სექსი იყოს მათსავით, „ცივილიზაციის“ ჩვეულებრიობა აღარ ითვლებოდეს „იმნაირობად“, ეს მოწონებით შეხვედრები, „ბოიფრენდი“ და მორჩა. თუ ეს, „თავის სამყაროიანები“, ევროპულის გამარჯვებულობაშიც მაინც სხვანაირები იქნებოდნენ თავისი „ჩვეულებრივი“ განსაკუთრებულობისთვის; ეს ამათთვის ხომ პირველი ვნებაა – იყონ „სულ სხვა“ – საკითხავია კიდევ.

რა გინდა, ეს ახალი თაობის პრობლემაა, გაანებე, თვითონ იციანო. ვითომ გავანებოთ უნდა!... ერის სიცოცხლის საკითხს როგორ გავანებოთ, სამარიდანაც რომ არ განებდება!

მართლა კი არიან განსათავისუფლებელი ჩვენი ქალები ჩვენთან? ყველას უნდა სიწმინდე–სისპეტაკე, ოღონდ მართლა წმინდა რჩება წლების მიმდინარეობაში სხვადასხვა ცდუნებათა განმრიდე, აი, პატიოსნების მხოლოდ მოსურნე, ფსევდო სუფთა კი პატიოსნებას პირობითი, მორგებული ადათ–წესებით მოახერხებს. ასე კარგად ნაჭყუმპალები იხვივით ამოდის მშრალი ყველაფრის დაშვება–პატიება შეიძლება, თუ ასე გსურს! წინა საუკუნის ბოლო დროის ერთ რუსულ გაზეთში წაკითხული მახსენდება ახლა; თავიაანთ პრობლემაზე ერთი რუსი ექიმი ქალბატონი გვიყვებოდა: – 14 წლის გოგონა მოვიდა გასინჯვაზე და ორსული აღმოჩნდაო. რომ დაინტერესდნენ ვინ იყო ბავშვის მამა, იმან განუცხადათ: – არ ვიცი, ვისგან ვიქნები – „мы играли ромашку“ – კლასში ბიჭებსა და გოგონებს უთამაშიათ წრიულობა, „გვირილა“ – რაც ნიშნავს თურმე, რომ ყველა ყველასთან წვება(!) დამეთანხმებით, ძნელია, მართლაც აქ გაარკვიო მამა.

იქნებ ამისთანა პრობლემებს სჯობდეს ჩვენში თურმე არსებული „გენდერული უთანასწორობა“, როცა არ არსებობს შანსი შენი საპატარძლო „ромашка“ – გამოვლილობისა. აქვე ვიტყვით, რომ, როგორც გვეუბნებიან, რუსებს მამის სახელით მიმართვა მარტო ზრდილობიანობის გამო არ დაუწყვიათ, უფრო მონღოლების ბატონობის დროს. მათ ქალებს რომელი შვილი რომლისგან ჰყავდათ, იმის აღსანიშნავად იმ მამის სახელს უხსენებდნენ და ასე მერე მტკიცედ დაუმკვიდრდათ საპატივსაცემო მიმართვად.

თავისუფლებისთვის როცა ლაპარაკობენ საქართველოში – ქალებისათვის, ფაქტიურად „ღია კარების მტვრევა“ აქვთ. ჩადრიანი ქალების ქვეყნებით გარშემორტყმული, ხშირად იმათით იავარქმნილი ჩვენი სამშობლო მაინც იმათებზე თამამი და ლაღი ქალების ქვეყანა არ იყო?! ქართულ ცეკვებში რომ ჩანს, როგორ ელამაზებიან და ეკრძალებიან ვაჟკაცნი ქალთა კდემით, სინაზით, სიკეკლუცით მოსილ მშვენიერ ასულთ. ან ესენი/ თავისუფალი ქალიშვილნი, როგორ ლაღობენ, ხარობენ მატყვევებლად თამამი თამაშით, საოცრად მოხდენილი. ესენი ასე არიან შობილი, ასე ყოფილან, მხოლოდ ასე უნდათ...

ქართველებს ასე მოსდგამთ და ასე ყოფილან, რაც ქართველობა ახსოვთ – ოჯახში ქალიშვილი შედის, ბუნებრივი ბედნიერება. ასე იმიტომ დარჩა, რომ ჩვენში სიწმინდე–სისპეტაკე განსაკუთრებული, ნამდვილი უნდათ. ქართველი ქალი სათუოს არ გაიხდის თავის ზნეობრიობას. მისთვის ოჯახის დედობა ბუნებრივად წმინდანობაა. აქედანაა თავი და თავი ყველა სიხარულის და ბედნიერების, რაც შეიძლება ჰქონდეს. დედა რომ არის სათაყვანო – დედამიწა, დედაბოძი, დედა სამშობლო, რომ ამბობენ იმას, მხოლოდ ასეთი უნდა თავისი თავი თავის სამშობლო ქვეყანაში. მეუღლეს რომ დასდგომია მეუღლედ ქართული სიცოცხლის მკაცრ ისტორიაში.

ესე არ მოსწონდათ ჩვენი მათ, ვისაც თავი არდეს შეუწუხებია ასეთობისთვის და აქეთ გვიკიჟინებდნენ, იცინოდნენ ამ „ჩამორჩენილობისთვის“.

„მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა–კოცნა, მტლაშა–მტლუში“ – რუსთაველმა იმიტომა თქვა, რომ მხოლოდ ხორციელი ვნება, მძუანობა ნუ იქნებაო ეს, ადამიანს რომ გააჩნია მეტობა–აღმატებულება ყველაფერთან – პირველ რიგში ის მთავარი, სულიერი ადამიანური სიყვარულის ბედნიერება იყოსო საქართველოში. დღესაც ისევე უჯერებენ მათთვის ღვთისგან მოვლენილ რუსთველს – „ოდეს ტურფა გაიაფდეს“, „გული ერთსა დააჯეროს...“, კიდევ რამდენი – სულ ჩვენია!...

თავისთვის ყველაფრის უფლების მიცემა, უდღეურ სიამეში გახვევა ერთხელ მოსულის ლამაზი, ღირსი ყოფნის წილი ბოლოსთვის უამური ეფემერაა. აქ გინდა, არ გინდა, ცხოვრება მაინც საკაცოდ, ძლიერისად მოწყობილა ამ ქვეყნად. ეს სიშიშვლე, წლაწვნა–კლაკვნა ვითომ თავისთვის უხარიათ ქალებს?! საამისოდ ხომ ისევ კაცი აქეზებთ ამათ. მათთვის სულ უფრო მეტი უფლებების მომგონე–დამკანონებელი ამ კაბას მაინც როგორ აიწევენ. ვინ არის დამშლელი თავისი ჭკუა ესა ჰგონიათ. მაგრამ ეს დამოკლება სადამდეს. წინ ხომ მთლა სიშიშვლეა!?... გამოდის, ჩვენი წინსვლა–განვითარება ბუმერანგული ყოფილა, როგორებმაც დავიწყეთ გამოქვაბულიდან, ისეთობამდე მივალთ–მივდივართ და აი, ამისთვისაც არ ამბობს უარს ის – გვარდება. გადაცემის მიმთავრებისთანავე გაშიშვლდეს! მოწყალედ – უფასოდ!... გაგებულებისათვის!...

„სიმცირეს მივსტირით“ და ეს მსოფლიო პრობლემები ჩვენია. ნახეთ, როგორი ქუჩის გამოსვლები აქვთ ქართველ ფემინისტებს – ჩვენი ფიზიკური სხეული კაცებზე ნაკლებად გვეკუთვნისო!... (რაღაც ამდაგვარი). (ახლა ხომ ყველაფერს ესაშველება საჯარო ძახილით!) (სწორედ ამის წუთისოფელი გვაქვს ლუკმა–პურის მაძიებელ ქვეყანას!). ახლა ამ სულ უფრო და უფრო თამამ შოუებში კაცებთან ტოლ–სწორად როგორი გარჩევები აქვთ – მაინც-დამაინც აუცილებელი კი არ არის, შესმისას (ნიკაპის ახლოს ატკაცუნებით) რომ (ხელების ქვემოთ დაქნევით) მივცეთო.

რა ვქნათ, კაცების ბრალი, რომ ადვილად თვრებით? და ქალი დანებებისთვისაა ბუნებით?!. რუსებმა რომ იციან თქმა: „как бабка напётся... “

მთავრობა, ხელისუფლება არ არის ადრესატი ქალების ამ საპროტესტო შეძახილებისა – ამათი მოპასუხე ქართველობაა!... საქართველო რომ მოუყვანია აქამდე. ისევ ქართველობად. ვინცა ვყოფილვართ, ვინცა ვართ, ის თუ არ ვიქნებით – რა თვითმყოფობაა! თავისუფლება, დამოუკიდებლობა იმიტომ მოვიპოვეთ, რომ ჩავიკარგოთ? თვითმყოფი, „ჩვენ“ თუ არა ვართ, ამხელა მსოფლიოს გინდა ვყოფილვართ და გინდა არა. „სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსა“, „შორით ბნედა, შორის კვდომის“ მერე ქართველი ქალ–ვაჟი რომ სპეტაკ ოჯახს შექმნის, იმ ბედნიერებასთან რა მოვა... ოჯახი მთლიანობა, უღალატო, სულ თავისი... დიდი ცივილურობაა ვითომ, რომ არ უყურებენ, არად დაგიდევენ ქალი სხვებთან და სხვებთან განწყობებით როგორ თავისუფლებიანობდა?! თორე გაგებულება, თანაგრძნობა ამ საკითხში ჩვენ იქნებ უფრო ვიცით – აკაკი წერეთლის „გამზრდელში“ ნამდვილი ქართველი ვაჟკაცის ზნეობიანი ქმარი თავის ახალ შერთულ, „ედემს ალვად ასულ“ მთლად უცოდველ, უღვთოდ ნაძალადევ ნაზიბროლას კოცნით ამოუშრობს თვალებში ცრემლებს.

ქართველი ქალი, ოდით ჭკვიანი, შეურაცხვენ მანდილიანი, მძლავრი–გაუტეხელი დღეს ოჯახის, შვილების, სამშობლოს სიცოცხლისათვის შინ თუ გარეთ უძნელეს (ჩვენთვის ხშირად უკადრებელ), დღევანდელობაში გასაყვან ჯაფას ეწევა, ის ამ ფრონტზეა დამდგარი და ამისთვის მოგვიხმობს ყველა მამულიშვილს. ჩვენთვის უპირველესია ერის დედის ხმა!...

ია ეკელი

რა გითხრა, ქართველო?!

რა გითხრა, ქართველო, ბრძოლიდან მოვდივარ,
რა ვნახე? ტირილი, ცრემლი და ვაება.
გზის პირზე რომ გდია, ის ძველი ლოდი ვარ,
მანათებს, მამხნევებს ყოველთა ღვთაება.
რა გითხრა, ქართველო....ზუაში ვიყავი,
კლდეკარი ვიხილე კოლხეთში მზის შვილის...
სად არის თამარის საფლავი მითხარი
და მერე მეღირსოს უეცრივ სიკვდილი.
რა გითხრა, ქართველო, ტაოში ვიარე,
ფრესკები ვიპოვე უკედლო ტაძარში...
წლებია ფიქრებით მთები მოვიარე,
მინდოდა მეცხოვრა ამ ლამაზ ზღაპარში.
რა გითხრა, ქართველო, ,,ურმული" ხომ ისმის,
,,ჩაკრულოს", ხომ ისევ მღერიან ბიჭები...
,,სამშობლო ხევსურის" ჯერ კიდევ ხომ ითქმის,
მაშინ ჩვენ არასდროს არ გადავჯიშდებით.
რა გითხრა, ქართველო, ეს გული ხომ გიცემს,
ზოსიმე ხომ ელის იესოს წლებია,
პატარა ვაჟკაცი გულმკერდზე მჯიღს იცემს...
რაც არის, რაც არა...კვლავ დასაწყებია!
რა გითხრა, ქართველო...ქართველო,
რა გითხრა...

ნანა დადიანი

ეძღვნება ქალბატონ
ტატა ახალაია–დიოსკურელს

თქვენ დედაცა ხართ
და მეგობარი ჩვენთვის,
შენ, კოლხო ქალო, წინ მიდიხარ
ჩვენს მომავალზე ოცნების ფრთებით.
როგორც მწერალი და მართლის მთქმელი
საქართველოში ბევრმა გაღიარა.
აფხაზეთიდან გულდაწყვეტილი წამოხვედი,
თბილისში კი შენთვის ზეცა გაწკრიალდა.
თქვენ შეგიძლიათ გაგვითბოთ გული,
თქვენ შეგიძლიათ შეგვასხათ ფრთები
და ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად
ილოცოთ უფლისკენ აწვდილი ხელით.

გელუკა ბუიღლიშვილი

იწამეთ ღმერთი!

მოვა დრო, ქვეყნად იქნება ბნელი,
წყვდიადი შთანთქავს კოსმიურ სივრცეს,
მოხდება ყველა მოუხდენელი,--
რომ ეს სამყარო ერთხმად დაიქცეს.
დაიმსხვრევიან ცაში ვარსკვლავნი,
ჯანღი დაფარავს მზესა და მთვარეს,
დაირღვევიან მთანი მაღალნი,
ჩაინთქმებიან ზღვას და მდინარეს.
ატყდება გრგვინვა და ქარიშხალი,
შავ უფსკრულებში დაიწყებს ღმუილს,
და დედამიწის გულის ფიცარი
შეეჭიდება ვაის და ვუის.
ორთქლადქცეული ბირთვული ლავა
ძარღვებს დააგლეჯს დალეწილ ქაოსს,
იქ მეცხრე ცაზე ეშმაკი ავა,
ნგრევის პროცესი რომ გაათავოს...
და იქ, შორიდან ... ბე კოსმოსიდან
სინათლის სხივი წამოვა ერთი,
უსაზღვრო სივრცეს დაეწერება:
ი-წ-ა-მ-ე-თ ღ-მ-ე-რ-თ-ი!

მიშიკო ხალიჩაშვილი

იწვა შემოდგომა

სარკე ანგელოზთა სუნთქვით დაიორთქლა,
ქარის ბაგეებიც მწარე გემოსია.
წვიმამ ფანჯარაზე ცრემლი შეატოვა,
ასე გამოხატა თავის ემოცია.
ბნელმა შეისრუტა მთელი დედამიწა
ნათელს გარინდების მოხსნეს თაბაშირი.
ღამემ ცის თონეში მთვარე გამოაცხო,
მერე ჩაიტეხა ხელში ლავაშივით.
იწვა შემოდგომა სევდის მაღაროში,
წინ კი იანვრების ჩანდა ყინულეთი.
სადღაც, პარალელურ, ცისფერ სამყაროში,
ქარმა შეარხია ღმერთის სილუეტი.
იწვა შემოდგომა გველის ტყავიანი,
ჭრელი, თვალები კი - სევდით სავსეები...
ფოთლის ფირფიტები მიწას მიაყარა,
როგორც ანგელოზთა ფრთების ნამსხვრევები.

გოგოს, რომელიც მიყვარდა

ეს სტრიქონები ბევრჯერ დავხიე,
ის რასაც ვგრძნობდი, ვერ გეტყვი ენით,
მერე წარსული გადავახვიე
და ყველა ფიქრი დავიწყე შენით.
ჯობს, ოცნებაშიც რომ იყო ფრთხილი,
რადგან ოცნებაც ძვირად დაგვიჯდა;
ჩვენ შეგვიყვარდა წინასწარ შვილი,
შვილი, რომელიც აღარ გაგვიჩნდა.
დღეს მოგონებას სიზმრებად დახრის,
შურისძიებით მიმზერს სიცოცხლე.
ჩვენ შევიჩვიეთ წინასწარ სახლიც,
სახლი, რომელშიც ვეღარ ვიცხოვრეთ.
ცრის შემოდგომის ყვითელ ძაძაში,
ბედი თუ დევნის, თავს ვინ დაიცავს,
ვეღარ გიხილავ მორთულ ტაძარში და
თეთრ კაბასაც ვეღარ ჩაიცვამ...
გულს ვისვირინგებ ჩვენი წარსულით
ამ ფანტაზიის ყველა ნაყოფით.
სივრცეც ცივია და დათარსული,
მახრჩობს ოთახში ბნელი სამყოფი.
სევდის მაგივრად, ზეცას ვეშვილეთ,
არ დაგვარჩენდა ფსკერზე მარტოებს,
დღეს მეშინია წამის, როდესაც
ამ მოგონების ძალაც დამტოვებს.
ვერ გამოვდექი ბედთან არესი,
ყველა იმპულსი მინდა დაიწვას,
ალბათ, მომიწევს სხვისი ალერსი,
იმ თეთრ კაბასაც ის სხვა ჩაიცვამს.
მალე ვერ მივხვდი ფინალურ დრამას,
ვიცი, შენს ვარსკვლავს ვეღარ მივწვდები
ვგრძნობ, შენი შვილიც სხვას ეტყვის მამას,
შენც მის მკლავებში დაგავიწყდები.
მე ვერ ავიტან ამ აპათიებს,
მძულს თვალთმაქცობის ჭრელი ხალათი.
ჩემი ბრალია და მაპატიე,
გთხოვ მაპატიე ბედთან ღალატი.

შენ ჯოჯოხეთის ბინადარი უნდა გიყვარდეს

ქრისტეს მივდევდი ეშმაკთათვის ციდან ნამეხარს,
რწმენის ჯავშანი მეცვა, როგორც ზღუდე კლდისანი
და ვახტანგივით მერე,როცა მკლავქვეშ გამეხა,
სწორედ იქ დამკრეს მოწამლული ეჭვის ისარი.
გაგიჟდა გული, მკერდს ტორი ჰკრა ცეცხლის
მფრქვეველი,
რწმენამ წონაში დაიკლო და ძალამ იმჩატა.
ქრისტეს მეომრად ვეღარ დავრჩი და გოლგოთაზე
ჯვრის სიმძიმისგან დაქლეშილი მხრები მიჩანდა...
შენ კი... ბუმბულად იქეცი და ცისკენ მიფრინავ.
მზე შენს ფანჯრებზე იმედივით ტოვებს ჭიკარტებს.
მე სამოთხეში, არ მგონია, ბინა დავიდო
შენ ჯოჯოხეთის ბინადარი უნდა გიყვარდეს!
ზეცისკენ წახვალ ანგელოზად გადაქცეული,
შეეხიზნები უფალს მკერდში გულის პარკუჭად.
მე პუშკინივით დავეცემი ბედთან დუელში და შენი
რწმენით დაცლილ თვალებს ნელა დავხუჭავ...

ქალბატონი წვიმა

გამეღვიძა... ფანჯარაზე ხმაა ტოტის,
რა ხანია, დღეებს ვითვლი ღრუბლიანებს
დილის გზაზე ქალბატონი წვიმა მოდის,
ლამაზ ტანზე ქარის კაბა უფრიალებს.
სველ ხელებში იის კონა უჭერია,
ფიქრი – სევდის ფუტუროდან დამასია,
გაშლილ მხრებზე წამოუსხამს გაზაფხული
და იმ ბერძენ თეტიდაზეც ლამაზია.
მაღალ ყელზე ვარსკვლავები მოუხსნია,
მანონ ლესკოს ვნება უგავს ოკეანეს ...
მოვა მერე მომიწვება თბილ ლოგინზე
და ჩემს სახლში სევდას მოიმშობიარებს..
უკვე მღვიძავს... ფანჯარაზე ხმაა ტოტის,
რა ხანია, დღეებს ვითვლი ღრუბლიანებს
დილის გზაზე ქალბატონი წვიმა მოდის,
ლამაზ ტანზე ქარის კაბა უფრიალებს...

გიული მურადაშვილი

თბილისის ზღვაზე

ლამპიონების შუქზე ქოლგების ჩრდილი ნაწვიმარ ქვაფენილს ნაირფერად აელვარებდა; ულამაზესი, მრავალფეროვანი შენობების ხიბლი გამვლელს შემოდგომის ნოტიო სუსხს ავიწყებდა.

მიუყვებოდნენ ფოთლების ნაშალით აჭრელებულ ქუჩას, ქალ–ვაჟმა ერთმანეთს შთაბეჭდილება გაუზიარა:

– ნაწრთობი ნიჭი ხელოვნებისა;

– ფერწერამ წარმოადგინა რუსთაველის პოეზია. სიმრუდენი წუთისოფლისა, საგმირო საქმენი, მშვენიერების გაელვება; ტრფობის ჰარმონია;

საუბარი დროდადრო ქუჩის ხმაურში უჩინარდება;

ტრიალებს შემოდგომის ოხშივარი, სურნელი, წვიმა მიდამოს აკამკამებს; ამასობაში თავისი გააქვს იმასაც, რაც ფერწერამ შეძლო, თუმცა ვერ ამოწურა;

მძლავრობს ბინდი; გზად იშვიათია გამვლელი; მიაცილებს წყვდიადს აღმართ–აღმართ შთაბეჭდილება:

– იდუმალია და ხან გამჭვირვალე წყობა სახეთამოქნილი მოძრაობის შთამბეჭდაობა; სვლა დრო და სივრცის წიაღში, წარსულის და აწმყოს მარადიული შეხვედრა–განშორება; მასში მოარსე ზედროული.

ფერწერის ავტორია რუსუდან ფეტვიაშვილი.

ბრწყინავს სამხატვრო გალერიის დარბაზი.

გარეთ, წვიმაში თავისებური ხიბლი აქვს შემოდგომის პალიტრას – მზის სხივებს თავი მოუყრიათ წითელ–ყვითელ გიორგინებში.

დღე უცებ შეიცვალა, ხშირმა ღრუბელმა შეცვალა მზის მწველი კიაფი. მიწას შერჩენილი ოხშივარი ალღობდა. დიდრონ წვეთებად წამოსული მეჩხერი წვიმა ზღვისქვა–ღორღიან ნაპირს ასკდებოდა მწიფე ხილვით.

ალანძული ღრუბელი იყო იმის მაუწყებელი, რომ მცირეოდენი ხნით გამოიდარებდა;

გამალებული მოძრაობაა; გარბენ–გამორბენა, აქა–იქ ქოლგები; ხმაურობს კაფე, ბარი, რიტმი, მუსიკა; ტრიალებს სითბო, ოხშივარი.

– ცხელი ყავა, ჩაი – მოკლედ ჭრის მიმტანი.

– წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია – წაიმღერებს ვიღაცა და ირინდება სითბოს მინდობილი;

გადაიღო, გაიბნა წვიმა, გასხლიტა თვალმარგალიტივით; მწუხრის ჟამია.

გზად ფერდობებია, ნაძვი, ფიჭვნარი, ტრიალი ველი; ერთგან დაბურულ ნისლსა და ღრუბელში ცა, ზღვა და დედამიწა არ ჩანს გარკვევით; მეორე მხარეს ცისარტყელა ატანს ნაირფერ ნისლს; შორიახლო ფერდობზე მოჩანს მრავალსართულიანი, ვრცელი დასახლება, მაგისტრალი, გზები;

მიდის მწყემსი ფერდობს შეფენილ ველზე ღიღინით:

„იელავდა, ზღვა ბიბინებდა;
ზღვის ნაპირზე კარავი იდგა,
შიგ ქალს ეძინა, ფარჩა ეფინა".

ფარა შარი–შურობს, ტალღად იშლება; მისდევს ნაგაზი გარდი–გარდმო; უსწრებს, ხან ჩამორჩა; და ხარის ცისარტყელას – გაუჩინა რებულს და ხან დედამიწაზე ჩენილს დატრიალებს, აცქერდება სხარტად ელევა – მისდევს ფარას.

მძლავრობს ბინდი; კიაფობს სინათლე გაღმა–გამოღმა, აქეთ–იქით, დაბლობსა და ფერდობს შეფენილ სახლებში.

ამირან ხეცაძე

***

ღამე არის გასაოცრად წყნარი,
დაღლილ მთვარეს უჩანს თავის ქალა,
სიო უკრავს ბეთჰოვენის ქნარით,
ვარსკვლავები თვალს უკრავენ ქალაქს,
ნაპირს ჰკოცნის მოდუდუნე მტკვარი
და უსველებს მზეზე გამშრალ კაბას.

ვერცხლის შუქი ეკონება გულში,
აქ, მთაწმინდას – მყუდროების მეფეს,
მარმარილოს სხივი კალთას უშლის,
სადაფივით თეთრი კბილნი ჰყეფენ,
ჩამყვირიან კრუალები ყურში –
„ჰე პოეტო, მიდი იოცნებე.„

მთაწმინდიდან ჩამოვდივარ დაბლა,
თან მომყვება ლამპიონთა გუნდი,
ტალღა მთვარეს უნანავებს აკვანს,
დასციმციმებს ლალი იაგუნდი,
გადმომყურებს მთვარის თავის ქალა
და მახურავს ვარსკვლავების ქუდი.

***

რატომ გავჩნდით ქვეყანაზე,
ანდა ვცოცხლობთ რისთვის,
ან ძარღვები რად გვაქვს სავსე,
წმინდა ქართულ სისხლით,
რას გვეძახის მზე და მთვარე,
ქარი რად ჰქრის რისხვით.

ჩვენს მიწაზე უცხო ტომის,
ფეხის ხმა რად ისმის,
რატომ შფოთავს დღეს დიდგორი,
რად სწუხს ან კრწანისი,
რას გვაუწყებს წინაპრების,
ძვლების ღაღადისი.

რომ შეგვეძლოს ხელის გაწვდა,
ჩვენი ქართველ ძმისთვის,
რომ ვიშრომოთ დაუღლელად,
უკეთესი დღისთვის
და ვიბრძოლოთ სანამ ვცოცხლობთ,
საქართველოს ხსნისთვის.

***

ქვეყანა ფასობს ენით და
ხალხი კულტურით, გმირობით,
ჩანჩქერი კლდიდან ხტომების,
დაუწერელი პირობით,
ნიავი ცელქი ქროლების,
ესოდენ უნაპირობით.

ბულბული ტკბილი გალობით,
გლეხი ხარით და უღელი,
ქვევრები სავსე ბადაგით,
ბეღელი ჭირნახულებით,
ხმალი ვაჟკაცის მარჯვენით,
კუნთმაგარით და უღლელით.

კაცი ქუდით და ულვაშით,
ქალი თმითა და მანდილით,
პოეტი თავისუფლების,
დაუოკებელ წადილით...
ვის ქვეყნის ბედი აწვალებს,
კაციც ის არის ნამდვილი.

***

საქართველოვ ტანჯულო,
მითხარ გენაცვალები,
დაფლეთილი სხეულით,
გაძარცვული ყანებით...
ეს მათხოვრადქცეული,
საით მიეჩქარები?!

სხვათა დანაპირებით,
ნუგბარით და ქადებით,
არა, არ მოიხიბლო,
შენ კი გენაცვალები,
არ გასწირო ადათი,
ოდით სათაყვანები.

არცა არვის ცდუნებით,
არცა ძალდატანებით,
შენი მიწა არ დათმო,
ამას გემუდარები,
თორემ ფერფლად გაქცევენ,
„დემოკრატი მამები“.

***

სულზე უტკბესო მამულო,
მთებიან – ქედებიანო,
მკერდგადაშლილო ველებო,
ბიბინა ბალახიანო,
ზეგანებო და ბორცვებო,
ნარ – ეკალ – ვარდებიანო.
ეზოებო და ბოსტნებო,
ხეებო ხეხილიანო,
ბაღო, ყანებო, ვენახო–
დაქარვულ მტევნებიანო,
ხვავით ავსილო ბეღლებო,
ქვევრებო მაჭრებიანო.
ღელეებო და ჭალებო,
კლდეებო ჩანჩქერიანო...
ღვთისკურთხეულო მიწაო,
ნათელო, სხეულმზიანო,
შენ გენაცვალე წალკოტო,
რომ საქართველო გქვიანო.

***

მიწას ლოკავს ხვლიკისფერი ხვატი,
ფოთლის ჩრდილებს იმედებად ვისევთ,
წყაროს წყალის მოწკრიალე ხმაში,
შეიცნობა იმედების სივრცე,
ჯვარისა და სვეტიცხოვლის ხატი,
გვფარავდა და დაგვიფარავს ისევ.

ქარი ფოთლებს ათამაშებს ვალსებს,
შინდი მღერის სალამურის ყელით,
საქართველოს სიყვარული გვავსებს,
საქართველოს სიყვარულით ვტკბებით,
გელათის და მოწამეთას კარზე,
გვესმის ნორჩი მლოცველების ხმები.

მწვანე ფერდობს შესევია ცხვარი,
იქ მეცხვარე ჯოხით უდგას ფარას,
ქვეყანაზე სანამ ვართ ცოცხალი
ქართველ და–ძმებს არ მოვექცეთ ავად,
სიონის და ქაშუეთის ჯვარი,
გვფარავდა და დაგვიფარავს მარად.

***

აღარაფერი აღარ მახარებს...
ელვა ურჩხულებს ღრუბლებში ძერწავს,
ალვებმა თავი დაბლა დახარეს,
ქარი ჯეჯილებს ქოჩორს უწეწავს,
გზად ყაყაჩოებს აახარხარებს,
მამული ყელში უზის გარეწარს
და არაფერი აღარ მახარებს.

ცაზე არ ცხრება ნისლები ავი,
მთვარეც არ ფიქრობს ახლა სამხარზე,
მწარე ფიქრები როგორც მეძავი,
გულისკენ ლტოლვას აღარ ახანებს,
მამულს მიფლითავს ყორანი შავი
და არაფერი აღარ მახარებს.

სანამდე ზეცა მოიწმინდება,
ვარსკვლავი თვალებს აახამხამებს,
ვიდრე იმედი აბიბინდება
ალბათ დარდები გულგვამს გახრავენ,
მე საქართველო მთელი მჭირდება,
და არაფერი აღარ მახარებს.

***

დილას ხელებში ჩააკვდა მთვარე,
მზემ მიმოფანტა ბაჯაღლო სხივი,
წალკოტი არის ეს არემარე,
გადაქარგული ზურმუხტის მძივით,
ქორფა მინდვრები ახელენ თვალებს,
აღტაცებული მერცხალი ჭყივის.

ნახირს ღიღინით მიდენის მწყემსი,
გარდაცვლილ მთვარეს უყეფს მურია,
ცხოვრება არის პატარა ლექსი,
ტანჯვა, ბრძოლა და სიხარულია,
ზოგს წუთისოფლის ესმის ანბანი,
ზოგიც ცოცხლადვე ხდება მუმია.

არა, არ მინდა მე სხვა ედემი,
არა, არ მინდა მე სხვა ალაგი,
მე ქართველი ვარ ჩემი ქმედებით,
ჩემი აზრით და სიტყვის მარაგით,
ამ მიწას თავზე შემოვევლები,
აქ არის ჩემი ძვალთშესალაგი.

***

ლამაზია ეს მთა–ბარი,
დალოცვილი, მადლიანი,
აქ ისევ ჩანს ნაკვალევი,
თევდორეს და დადიანის,
ცოტა დადის მომღიმარი,
უფრო მეტი დარდიანი.

სითბო დედულ–მამულეთის,
ყველაფერზე მეტი არის,
დავალ ქვეყნის სიყვარულით,
დამთვრალი და რეტიანი,
არ მომაკლოს ზეციერმა,
ამ მიწაზე ხეტიალი.

ველოდები საქართველოს,
უფრო ლამაზ გაზაფხულებს,
ვეხუტები მთებს, გორაკებს,
მინდვრებს, ველებს გადახნულებს,
დე, მამულო როცა მოვკვდე,
შენი კალთა დამახურე.

***

ისევ ძალიან მაწუხებს ფიქრი,
ისევ ძალიან მაწუხებს დარდი,
რაც სიმართლეა პირდაპირ ითქმის,
ყველას დაგვყვება სატანის ლანდი,
კაცს ვერ იპოვნი ქუჩაში თითქმის
უფლის კარნახით რომელიც დადის.

ჩვენ ქართველ და–ძმებს: მაიას, ლელას,
ლაშას, ირაკლის და ბევრ მეგობარს,
ამპარტავნობა გვაწუხებს ყველას,
ვამბობ, თანაც ღმერთს შევთხოვ შენდობას,
თითქოს ეშმაკმა დაგვმართა ბნედა,
ქართველი ქართველს აღარ ენდობა.

ბავშვო, მოზარდო, ზრდილო, ხნიერო,
ჩვენ წინაპრები გვყავდნენ ზღაპრული,
ჩვენც მათებრ ცეცხლად უნდა ვიელვოთ,
რომ ჩვენც გმირობით ვიყოთ განთქმული...
გემუდარები ყოვლადძლიერო,
გაგვისპეტაკე სისხლი ქართული.

შოთა ლეჟავა

***

არა, არ ვიცი სად მივდივარ
და სად დავლევ სულს,
ვეღარ ვხედავ მომავალში
ზღვის, ცის გაზაფხულს.
როგორ ვხედავ ზღვის
ტალღისგან
გამორიყულ გულს,
ჩემო შოთა, სხვის მიწაზე
შენ ნუ დალევ სულს.
ვერსად ნახავ მსოფლიოში
იმ შენს გაზაფხულს,
ვეღარ ვხედავ კავკასიონს
ლომ–ვეფხვებს და
არწივიანს
და ჩემი ზღვის თოლიები
წიოდნენ და არ წივიან.

***

ჩემს მიწაზე ხომ
ვცხოვრობდი,
ახლაც მინდა ცხოვრებაო.
თავისუფლებას ვუმღერდი,
აღარ მომეცით ნებაო.
ცის სამყაროს მოვაშურე,
ქუსლი ვკარი ჯოხის ცხენსა,
ურმის სიჩქარით მივდივარ,
დაუბნელებ თვალებს მზესა.
ურემზე დაბადებული
იებს დედამიწის ხვრელსა
დედაჩემის ხმა მომესმის,
რომ მიმღერის ნანას დღესა.
ღამით მიმღერს მთვარ–
ვარსკვლავნი
და დღისით კი ვხედავ მზესა.

თასით ხელში მთაწმინდაზე

თასით ხელში მთაწმინდაზე
მე მუზებით ვიყავ
მთვრალი,
პოეზიის სიყვარულით
მედებოდა ცეცხლის ალი.
მთაწმინდიდან
ხოხობ–თბილისს
გადავწერე მე პირჯვარი,
თუ არ გჯერათ მოწმე არი
ნარიყალა, მეტეხ–მტკვარი.

***

ეგ ცხოვრება სიზმარია,
სამყარო კი ზღაპარი,
მისტიური აუხსნელი
იდუმალი რამ არი.
დაიბნევი სით გასწიო
იმ მასარით თუ ამ მხარით,
მზეს შეხედე მაღლა ცაზე
წამოსულა სამხარი.
შეიცვალე, შოთა, მხარი
უკვე ნავი მზად არი.

გაუმარჯოს ჩემს იმერეთს!

იმერეთში ტაშს უკრავენ,
მგონი სტუმრებს ელიან,
არა, ბოშო, ხაჭაპურებს
აცხობენ და მღერიან.
ცხელ კეცებზე ტაშის
დაკვრით
მჭადს აჯენენ შქერიანს,
გაუმარჯოს ჩემს იმერეთს,
ბუხრის კვამლს და კერიას.

***

წერე, შოთა, სიყვარულზე
რა მესიყვარულება,
ხდება ჩემი საქართველოს
გამოსიყვარულება.

***

გალაკტიონი + ღვინო,
გალაკტიონი + თუთუნი,
გალაკტიონი + პოეზია,
გალაკტიონი + სიყვარული,
გალაკტიონი + სიზმარი,
გალაკტიონი + სიცოცხლე,
გალაკტიონი + სიკვდილი,
გალაკტიონი + მზე.

***

რუსთაველზე გავლა
მიყვარს
და ყურება გოგონების,
16 წლის, 17 წლის...
გოგმანებენ გოგონები.
ცისფერთვალებიანების,
თაფლისთვალებიანების,
მაყვალთვალებიანების,
ზღვისფერთვალებიანების,
გიშრისთვალებიანების,
მზისფერთვალებიანების,
ცეცხლისთვალებიანების,
სიზმარ – თვალებიანების,
ირმის – თვალებიანების,
ვარსკვლავთვალებიანების.

***

ცაში ვეძებ, ვეღარ ვნახე
საძოვრები ხალხის
და პლანეტებს მივაშურე,
იქაც დამხვდა თალხი.
ვეღარსად ვერ დავინახე
ნაშიერი ხალხის,
მომაგონდა ჩემი მიწის
ცის ქვეშეთის ტევრი,
მომაგონდა მამაჩემის
ღვინით სავსე ქვევრი,
ქვევრის ორგო რომ
მოვხადე
მამაჩემი დავინახე,
სავსე ჭიქით ღვინოს სვამდა,
მე პირჯვარი გარდვისახე.

ირეკლი ასანაშვილი

გულის წყლილი

გაზაფხულის საშინელი ქარი ქროდა, წამონახვეტი მტვრის ბუქის ქარბორბალა ტრიალებდა. თბილისის აეროპორტის გზაზე მიჰქროდა ავტომანქანა, როგორც იქნა მივუახლოვდი, გზად ტაძრის ბრწყინვალებამ შემომანათა. პირჯვარი გადავიწერე. ის იყო შევედი აეროპორტში, ნიავივით დაქროდნენ ჩამოსული თუ წამსვლელი ადამიანები... თითოეული განიცდიდა წამსვლელი ადამიანის გაცილებას. ჩოჩქოლმა ჩემი ყურადღება მიიპყრო. ტირილნარევი ამოძახილი შემომესმა. - რა ვქნა ახლა? უკანასკნელი სახლიც დავუკარგე შვილებს. ბანკში ჩავდე, ისრაელში ჩასული კი დეპორტით უკან დამაბრუნეს. კიდევ რამოდენიმე ადამიანის გოდება შემომესმა. ოჯახის წევრები ერთმანეთს ამხნევებდნენ, ცრემლები კი ღაპა-ღუპით სდიოდათ. ულამაზესი გოგონა საშინლად განიცდიდა დედის დიდ ტკივილს და განსაცდელს. ბანკში ჩადებული ბინის საშუალებით წავიდა დედამისი თურმე ისრაელში, რათა ემუშავა, რომ შვილებისთვის პურის ფული და სწავლის თანხა გადაეხადა, მაგრამ იქ ჩასული, დეპორტით უკან დააბრუნეს. არავის სტკენია მისი ტკივილი, არც კი უფიქრიათ რა უნდა ექნა მას და მის ოჯახს. ჩვენ, ქართველები მრავალი საუკუნეა, რაც ვცხოვრობთ დედამიწაზე. შევიფარეთ ერები, რომლებიც დავაკმაყოფილეთ სახლებით, სამსახურებით, წლების მანძილზე საშუალება ეძლეოდათ აქ აღეზარდათ შვილები. ქალბატონებივით და ბატონებივით ცხოვრობდნენ, უფრო მეტწილად ქალაქებში ცხოვრობდნენ უზრუნველად, ჩვენგან არგანსხვავებული, ოქროთი და ძვირფასეულობით აღვსილნი, რომლებიც ჩვენი ხელშეწყობით თავისუფლად ცხოვრობდნენ, მაგრამ როგორც კი საზღვრები გაუხსნა ებრაელ ხალხს მოსეს ანდერძის თანახმად საბჭოთა კავშირმა, წავიდნენ იმედიანად, რომელნიც კეთილი სურვილებით გავაცილეთ. მრავალს დავიწყებიათ ჩვენი შეხვედრა და მასპინძლობა, გამახსენდა თამარ გვერდწითელის სიმღერიდან სიტყვები: „ისრაელი ჩემი დედა სამშობლოა, საქართველო სულზე ტკბილი დედობილი“. დედობილი კი არა, საკუთარი შვილებივით გალაღებულნი ცხოვრობდნენ ჩვენს მიწა-წყალზე. ახლა? ახლა ვითომ გახსნეს საზღვრები... ჩვენთან ღიმილით მოდიან, ჩვენ ვმასპინძლობთ, ძმობას ვუწევთ, ზოგ ქვეყანაში კი გაჭირვებით ჩასულ ქართველებს ადეპორტებენ და აეროპორტიდანვე უკან აბრუნებენ. რა ჰქვია ამას? აღარავის არ აინტერესებს, რა ბედი ელით დადეპორტებულ ქართველებს. ჩვენს ლამაზ დედებს, პურის ლუკმის საშოვნელად წასულ გაჭირვებულ ქართველებს მონობისთვისაც კი წიხლს ჰკრავენ. იმისდა მიუხედავად, მადლიერების გრძნობით სახლის კარი გაეხსნათ, აეროპორტიდანვე უხურავენ კარებს... ქართველ ეკო-ემიგრანტებს მასხრადაც კი იგდებენ. ამ ყოველივეს სჯობია, კატეგორიულად აკრძალონ სავიზო რეჟიმი. ცოდვანი არ არიან ადამიანები, რომლებიც მომავლისათვის უკანასკნელ გროშებსაც კი სწირავენ. მაცხოვრის საფლავზე სალოცავად მისასვლელ გზას გვიკეტავენ. რა ჰქვია ამას?

ეტლზე დასმული ახალგაზრდა დას მოჰყავდა დადეპორტებული დედის დასახვედრად. იგი თვალებიდან ცრემლებს იწმენდდა. რა ეწოდება ამას (სიხარულის ცრემლი)? უძლურმა გამწარებულ დედას შეაგება: - ნუ გეშინია, დედა, უფალი დიდია, არ გაგვწირავს. ხელები გაშალა, დედა გულში ჩაიკრა და ატირდნენ.

აგერ საბერძნეთიდან დადეპორტებული ქართველებიც, გავიხსენოთ ბერძენი ხალხი საქართველოს რომ მოაწყდა, თურქეთის ტყვეობიდან რომ იხსნა პატარა კახმა, ერეკლე II-ემ, დიდებულ მოსავლიან მიწებზე დაასახლა. მრავალი დღესაც ცხოვრობს საქართველოში და ლაღად დააბიჯებენ ქართულ მიწაზე. ჩვენ კი როგორ მიგვიღო საბერძნეთმა? გადაპარვით და მალულად. ვაი, მე, ჩემო საქართველოვ! სად ხართ, ფარნავაზის სულის აღმზრდელო ქართველებო?! შეძლებულნო და დიდგვაროვანნო. დავითის, თამარის, გიორგის, ბაგრატის აღმზრდელო ერო, როგორ აგვცრემლებია თვალები, ჭრილობად გვექცა საკუთარი მართვეების აფრენა ქართული მიწიდან, ვინ გაგწირა? სად არიან ჩვენი ახალგაზრდები, მათი ძლიერი მხარ-მკლავები. დედებო, თქვენი შეძახილი სამყაროს ესმოდა, ახლა ქართველი ახალგაზრდები ჯანს და ენერგიას სხვაგან ხარჯავენ, სხვის მიწაზე, ჩვენს მიწაზე სხვა შემოდის, სისხლსა გვწოვენ, გვავიწროვებენ, ფულით და ღიმილით ყიდულობს უცხოელი ჩვენს მიწებს, ხვალ ჩვენსავე მიწა-წყალზე შეიძლება სტუმრადაც არ შემოგვიშვან. აღსდექით, დედებო! ოჯახები იძირკვება, გაჭირვებისა და სიდუხჭირის გამო. შიმშილის და გაჭირვების გამო უგზოუკლოდ დადის ახალგაზრდობა კალაპოტიდან ამოვარდნილნი. რამდენს აერია ცხოვრების გზა, საშუალებას არ აძლევენ მრავალთა პურის ლუკმა თავისუფლად გამოუგზავნონ დანატოვარ შვილებს. საქართველოს ხელი არავისთვის უკვრია. ყველას ვღებულობთ, ბრიყვულად იგებენ ჩვენს ტკივილს, გონება დარდმა მოიცვა, სხვას ჩვენი არ სტკივა. გატანჯული დედა გაჰკივის... - არ გესმით? აღსდექით! ფარნავაზის, ქუჯის, დავით აღმაშენებლის ანდერძის თანახმად აღზრდილნო, დიდ თამარ მეფის ძლიერებით აღსდექით! ქართველნო! ქართველი ქალები დედოფლად დაბადებულნი, ვაქალბატონოთ ჩვენს მიწაზე, შვილებს დედები დავუბრუნოთ, ოჯახს დიასახლისი, სიწმინდე და გმირობა ვამეფოთ ჩვენს მიწაზე. ჩვენი გამწარება და ტირილ-ვაება არავის ადარდებს, ჩვენს სანუკვარ მიწა-წყალს სხვას ნუ დავუთმობთ და ნუ ვამეფებთ ჩვენს მიწაზე. ქარბუქმა გაფანტა შავი ღრუბლები, დაბრუნდით, სხვის გავლენას ნუ დაემონებით. ჩვენს უფლის წალკოტს მოვუაროთ და შევინარჩუნოთ, დედაღვთისმშობლის წილხვედრი გადავარჩინოთ. ჩვენ იმ უძლეველი მუხის ფოთლები ვართ, რომელიც წელიწადის ოთხივე დროში მუდამ ჰყვავის, უწყლოობით ნუ ჩამოვახმობთ ჩვენს მომავალთ! ქვეყნის მმართველნო, ერის კაცებო, აღსდექით და გაიზიარეთ დღევანდელი ჭირ-ვარამი საქართველოსი და ქართველი ერის! არ გესმით? ცათა ზედა ატეხილი ზარების ხმაური?! თუ შენთა საუნჯეს უპატრონოდ დასტოვებთ, გაიტაცებენ მტარვალნი ბოროტი ზრახვებით. დედამიწა ირწევა, დაფანტული ბავშვები ზოგი ოკეანეში იძირება, ზოგი ნიაღვარს მიჰყავს, ზოგს ქარიშხალი უფსკრულისკენ ერეკება, ზოგს მხეცად ქცეული სპობს! სულიერო მამებო, შემოჰკარით ტაძრის ზარები, აღსდექით ქვეყნის მმართველნო! ოდა-სახლ-კარში დააბრუნეთ გაფანტული ქართველები, ქართულ ედემ-ბაღნარის წალკოტში, უკვდავებაში და საოცრებათა სამყაროში. უსმინეთ უფლის ჩაძახილს: - გაერთიანდით, ქართველებო, გაერთიანდით!

ქ. სამტრედია
(დიდი ჯიხაიში)
15.04.2017წ

იუზა ყაჭეიშვილი – 80



80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი იუზა ლევანის ძე ყაჭეიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო იუზა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ჩინებულ მწერალს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

თქვენი სამწერლო ნათლობა 1958 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნეთ პირველი მოთხრობა „ზღვის ლომი“. დებიუტი ფეხბედნიერი აღმოჩნდა და ამ მოთხრობამ მაშინვე მიიპყრო ყურადღება ლიტერატურულ და არამარტო ლიტერატურულ სამყაროში. ქართული კინოს დიდოსტატმა, რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ თქვენი ქმნილების მიხედვით კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გადაიღო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზღვის ბილიკი“ სწორუპოვარი სერგო ზაქარიაძის მონაწილეობით.

მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – მოთხრობები, რომანები, მხატვრული ნარკვევები, პუბლიცისტური სტატიები, მხატვრული თარგმანები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

თქვენი მოთხრობები, ისეთები, როგორიცაა: „გაქცევა“, „სოფლის გზაზე“, „ძახილი“, „თოვლი“, „მღვრიე ზოლი“„პალადიონი“, „მზეო თიბათვისა“ გამოირჩევა ღრმა ფსიქოლოგიზმით, მხატვრულობით, სიმართლითა და გულწრფელობით. თქვენ ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრეთ იმ უმსგავსოებათა წინააღმდეგ, რომლებითაც ასე გაჯერებული იყო წინარე საუკუნის საქართველოს ცხოვრება. ამის დასტურია თქვენი ყველაზე დიდი შემოქმედებითი გამარჯვება – რომანი „გამოცხადება“. ამ რომანმაც შეიტანა წვლილი ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებაში. რომანში დამაჯერებლად არის წარმოჩენილი ზნეობრივ-მორალური ხრწნის ის სიღრმისეული პროცესი, რომელმაც საბოლოოდ დაასამარა ერთი შეხედვით უძლეველი საბჭოთა იმპერია. რომანის სიძლიერეზე ისიც მეყუტველებს, რომ მის მიხედვით კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ შეიქმნა სამსერიანი მხატვრული ფილმი, რომელშიც გიორგი ხარაბაძის აქტიორულმა ტალანტმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა.

მრავალი საყურადღებო პუბლიცისტური სტატიისა თუ მხატვრული ნარკვევის ავტორი ბრძანდებით. მშვენივრად თარგმნეთ შერვუდ ანდერსონისა და ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობები...

სხვადასხვა დროს მუშაობდით საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს შსს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელად, გაზეთ „კრიმინალური ქრონიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ...

გვახარებს, რომ დაჯილდოებული ხართ დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოთი – ღირსების ორდენით.

ჩვენო იუზა!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას თანამოკლამეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით მიღწევებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ბონდო არველაძე – 85



80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი, მეცნიერი და ერისკაცი ბონდო ვალერიანის ძე არველაძე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბონდო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან დიდებულ მამულიშვილს, დიდი ილია მართლის გზაზე მავალ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 85 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს.

თქვენი ლიტერატურული დებიუტი 1957 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოაქვეყნეთი პირველი წერილები. მას შემდეგ ექვსი ათეული წლის განმავლობაში ერუდირებულ, ფართო თვალსაწიერის მქონე მკვლევარად ჩამოყალიბდით, რომლის ლიტერატურულ თუ მეცნიერულ თხზულებებს ვერავინ აუვლის გვერდს, ვისი ინტერესების სფეროს ქართული სალიტერატურო და არამარტო სალიტერატურო ცხოვრება წარმოადგენს.

ფართო საზოგადოებრიობა თქვენ გიცნობთ, როგორც ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების სერიოზულ, მასშტაბურ მკვლევარს, რომელსაც ღრმა კვალი აქვს გავლებული ორი მოძმე ხალხის კიდევ უფრო დაახლოებისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში. ამის დასტურია თქვენი არაერთი სტატია სომხური მწერლობის ისეთ კლასიკოსებზე, როგორნიც იყვნენ საიათნოვა, ავეტიკ ისააკიანი, ხაჩატურ აბოვიანი, გაბრიელ სუნდუკიანი, ოვანეს თუმანიანი, ვაჰან ტერიანი, ეღიშე ჩარენცი...

არც ის გახლავთ შემთხვევითი, რომ თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობა თითქმის მთლიანად სომხური მწერლობის შესწავლას შეალიეთ:. დიახ, ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებს მიეძღვნა თქვენი როგორც საკანდიდატო („ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან (ავეტიკ ისააკიანი, ვაჰან ტერიანი და ქართული ლიტერატურა, 1966 წ.), ისე სადოქტორო („ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა XIX-XX ს.ს. (ხაჩატურ აბოვიანი, გაბრიელ სუნდუკიანი, ოვანეს თუმანიანი და ქართული საზოგადოებრიობა, 1980 წ.) დისერტაცია. ქართველმა მკითხველმა ინტერესით მიიღო თქვენი ისეთი წიგნები, როგორიცაა „გაბრიელ სუნდუკიანი და საქართველო“, „ეღიშე ჩარენცი და საქართველო“, „ილია ჭავჭავაძე“ (სომხურ ენაზე), „საიათნოვა“, „ლეონ მელიქსეთბეგი: ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა“.

ცხადია, სომხურ მწერლობას, ჩვენს მოძმე სომეხ ხალხს თქვენი სახით ერთგული და ნაცადი მეგობარი ჰყავს. თუმცა ეს უანგარო მეგობრობა თქვენ, პირუთვნელსა და პრინციპულ მკვლევარს, ჭეშმარიტ მეციხოვნეს საქართველოისას, ხელს არ გიშლით სააშკარაოზე გამოიტანოთ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს ზოგიერთი თავგახურებული ვაიმეცნიერის მართლაც რომ უბადრუკი, მაგრამ მიზანმიმართული ინსინუაციები, პროვოკაციები თუ ცილისწამებები, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება საღ აზრს, ისტორიულ ჭეშმარიტებებს და კონფრონტაციასა და შუღლის ჩამოგდებას ემსახურება და მხოლოდ ჩვენი საერთო მტრების წისქვილზე ასხამს წყალს. სწორედ ამ მტკივნეულ პრობლემატიკას ეძღვნება თქვენი ისტორიულ-პუბლიცისტური წიგნები „ქვანი კვლავ ღაღადებენ“, „როცა უდავო სადავო ხდება“, „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში“, „ქართული ეკლესიების მიტაცება სომეხი მეცნიერების მიერ გრძელდება“, „დაშნაკებს არც არაფერი დავიწყებიათ და არც არაფერი უსწავლიათ“, „ბაგრამიანის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში“ (თ. მიბჩუანთან ერთად), „მარდის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია“, „ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში“ (გამოიცა ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე), „დავიცვათ ქართული ეკლესიები. ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ისტორია“...

თქვენს კალამს ეკუთვნის ძალზე საინტერესო წიგნები „წამება მიხეილ ჯავახიშვილისა“, „იოსებ გრიშაშვილი“, „მწერლის ბედისწერა. # ПР.-12028-508 (გიორგი შატბერაშვილზე)...

გულით გვახარებს, რომ კვლავაც ჭაბუკური ენერგიით ემსახურებით საქვეყნო საქმეებს. სწორედ ბოლო წლებში გამოაქვეყნეთ არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა; თქვენი რედაქტორობით, ვრცელი შესავალი წერილებითა თუ მეცნიერული კომენტარებით გამოიცა კრებული „მიხეილ თამარაშვილი“, მიხეილ თამარაშვილის „როდის გადმოსახლდნენ სომხები საქართველოში“, პოლიევქტორ კარბელაშვილის „ქართული საერო და სასულიერო კილოები“ და „კათალიკოსნი და მღვდელთმთავარნი“, სიმონ ჯანაშიას „ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ“...

დიდნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ხართ. პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ათწლეულების განმავლობაში მუშაობდით შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში წამყვან მეცნიერ-მუშაკად და თქვენი წვლილიც შეგქონდათ ქართული ლიტერატურისმცოდნეობის განვითარებაში.

თქვენი ღვაწლი ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლისა და მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა.

ბატონო ბონდო!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ სახელოვან იუბილეს ჩვენს ღვაწლმოსილ კოლეგას, ქვეყნის ერთ-ერთ გულანთებულ მეციხოვნეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მშობელი ქვეყნის გაბრწყინებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ოთარ ხუციშვილი – 85



85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და ჟურნალისტი ოთარ ივანეს ძე ხუციშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ოთარ!

ჩვენო ძვირფასო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან მხცოვან, ღვაწლმოსილ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 85 წლისთავს.

ქართველი მკითხველი თქვენ, უპირველეს ყოვლისა, გიცნობთ, როგორც ჩინებულ ჟურნალისტს, ობიექტურ, პირუთვნელ, ქედუხრელ კალმოსანს, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ერთგულად და შეურცხვენლად იცავდა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ყველას, ვისთვისაც ღვთიშობლის წილხვდომილი ქვეყანა მათი სამარცხვინო ვნებებისა და ამბიციების დასაკმაყოფილებელი ასპარეზი იყო და არა ის ღვთაებრივი ტაძარი, სადაც მუხლმოდრეკილმა სული უნდა უბერო იმ უძვირფასეს სიწმინდეებს, აქამომდე რომ მოიყვანა ქრისტესავით ჯვარცმული ერი.

დიახ, თქვენ უკვე თვალსაჩინო, გამობრძმედილი ჟურნალისტი ბრძანდებოდით, როცა 1981 წელს პირველი ლიტერატურული ნაწარმოები გამოაქვეყნეთ გაზეთ „თბილისში“. მას შემდეგ თქვენი ნაკალმარი სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი უაღრესად საინტერესო პროზაული კრებულები, ისეთები, როგორიცაა „ნიღბების დღესასწაული“, „სიბრძნე სიცილისა“, „რაფრა მოვიქცეთ ახლა ჩვენ“, „ელამი სარკე“, „ცხოვრება ღიმილით“ ქართველი მკითხველის ცხოველი ინტერესით სარგებლობს. ამ კრებულებში თავმოყრილია ერთი შეხედვით თითქოს მეტისმეტად ლაღი იუმორით გაჯერებული ფელეტონები, ნოველები და მოთხრობები, რომლებშიც დაკვირვებული მკითხველი ჩვენი ნაცრისფერი ყოფის არსსაც ჩაწვდება და იმ გაუგონარ სიმახინჯეებსაც შეამჩნევს, რასაც ასე დაუნდობლად ებრძვით ქართული სულით, ქართული პატიოსნებით სავსე შემოქმედი. ეს ტექსტები მართლაც რომ ქვეყნის ჭირისუფლის სულის ქურაშია ნაწრთობი, მათში მხოლოდ ჯანსაღი და უბოროტო იუმორია დავანებული და მრავალფეროვნებით, სისხარტითა და უზადო, თავანკარა ქართულით გვხიბლავს ყველას...

ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ბრძანდებით. მთელი ცხოვრება ერთგულად და მუხლჩაუხრელად ემსახურებოდით თქვენს საესავ სამშობლოს. იყავით თელავისა და ახმეტის რაიონული გაზეთების მთავარი რედაქტორი, გაზეთ „თბილისის“ განყოფილების გამგე, გაზეთ „რესპუბლიკის“ ლიტერატურული მუშაკი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განყოფილების გამგე...

თქვენი ღვაწლი და რუდუნება სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდო – ღირსების ორდენი. ლაურეატი ბრძანდებით ისეთი უპრესტიჟულესი პრემიებისა, როგორიცაა ნიკო ნიკოლაძის და სერგეი მესხის პრემიები.

ძვირფასო ოთარ!

ყოველთვის გვხიბლავდით პირდაპირობით და სიმართლის თქმის უნარით. ამის საუკეთესო ნიმუშია თუნდაც ის ფაქტი, რომ შემდგენელი და რედაქტორი ხართ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის მედეა მეზვრიშვილისადმი მიძღვნილი მოგონებების კრებულისა, რომელშიც თვალნათლივ გამოჩნდა, რომ საბჭოთა ეპოქის არაერთ პარტიულ მუშაკთან ახლოსაც ვერ მივა თანამედროვე საქართველოს ზოგიერთი მესვეური...

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს საყვარელ კოლეგას, უღალატო ძმასა და მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და კვლავაც სამშობლო ქვეყნის უებრო სამსახურს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

თემურ აბულაშვილი – 70



70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი თემურ იოსების ძე აბულაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო თემურ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან მრავალწახნაგოვან შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 70 წლისთავს.

საალიტერატურო სამყარომ ამ ოთხი ათეული წლის წინ გაგიცნოთ. თქვენი დებიუტი ხომ 1974 წელს შედგა, თელავში ჩატარებულ ახალგაზრდა მწერალთა სემინარზე, სადაც ყველას დაამახსოვრეთ თავი, როგორც თვითმყოფადმა, ორიგინალური ხელწერის მქონე პროზაიკოსმა. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – მოთხრობები, ნოველები, პიესები, ლიტერატურული თუ პუბლიცისტური წერილები, მხატვრული ნარკვევები პერიოდულად ქვეყნდებოდა ჩვენს საალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

თქვენი პროზაული კრებულები, ისეთები, როგორიცაა „ჩიტები უფასოდ“, „ველის ხარი“, „გზა ვარსკვლავეთისაკენ“, „მდინარეს მიაქვს ამბავი“, „1992 წლის ფეხბურთი“ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა იმიტომ, რომ თქვენი სახით თანამედროვე ქართულ პროზას ძარღვიანი და დაფიქრებული შემოქმედი ჰყავს, რომლის ნახელავს ცხოვრების ღრმა ცოდნა, ორიგინალური ხელწერა, ლიტერატურულ პერსონაჟთა სულიერი პორტრეტების სიღრმისეული ჩვენება, ფრაზის მოქნილობა, ენის ლექსიკური სიმდიდრე გამოარჩევს სხვათაგან.

ამავე დროს მართლაც რომ ჩინებული დრამატურგი ბრძანდებით, რომლის პიესები წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრების სცენაზე. ეს პიესები („წეროს გუთანი უბია“, „სიცოცხლემისჯილი ტყვე“, „ფრინველების საქორწინო ცეკვები“, „თოჯინების სოფელი“, „დღესასწაული თეთრი მაიმუნის სამეფოში“...) თქვენი მრავალწახნაგოვანი ნიჭიერების ერთი მშვენიერი გამოვლინებაა. თქვენ, დრამატულ ხასიათთა შექმნის ოსტატს, უაღრესად გამძაფრებული გაქვთ თეატრალური ხედვა და ალღო, რელიეფურად ძერწავთ პერსონაჟთა სახეებს, ძერწავთ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი მეტყველებითა და ქცევებით – აი, თქვენი წარმატებების საიდუმლო.

თქვენს კალამს ეკუთვნის არაერთი მხატვრული ნარკვევი თუ პუბლიცისტური სტატია.

ათეული წლები მუშაობდით გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ პასუხისმგებელ მდივნად და ქართული მწერლობის წინსვლასა და განვითარებას ემსახურებოდით.

გულით გვახარებს, რომ თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა საქართველოს მწერალთა კავშირის, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის (სამგზის), გამომცემლობა „ლომისის“, გიორგი შარვაშიძისა და რევაზ ინანიშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი ჯილდო – ღირსების ორდენი.

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩინებულ შემოქმედსა და მოქალაქეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ დიდ შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ავთანდილ ხარაიშვილი



დედაკაცი უნდა სწავლობდეს მდუმარებაში ყოველგვარი მორჩილებით (დაბ. 3,16) დედაკაცს არ ვაძლევ სწავლის ნებას, არც ქმარზე ბატონობისას, არამედ იყოს მდუმარედ. (ახალი აღმა, გვ. 450, სტოქჰოლმი, 1993).
როსტევან მეფე – თინათინს: „ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი.... (ვეფხისტყაოსანი სტრ. 48).
მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – პირუკანაო (ილია) სუყველას პირში ვუძრახავ, არავისთან არ ვარ უძრახად. (ა. ხ.).

ვარ ფიქრი! მიუსაფარი!! არა ფარვანას ფარფარი...
არც ღამის ქოთან–საქნარი, ქალთა მარაქის ქარქარი...
სულის სავანეს მინათებს ქართული ლექსის ლამპარი...
ულაყი სიტყვით ვჭიხვინებ!! არ ვარ ჭაკების ჭარტალი...
წინკანას წრიპინს მირჩევნის, ყორანის ყიალყრანტალი!!!
***
წამებულებს არ ვიხსენებთ!! კუბოსაფლავდაკარგულსა!!!
უხსენებლებს ნუ მიხსენებთ!!! გამჩენისგან
გზაკვალკრულსა!!!
***
ბოლშევიკების ბადიშთა ორდენითა და ორდერით!
ბარგიბარხანით! ბადრაგით! კისერში! – ურონამვალით!!!
კოლექტიური სამკალით, კრული! მზაკვრული გზაკვალით!!!
სატანის ტვინით ორსულებს! შტერ თავით გონხვერმოსულებს!!!
წყალგაღმა ვერგაღწეულებს! იოლად ფონსვერგასულებს...
ავსულებს! ცოცხალმკვდარსულებს! მყვარსულებსა და
მყრალსულებს!!
წითელ წყეულთა წიწილებს!! მარილზეც ვეღარ
წასულებს...
სუკის კალამის კანკალით, წყალწყალა, მწირი ნამკალით,
პროლეტარული ყაყანით!! წყალს წავაყოლებ ყანყალით...

***
ვარ მყარი სიტყვის საყდარი! მკვიდრი საქმისთვის თავმკვდარი!!
ქველი ლექსების ამქარით! ქაღალდით, კალამფანქარით,
რითმების ფრთებით მივფრინავ!! ვაფრთხობ ფრინველებს!
თვითფრინავს!!
მშვილდისრით ვისვრი სტრიქონებს!! გულში დარდს ლექსით
ვიფოფინებ...
ნუ მეტყვით სიტყვას ლაყესა! ნაყბედარს! ბრიყვსა!!
ნაყვლეფარს!!

***
შოთა! ვაჟა და აკაკი! რჯულჯიგარში მაქვს გამჯდარი!!
მარგალიტები მისხია ლექსის ლურჯასა! აბჯარით!!
ქველ სტრიქონების ლაშქარით!! ჩოხაახალუხხანჯარით!!!
ვეფხისტყაოსნის ტაიჭით!! რითმების აღვირავშარით!!
გაირყვნა სიტყვა! უტვინო! უქმი! უქნარა!! არჯალი!!!
შორს! – სიტყვა შაირისაგან! შარიანი და აშარი!!
დროა! დამშვენდეს შაირი!! ყოჩაღკოჩური შარვალით!!!
ვერ შობს ფშაველის შაირსა! ძუძუგამშრალი თავშალით...

დიაცს ვინ მოგცა უფლება, საქმე აკეთო მამრისა!
დევიკაცის დევისიტყვა! ცეცხლია ამირანისა!!

***
ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის, გულს ცეცხლი არ ნელდებოდა...
სულმნათი სიტყვა აკაკის არასდროს არ ბნელდებოდა...

***
ვაბიჯებ მარჯვე ნაბიჯით! ჯიგირი! ჯიგრიან ძმაბიჭით!!
ურყვნელი სულის სიტყვითა თავისგატანა არმიჭირს!!
ბევრჯერ ცივ ქვაზეც ვიჯექი! უჭკუო სიტყვით ნაბიჭვრის!!!

***
მშობლურ სიტყვის ვარ მაშვრალი, არა სხვის ხურდანაშალი,
ურამერანით მივფრინავ!! არა ფაშატის ფამფალით...
სიტყვაა სულის სანთელი, სულის უფლავი საფლავი...
ღმერთია! დაუსამარი! უფლის უფლავი სამარით...
სიტყვა! ძალაა! ღმერთია! მძლეთამძლე!! მამაღმერთია!!!
სიტყვა! ადამის ჟამისად!!! სამყაროს დასაბამისად!!!!
სიტყვა კაცია! კაცური!! არა ფაციას ფაცური...
გენდერ გოიმებს თავსაფრით თავზე დავასხი თავსლაფი...

***
ფიქრი ვარ! მიუსაფარი!! ქარი ვარ! მიუსაფარი!!
სული ვარ! მიუსაფარი!! ლექსი ვარ! მიუსაფარი!!
სიტყვა ვარ! მიუსაფარი!! მართალი! ალალმართალი!!
ყველა ავსული! ავთვალი! უფალთან არამართალი,
წესის აგებისგარეშე, მოუსაკლეთში დავფალი...

24/IV-2017წ.

სანდრო ბერიძე – 60



60 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე სანდრო ნიაზის ძე ბერიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო სანდრო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ქართული მწერლობის აჭარული ფრთის ერთ-ერთ უღირსეულეს წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 60 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო სარბიელზე 1987 წელს გადადგით, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ თქვენი ლექსები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, პუბლიცისტური სტატიები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენ საქართველოს იმ ძირძველი და უმშვენიერესი კუთხის შვილი ბრძანდებით, რომელმაც სამასწლოვანი უმძიმესი მონობის პირობებშიც შეინარჩუნა ქართული სული, ქართული სულიერება და თუ რამ ასულდგმულებდა იმ ჯოჯოხეთური საუკუნეების განმავლობაში, დედასამშობლოსთან დაბრუნების დაუოკებელი სურვილი იყო მხოლოდ და მხოლოდ.

ეს ყოველივე თქვენს პოეზიაშიც აისახა. თქვენი პოეზია ხომ ფიქრიანი კაცის პოეზიაა, სამშობლოს ბედსა თუ უბედობაზე ღრმად დაფიქრებული შემოქმედის პოეზია, შესაბამისად დარდიანიც და ტკივილიანიც. თქვენი პოეზიის ლირიკულ გმირს კარგად მოეხსენება ბიბლიური სიბრძნე-ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო არს. სწორედ მის თვალწინ გრძელდება სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული დუელი, რომელშიც სიკვდილი – ეს თავზარდამცემი რაინდი დაუნდობლად მოითხოვს თავის არჩივს და მკვდარ-ცოცხალს ბნელში, არარსებობისკენ მიერეკება. გული უკვდება იმის შემხედვარეს, რომ ამ ბალღამითა და ღვარძლით სავსე სამყაროში უფასურდება და ბანალური ხდება სიყვარული. სწორედ ამიტომ მოსწონს მკითხველს თქვენი პოეტური კრებულები („თეთრი ქორწილი“, „სიკვდილ-სიცოცხლის სიმღერები“, „უფლის ოქროს ჭურჭელი“, „დღეები და ღამეები“, „ჰოდა, იმას ვამბობდი“, „სანთლის ხომალდი რავა პოეტით“...). მოსწონს ქედუხრელობისთვის, ვაჟკაცური შემართებისთვის, სათქმელის ცხადად და ნათლად გამოხატვისთვის...

თქვენს კალამს ეკუთვნის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების კრებული „უნაპირო ხილვები“, რომელშიც პროფესიონალურად განიხილავთ ზურაბ გორგილაძის, ჯემალ ჯაყელის, შოთა ზოიძის, დავით თედორაძის, ვახტანგ ღლონტის, ზურაბ ფირცხალაიშვილის, ბადრი თევზაძის შემოქმედებას.

სხვადასხვა დროს მუშაობდით სკოლის პედაგოგად, ქედის რაიონული გაზეთის განყოფილების გამგედ, გაზეთ „აჭარის“ ლიტერატურულ მუშაკად, ქედის რაიონის პრეფექტად. არჩეული იყავით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად. 1995 წლიდან კი ჟურნალ „ჭოროხის“ მთავარი რედაქტორი ბრძანდებით და თქვენი წვლილიც შეგაქვთ აჭარაში ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების აღორძინებასა და წინსვლაში.

დაჯილდობული ხართ აკაკი წერეთლისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის პრემიებით.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს უღალატო ძმასა და მეგობარს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

წარდგენილია ნობელის პრემიაზე







ვაჟ-ოსკვენ!

რევაზ მიშველაძის რომანი „ციყვი ბორბალში“ (გამომცემლობა „მაცნე“. 2016 წელი) წარდგენილია 2017 წლის ნობელის პრემიის მოსაპოვებლად.

რომანი უკვე გამოქვეყნდა რუსულ ენაზე და ამჟამად ითარგმნება ინგლისურ, შვედურ და სომხურ ენებზე.

ზვიად გამსახურდიას მემორიალური კაბინეტი

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და რუსეთის 118 წლიანი ოკუპაციისგან გათავისუფლებულმა სახელმწიფოებრიობა კვლავ აღიდგინა.

დამოუკიდებლობის ქარტიას ხელი მოაწერა ეროვნულ–განმათავისუფლებელ ბრძოლაში დამაშვრალ ქართველთა თითქმის ყველა ღირსეულმა წარმომადგენელმა.

ცოცხალთა შორის აღარ იყვნენ ილია, აკაკი და ვაჟა, თორემ მათი ხელწერაც უსათუოდ დაამშვენებდა დამოუკიდებლობის სანუკვარ ქარტიას.

რუსმა მხოლოდ სამი წლით დაგვაცადა დამოუკიდებლობის ნიავით ტკბობა.

1921 წლის 25 თებერვალს მოდერნიზებულმა წითელმა იმპერიამ ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო საქართველო.

მეოცე საუკუნის 90–იანი წლების ბოლოს საქართველოს კვლავ მიეცა სახელმწიფოებრიობის აღდგენის შანსი.

დაიშალა ბოლშევიკური რუსეთი და 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ მეოცე საუკუნეში მეორედ მიიღო დამოუკიდებლობის აქტი. თავისუფლების ქარტიას პირველი აწერდა ხელს იმდროინდელი საქართველოს ეროვნული ლიდერი ზვიად გამსახურდია.

დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ღირსეულმა შვილმა იტვირთა უმძიმესი მისია. იგი ახლადაღორძინებული ქართული სახელმწიფოს საჭესთან მაშინ დადგა, როდესაც წითელი რუსეთი აღორძინებას ცდილობდა და არც დასავლეთს ჰქონდა „საბჭოთა კავშირიდან“ ნაწილობრივ თავდაღწეული ყოფილი „მოძმე რესპუბლიკების“ მიმართ მტკიცე, მიზანმიმართული პოზიცია.

საქართველოს ახალბედა პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ბედი მაშინ გადაწყდა, როცა მან საჯაროდ გამოაცხადა, რომ საქართველო რუსის უღელს აღარ შეიდგამდა კისერზე და არც ევროპა–ამერიკის ვასალის როლს ითამაშებდა.

„დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო“, დაებრალა ზვიადს ამერიკის პრეზიდენტმა და საქართველოს წინამძღოლისგან პასუხიც მეყვსეულად მიიღო: „დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიანო“.

ზვიად გამსახურდიას და შესაბამისად თავისუფალი საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

დანარჩენი ტექნიკის საქმე გახლდათ და 1992 წლის ბოლოს რუსთაველის პროსპექტზე რუსული ტანკები დადგნენ.ა

ზვიადი საქართველოდან გაიქცა და მალე რუსეთმავე იზრუნა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ფიზიკურ აღსასრულზეც.

რა პარადოქსულიც უნდა იყოს ზვიად გამსახურდიას ირგვლივ ისტორიკოსთა, პოლიტოლოგთა თუ ჟურნალისტთა ვნებათაღელვა, ერთი რამ ცხადია: მეოცე საუკუნის ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღორძინება, ანუ ყოველივე ის, რაზეც ახლა ჩვენი სახელმწიფოებრიობა დგას, ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდება.

მორჩა! ამ ისტორიულ როლს მას უკვე ვეღარავინ ჩამოართმევს.

გარდა მამაცი და თავდადებული პოლიტიკური მოღვაწისა, ზვიადი იყო ნიჭიერი მწერალი და მეცნიერი, ჩინებული პოეტი, მთარგმნელი და რუსთველოლოგი.

2017 წლის 31 მარტს ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს საქართველოს სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში (VI კორპ. VI სართ.) საქართველოში პირველად გაიხსნა ზვიად გამსახურდიას მემორიალური კაბინეტი.

კაბინეტის გახსნის იდეა ეკუთვნით სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანს პროფესორ ირაკლი გაბისონიას და სოცურთიერთობათა დეპარტამენტის თავმჯდომარეს პროფესორ იგორ კვესელავას.

ირაკლი გაბისონია ახალშექმნილი ფაკულტეტის ღირსეული დეკანია, რომელმაც არაერთ ეროვნულ ღონისძიებას მისცა დასაბამი, ხოლო იგორ კვესელავა თანამედროვე ისტორიის (განსაკუთრებით ზ. გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის) გამოჩენილი მკვლევარია.

იდეას მხარი დაუჭირა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა და სწორედ მან გახსნა მემორიალური კაბინეტი შთამბეჭდავი შესავალი სიტყვით.

გამოვიდნენ ზვიად გამსახურდიას შვილი კონსტანტინე გამსახურდია, პირველი პრეზიდენტის მეგობარნი, თანამებრძოლნი და მიმდევარნი: ზვიად ძიძიგური, ირაკლი გაბისონია, იგორ კვესელავა, რობერტ პეტრიაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, რევაზ მიშველიძე, ანზორ აბრალავა, სოსო სიგუა, ნინო ნიშნიანიძე, გიორგი გაჩეჩილაძე, ნუგზარ შავთვალაძე და სხვები.

კაბინეტში დაიდგა მოქანდაკისა და პოეტის მერაბ მეტრეველის მიერ შესრულებული ზვიად გამსახურდიას მშვენიერი ბიუსტი.

კაბინეტს სხვათა შორის ორი მემორიალური ნივთიც ამშვენებს: ისტორიული მრგვალი მაგიდა და ზვიად გამსახურდიას მიერ რევაზ მიშველაძისათვის ნაჩუქარი განუყრელი სვანური ქუდი.

მონასმოვარი

დიახ, მონაპოვარია, თანაც მონაპოვარია მთელი საქართველოსთვის და არა მარტო მისთვის, გამოჩენილი ლიტერატორისა და მწერლის, სოსო სიგუას ორტომეული: „ქართული კულტურის ისტორია". მონაპოვარია იმიტომ, რომ საქართველოში ასეთი გამოცემა არ არსებობდა, თანაც სად, ქვეყანაში, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ მასთანაც დაირწა მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი. მონაპოვარია იმიტომ, რომ აქ გაშლილი მასალა სრულყოფილ შთაბეჭდილებას ტოვებს (და ასეც არის), ქართული კულტურის გენეზისზე, მის ფესვებზე ანიდან-ჰოემდე მოყოლებული. მონაპოვარია იმიტომ, რომ ეს ყოველივე განხილული და წარმოდგენილია მსოფლიოს ცივილიზაციის ჭრილში. მონაპოვარია იმიტომ, რომ იგი წერილ არს უმაღლესი პროფესიონალიზმით და საგნის უზადო ცოდნით! მონაპოვარია....დანარჩენს თავად მიხვდები, მკითხველო, როცა მას გაეცნობი! ვულოცავ საზოგადოებას ამ უსერიოზულესი ნაშრომის გამოცემას, ხოლო სოსო სიგუას უღრმესი მადლობა ასეთი საჩუქრის გაკეთებისათვის!

ნოდარ კობერიძე



25 მაისს 13 საათზე მწერლის სახლში (მაჩაბლის 13) გაიმართება პოეტ თენგიზ სვანიძის საიუბილეო საღამო.

განცხადება

ძვირფასო მეგობრებო,

გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ გამოსაცემად ამზადებს კრებულს – „მესხეთი ქართულ პოეზიაში“.

ვთხოვთ ყველა დაინტერესებულ პოეტს, – თუ სურვილი გაქვთ თქვენი ლექსები, მესხურ თემატიკაზე, შეტანილი იქნას ამ კრებულში, მოგვაწოდეთ **შემდეგ მისამართზე:**

lit–meskheti@yahoo. com ან lit.meskheti@gmail.com

(რაოდენობა შეუზღუდავია).

სასურველია ლექსები წარმოადგინოთ ამა წლის სექტემბრამდე.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია



გამოვიდა თამარ გაბროშვილის პოეტური კრებული „ქრიზთა“ სომხურ ენაზე. წიგნი გამოიცა ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით სომხეთში (ერევანში) გამომცემლობა „ჰაიასტანის“ მიერ. წიგნის მთარგმნელია მაყვალა გეურქოვა-სააკიანი. კრებული გაფორმებულია თამარ გაბროშვილის ნახატებით.

თამარ გაბროშვილი (ლიტერატურული ფსევდონიმი „ქრიზთა“) ლიტერატურულ ნაწარმოებებს აქვეყნებს 1983 წლიდან.

თამარ გაბროშვილი 4 პოტური კრებულის ავტორია: „ახალწლის ღამე“, „სიყვარულის თილისმა“, „გაიმეორე სიცოცხლე“ და „ქრიზთას ანთოლითები“.

მეხოლის გზეთი

№4
ფასი 1 ლარი
1-31 მაისი
2017

მისამართი: მაჩაბლის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.:293-55-75
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან

მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე
პასუხისმგებელი მდივანი მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail.ru; luizagogelia@mail.ru

9 771987 698009